

საქართველოს სსრ  
მთავრობის განცხადათა აკადემიუს  
მოწვევა

გრძელი XX, № 6

სირთული. ესეთი და გამოცემა

1958

036060

საქართველოს სსრ მთავრობის განცხადათა აკადემიუს  
მოწვევა

# ଶ୍ରୀନାଥ ପାତ୍ର

## ବୋଲିଟିନ୍ ଜ୍ୟୋତିଶ୍ଵର

1. ୧. ଫେବୃଆରୀ ମୁହଁନାତାରିଖରେ କୌଣସି ଦେଇଲେ କୌଣସି . . . . .	641
2. ୨. ମିଶନ୍ ଏଲାନ୍ କାହିଁ (ଶାଖାର୍ତ୍ତବ୍ୟାଳୁରୁ ସିରି ମେଚନିକ୍ୟୁରେବାତା କ୍ଷାଫ୍ଯୋଟିଓ ପାରିପାରିତିକୁ). ଅର୍ଥାତ୍ ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କ ପାରିପାରିତିକୁ ଆମାରିବାକୁ ଆମାରିବାକୁ . . . . .	647
3. ୩. ମାର୍ଚିନାତାରିଖରେ ଶୈରିକିଯାତି ଉର୍ବାନିଶମିଲ୍ଲେବାନି ନାରୀମାଲ୍ଲୁରୀ ସିମ୍ବିର୍ବିନ୍ଦୁରୀ ଶୈରିକିଯାତିକୁ . . . . .	655
4. ୪. ଇଂରାଜିର ପାରିପାରିତିକୁ ଆମାରିବାକୁ ଆମାରିବାକୁ . . . . .	659
5. ୫. ଫେବୃଆରୀ ମୁହଁନାତାରିଖରେ କୌଣସି ଦେଇଲେ କୌଣସି . . . . .	667
6. ୬. ମାର୍ଚିନାତାରିଖରେ କୌଣସି ଦେଇଲେ କୌଣସି . . . . .	673
7. ୭. ଫେବୃଆରୀ ମୁହଁନାତାରିଖରେ କୌଣସି ଦେଇଲେ କୌଣସି . . . . .	677
8. ୮. ଫେବୃଆରୀ ମୁହଁନାତାରିଖରେ କୌଣସି . . . . .	683
9. ୯. ଫେବୃଆରୀ ମୁହଁନାତାରିଖରେ କୌଣସି . . . . .	689
10. ୧୦. ଫେବୃଆରୀ ମୁହଁନାତାରିଖରେ କୌଣସି . . . . .	693
11. ୧୧. ଫେବୃଆରୀ ମୁହଁନାତାରିଖରେ କୌଣସି . . . . .	701
<b>ବୋଲିଟିନ୍ ପାତ୍ର</b>	
12. ୧. କୌଣସି ମୁହଁନାତାରିଖରେ କୌଣସି . . . . .	707
13. ୨. ମାର୍ଚିନାତାରିଖରେ କୌଣସି . . . . .	721
14. ୩. ମାର୍ଚିନାତାରିଖରେ କୌଣସି . . . . .	727
15. ୪. ମାର୍ଚିନାତାରିଖରେ କୌଣସି . . . . .	731
16. ୫. ମାର୍ଚିନାତାରିଖରେ କୌଣସି . . . . .	737
17. ୬. ମାର୍ଚିନାତାରିଖରେ କୌଣସି . . . . .	741
18. ୭. ମାର୍ଚିନାତାରିଖରେ କୌଣସି . . . . .	745
<b>ବୋଲିଟିନ୍ ପାତ୍ର</b>	
19. ୮. ମାର୍ଚିନାତାରିଖରେ କୌଣସି . . . . .	753
20. ୯. ମାର୍ଚିନାତାରିଖରେ କୌଣସି . . . . .	761
21. ୧୦. ମାର୍ଚିନାତାରିଖରେ କୌଣସି . . . . .	767

## ფილოსოფია

### ს. ფილოსოფია

#### ლოგიკური აუცილებლობის ბუნების შესახებ

(წარმოადგინა აკადემიკოსმა ა. ბოჭორიშვილმა 24.3.1958)

კავშირის ცნება გარკვეულ განსხვავებას აუცილებლობით გულისხმობს. კავშირი განსხვავებულთა კავშირია. კავშირი დასაკავშირებელთ აუცილებლობით შეიცავს. შინაგანი განსხვავების გარეშე არავითარი კავშირი არ არსებობს. ასეთი უნი იყოს ლოგიკურიც. ყოველი ლოგიკური კავშირი შესაძლებელია როგორც განსხვავებულთა კავშირი. ლოგიკურ კავშირში არსებული განსხვავებული ანალიზურობას წარმოადგენს; ოვითონ კავშირი, როგორც სწორედ განსხვავებულთა კავშირი, სინთეზური არ არ არის თვითონ ბუნებით. ამიტომ უნდა ითქვას, რომ ყოველი ლოგიკური კავშირი ანალიზურობის შემცველი სინთეზური კავშირია.

ლოგიკურის შინდა ანალიზურობის მიღება ლოგიკურ კავშირში (მსჯელობაში, დასკვნაში) ერთისა და იმავეს განმეორების ალირებას ნიშნავს. მაგრამ ერთისა და იმავეს განმეორება სინთეზურობას გვაძლევს. ერთი და იგვე ერთეულის, მაგალითად, ოცხერ განმეორება გვაძლევს ოცს, რომელიც სხვა რიცხვთა შორის თვითობრივათაც ერთი გარკვეული რიცხვია. ასე რომ წმინდა ანალიზურობა შეუძლებელია და მისი აღიარება შეცდომად უნდა ჩაითვალოს.

თუ ყოველი კავშირი სინთეზურია, ე. ი. განსხვავებულთა ერთიანობას წარმოადგენს, მაშინ იგე გარკვეული უარ ყოფის მომენტს აუცილებლობით შეიცავს. ყოველი განსხვავების ლოგიკურის სრული ფორმით გამოთქმის საშუალებას უარყოფა წარმოადგენს, რამდენადაც განსხვავებულთაგან ერთი არის ის, რაც არ არის მეორე. განსხვავებულთა და მათ შორის განსხვავების გამოთქმა შეიძლება უარყოფის გარეშეც, მაგრამ თუ განსხვავებას სისრულით გამოვთქვამთ, მაშინ, სხვათა შორის, ისიც უნდა ითქვას, რომ ერთი არის ის, რაც არ არის მეორე. რამდენადაც ოვითონ აზრი (მსჯელობა, დასკვნა) განსხვავების შეიცავს, ამდენად განსხვავების სრული გამოთქმა უარყოფის მომენტს აუცილებლობით გულისხმობს. მაგალითად, მსჯელობაში სუბიექტი არის პრედიკატი, მაგრამ ამავე დროს, სუბიექტი განსხვავდება მისი პრედიკატისაგან, ამდენად ის არის ის, რაც არ არის პრედიკატი. დასკვნის სინთეზურობაც ასეთი უარყოფის მომენტს აუცილებლობით შეიცავს, რადგან დასკვნი წანამდევრებისაგან განსხვავებულია; ეს უარყოფის მომენტი შედის გარკვეულ ერთიანობაში, რომელსაც დასკვნის ერთიანობა წარმოადგენს.

ლოგიკურ კავშირებში უარყოფის მომენტი ორგვარად მოხსმარება: ერთ შემთხვევაში უარყოფას გარე განი უარ ყოფის აზრი აქვს, მეორე შემთხვევაში კი — შინაგანი უარყოფისა. გარეგანი უარყოფა სხვისი უარყოფა; მაგალითად, მსჯელობებში — „ვარდა არ არის ცხოველი“, „აღმიანი არ არის ოთხფეხი ცხოველი“ და სხვ.—უარყოფილია სუბიექტის მიმართ სახელფიზი, რაც მის გრძელ არის. როდესაც რამდენიმე ვამტკიცებთ და ამით სხვას უარყოფა, მაშინ გარეგანი უარყოფა გვაქვს, მაგრამ, ამავე დროს, იგი სხვის დადგენასთან



არის დაკავშირებული (მაგ., უარყოფასთან. რომ „რაიმე არ არის უსასრულობა დაკავშირებულია მტკიცება, რომ „ის სასრულოა“). როდესაც რაიმეს ვადგენა (ესაბუთებო) და სხვას უარყოფით, ანდა პირიქით, მაშინ უარსაყოფელი და უარმყოფელი ერთიმეორეს აბოლობებენ. იმ მსჯელობებში და მსჯელობათა აუცილებელ ავშირებში, სადაც ასეთი დადგენა (მტკიცება) და უარყოფა მოქმედებს, დაბოლოებული აუცილებელი აუცილებელი აუცილებელი ბულობა აუცილებელი აუცილებელია.

დაბოლოებული, ლოგიკური აზრით, მაშინ გვაქვს, როცა ერთი რაიმეს დადგენით ან უარყოფით სხვა რაიმე დენძება ან უარყოფა. ლოგიკურ კავშირში ერთი აზრი მეორეს აბოლობს, ძირითადად, უარყოფის საშუალებით. როცა აზრთა ასეთ კავშირში გარეგანი უარყოფა მოქმედებს, მაშინ ეს კავშირი ემყარება „აზროვნების ძირითად კანონებს“—იგივეობის, წინააღმდეგობის შეუძლებლობის და გამორიცხული მესამის კანონებს, რომლებიც განსაზღვრავენ ლოგიკურ აუცილებლობას, რამდენადაც ეს უკანასკნელი განხორციელებულია დაბოლოებულის სფეროში. ასეთია ის ლოგიკური აუცილებლობა, რომელთანაც საქმე აქვს ფორმალურ ლოგიკას, სადაც აუცილებელი არის ის, რის საწინააღმდეგო შეუძლებელია.

უდანასწერილი დებულება წინააღმდეგობის შეუძლებელი აუცილებლობის საზღვრი იქნება ის, რაც მას უარყოფს. ჩვენ ვთქიქრობთ, რომ ასეთი საზღვარი, ასეთი უარყოფა თვითონ აღნიშნულ აუცილებლობას ახასიათებს. ლოგიკური აუცილებლობის თვითონ ფორმალურ-ლოგიკური განსაზღვრება, რომ „აუცილებელი არის ის, რის საწინააღმდეგო შეუძლებელია“, აუცილებლობით შეიცავს უარყოფის მომენტს:

1. თვითონ ეს განსაზღვრებაა შეუძლებელი შეუძლებელი ბლობისა და წინააღმდეგობის კატეგორიების მონაცნილი განსაზღვრება ემყარება შეუძლებლობის და წინააღმდეგობის კატეგორიების, რომლებიც ამ განსაზღვრების და თვით აუცილებლობის განხორციელების საშუალება. ამ აზრით, საფუძველია. რაიმეს საწინააღმდეგოს უარყოფა თვითონ ემყარება წინააღმდეგობას,—გრ ერთი, იმიტომ, რომ თვითონ უარყოფა წინააღმდეგობის ასება და მისი მოხმარით წინააღმდეგობაც უკვე მოხმარებულია; მეორე მხრივ, საწინააღმდეგოს უარყოფა შესაძლებელია მხოლოდ წინააღმდეგობის ბაზაზე;

2. როცა რაიმეს საწინააღმდეგოს უარყოფენ, ამით ამ რაიმეს აუცილებლობას აჩვენებენ, ე. ი. მას ას ას აბუთებენ, მაგრამ თვითონ ასეთად დასასაბუთებელს საწინააღმდეგოს უარყოფის საშუალებად, ამ აზრით, საფუძვლად იყენებენ. რაიმეს აუცილებლობა, როგორც საწინააღმდეგოს უარყოფა, ამ რაიმეს, როგორც გარკვეული საფუძვლი დასაბუთება.

ასეთი საფუძვლის ასეთ დასაბუთებას უარყოფა ითობა კ ახასიათებს და დაცებითობა ც: რაიმე საბუთდება საწინააღმდეგოს უარყოფა, ე. ი. დასაბუთება უარყოფით სრულდება, სწორედ უარყოფა ასაბუთებს ამ რაიმეს, მაგრამ ისე, რომ ეს რაიმე უარყოფის შედეგი (ამ სიტყვების ჩვეულებრივი გავებით) კი არაა, არამედ—სწორედ მისი საფუძველია, საშუალება. საწინააღმდეგოს უარყოფით რაიმეს დასაბუთება წინააღმდეგობის უარყოფაა, მაგრამ მიჩნევაა. მაგრამ აუცილებელი უარყოფა და წინააღმდეგობა გამოყენებული როგორც საშუალება—საფუძველი რაიმეს დასასაბუთებლად და ამ რაიმეს საწინააღმდეგოს უარსაყოფად. მაგალითად, როცა დაბოლოებულს აღარებენ და დაუბოლოებელს უარყოფენ, მაშინ ამ უარყოფით დაბოლოებულს ასაბუთებენ და, დაბოლოებულის საფუძვლად გამოყენებით, დაუბოლოებელის შეუძლებლობის დასაბუთებას ცდილობენ. მაგრამ ამ შემთხვევაში უკვე მოხმარებულია წინააღმდეგობა დაბოლოებულსა და დაუბოლოებელს შორის; თვითონ მას წინა-

აღმდევებობა არის საშუალება, რომლითაც, ერთი მხრივ, დაბოლოებული აბსოლუტურად წარმოადგენენ (ე. ი. მას დაუბოლოებელის მნიშვნელობას აძლევენ) და, მეორე მხრივ, დაუბოლოებელს აბოლოებენ. ეს ორგაზო შეუძლებელი არის თვით ასაბუთებელი დაუბოლოებელს, როგორც დაბოლოებულის და არადაბოლოებულის ერთიანობას, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობას.

მაშასადამ, ლოგიკურში ადგილი აქვს შინაგან ურყოფასაც. როგორც აღინიშნა, მსჯელობა, როგორც გარკვეული ერთიანი აზრი, განსხვავებას შეიცავს; განსხვავებაში კი უარყოფა აუცილებლობით არსებობს. ეს უარყოფა მსჯელობის და დასკვნის აუცილებელი მომენტით და სინთეზურობისათვის აუცილებელ. ანალიზურობას ქმნის. თუ ერთიანობაში მყოფი განსხვავებულები ერთმძრორეულ უარყოფება, ე. ი. თუ საქმე გვაქვს ურთიერთურყოფასთან, რომელიც წინააღმდევობას წარმოადგენს, მაშინ შეიძლება ითვას, რომ შინაგან უარყოფის საშუალებით დაუბოლოებებს მომენტი ნტი ვლინდება. თუ, ლოგიკურად, დაბოლოებული არის ის, რაც სხვით დგინდება და უარყოფა, მაშინ დაუბოლოებელი იქნება ის, რაც დადებითობის და უარყოფითობის ერთიანობას წარმოადგენს.

წინააღმდევობას მხოლოდ ორი მხარე აქვს, მესამე გამორიცხულია აუცილებლობით. ამიტომ წინააღმდევობა დაბოლოებულის ბუნებას სისრულით ამოსწურავს; წინააღმდევობის ერთიანობა კი დაუბოლოებელს წარმოადგენს. დაუბოლოებელი დაბოლოებულთა გარკვეული ერთიანობაა, სახელდობრ, ისეთი, როცა დაბოლოებული წინააღმდევობის მხარეებს წარმოადგენს;—ურთიერთუარყოფის საშუალებით ერთიმეორებს აბოლოებენ, მაგრამ არსებობენ როგორც გარკვეული ერთიანობის მომენტები. დაუბოლოებელი არც მხოლოდ ერთიანობაა და არც მხოლოდ წინააღმდევობაა. წმინდა ერთიანობა შეუძლებელია, რადგან მას (ერთიანობას) იმით აქვს აზრი, როს ერთიანობასაც ის წარმოადგენს. ერთიანობა განსხვავებულთა აუცილებელი კავშირია. წმინდა წინააღმდევობა შეუძლებელია, რადგან, ასეთ შემთხვევაში, მოწინააღმდევენი ერთობენ აბათოლებენ. დაუბოლებელი არის წინააღმდევობის ერთიანობა, სადაც მოწინააღმდევენი ერთმეორებს მოითხოვენ, აღვნენ და აფუნქნებენ.

თუ არსებობს ისეთი რამ, რომ ლის უარყოფა მასვე ადგენს და ასაბუთებს, მაშინ დაპირისპირებულთა ერთიანობა (დაუბოლოებელი) ლოგიკურში აუცილებლობას უკიდურესი სისრულით გამოავლენს. დებულებაში—“ის, რის უარყოფა მასვე ასაბუთებს”—ლოგიკური აუცილებლობა სისრულით არის გამოვლენილი. დაუბოლოებებს უარყოფა ლოგიკურად, არის ის, რის უარყოფაც მასვე ასაბუთებს; რაიმეს უარყოფით მისივე დასაბუთების აუცილებლობა კი უსრულესია, ე. ი. ლოგიკური აუცილებლობა მთელი თავისი ბუნებითა განხორციელებული. მაგალითად, ჰეშმარიტების უარყოფა მასვე ასაბუთებს, ჰარიტებს, უარყოფის უარყოფა მისივე დასაბუთებაა; ასეთია დაუბოლოებელის, წინააღმდევობის, კერძოდ ზოგადის, არსებობის, ცნების, კატეგორიის დასევა უარყოფანი.

ლოგიკური აუცილებლობა სისრულით ვერ არის განხორციელებული ისეთ კავშირში დებულებებისა, როცა ერთი დებულება სხვა დებულებას ასაბუთებს ან უარყოფს; მაგრამ როცა რაიმე აზრის უარყოფა სწორედ მასვე ასაბუთებს, მაშინ ცხადია, ლოგიკური აუცილებლობა სისრულით ვლინდება. შეუძლებელია რაიმე აზრის „მეტი“ აუცილებლობით დასაბუთება, ვიდრე ის, როცა რაიმეს დასაბუთება ამ რაიმეს უარყოფით არის შესრულებული.

თუ მაგალითად, ჰეშმარიტების უარყოფა, მაშინ ეს უარყოფა ჰეშმარიტებად მიგვაჩნია; ჰეშმარიტების უარმყოფელ დებულებას ჰეშმარიტებით აქვს



აზრი. ჰეშმარიტების უარყოფისას ჰეშმარიტებას ვერ ავიცილებთ და რეგისტრურებად გვაქვს გამოყენებული. ამ შემთხვევაში აუცდენელი ჰეშმარიტების უარყოფის შედეგი (ჩვეულებრივი გაგებით) კი არ გვაქვს (ასეთი შედეგი ჰეშმარიტების არმილება იქნებოდა.—ჰეშმარიტების უარყოფის შედეგი არ შეიძლება ჰეშმარიტება იყოს), არამედ—სწორედ საშუალება, რომლის საფუძველზედაც აღნიშნული უარყოფა შესაძლებელი. მაშასადამე, ჰეშმარიტების უარყოფის შემთხვევაში ჰეშმარიტების, როგორც საფუ ძვლის და საშუალება აღ ე ბის, აუცდენლობა და მისი დადგენა-დასაბუთება გვაქვს.

როდესაც სწორ აზროვნებაში წინააღმდეგობას შეცდომად მივიჩნევთ და უარყოფთ, მაშინ საფუძვლად და საშუალებად სწორედ უარყოფა და წინააღმდეგობას გამოყენებული,—მოხმარებულია უარყოფის და წინააღმდეგობის ზოგადი აზრები—კატეგორიები. რაიმე წინააღმდეგობის უარყოფა აღგენს წინააღმდეგობის კატეგორიას, რამდენადაც აქ წინააღმდეგობის ზოგადი აზრის თავიდან აცილება შეუძლებელია; ამდენად, ეს ზოგადი აზრი აუცილებლობით დგინდება და საბუთლება.

ასე ითქმის შემდეგი შემთხვევების შესახებაც: არსებობის უარყოფის დროს თვითონ არსებობა აუცდენელია, რადგან ეს უარყოფა უნდა არსებობდეს. უარყოფის დროს უარყოფის თავიდან აკილება, ცხვდისა, შეუძლებელია. კერძოს უარყოფის დროს კერძოს ვერ ავიცილებთ, რადგან კერძოს უარყოფით მიღებული ზოგადიც კერძოა. ზოგადის უარყოფასაც აქვს ზოგადი აზრი და ფორმა. დაუბოლოებელის უარყოფა გვაძლევს დაბოლოებულს, რომელიც თვითონ არის ასლოლურური აზრით აღებული და დაუბოლოებელის ცნებას. წინასწარ გულისხმობს; დაბოლოებულის უარყოფით მიღებული დაუბოლოებელი კი თვითონ არის დაბოლოებული და სხვ.

მაშასადამე, რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა და დასაბუთება ლოგიკურ აუცილებლობას სისრულით ავლენს; მაგრამ აქ ჩვენთვის მთავრია ამ აუცილებლობის დადებითი და უარყოფითი მხარეების გარჩევა. როცა რაიმეს უარყოფით ამ რაიმეს ვერ ავიცილებთ, მაშინ საქმე გვაქვს გარკვეულ უარყოფით აშოგენ ტთა ა. რაიმეს აუცილებელი სწორედ უარყოფა უარყოფით და უარყოფითი საშინაო მიმღებით—საწინააღმდეგოს აუცდენლობაში გადადის და მას წარმოადგენს; მაგრამ, მეორე მხრივ, უარყოფის მომენტი აღნიშნულ დასაბუთებაში დადებითად აღგენს არა შედეგს (ჩვეულებრივი გაგებით), არამედ საფუძველს, საკუთარი არსებობის საშუალებას. საქმე მხოლოდ იმაში კი არაა, რომ რაიმეს უარყოფით ამ რაიმეს ვერ ავიცილებთ, არამედ, უმთავრესად, იმაში, რომ ამ აუცილებლობით და ადგენ ბითად და გვინდება გარკვეული საფუ ძვლის და როგორც საშუალება აშენება და აზრი. მაშასადამე, სტულად განხორციელებულ ლოგიკურ აუცილებლობაში რაიმეს აუცდენლობა მისი დადებითი დასაბუთებაცაა.

ზემოთ თქმულიდან ნათელი უნდა იყოს, ის. რომ როცა რაიმეს უარყოფით იგივე საბუთდება (როგორც უარყოფითი, ისე დადებითი მხრივ), მაშინ აზრი კატეგორია აღ ე ბის სტულში მოქმედებს. რაიმეს უარყოფით ამ რაიმეს მიღება, როგორც ითქვა, მისი, როგორც კატეგორიალური საშუალების, ამ აზრით, საფუძვლის დადგენა და დასაბუთებაა. საერთოდ, ლოგიკური აზროვნება კატეგორიების საშუალებით აზროვნებაა, მაგრამ კატეგორიალურისთვის უშუალოდ საქმე გვაქვს სწორედ მაშინ, როცა აუცილებლობით მიიღება ის საშუალება, რომელიც ამ აუცილებლობის საფუძველია.

რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა არის სრულიად გარკვეული და ას კ ნ ა (და ა რ ა ი ნ ტ უ ი ც ი ა, რადგან აზრთა კავშირი უარყოფით სრულდება), რომელიც სხვა (გარეგან) წარმატებას არ საჭიროებს. ამიტომ ასეთი დასკვნა და ა ბ უ თ ე ბ ა ს უდრის. ჰეშმარიტების უარყოფით ჰეშმარიტების მიღება სრულიად გარკვეული დასკვნაა, სადაც ჰეშმარიტება თავისითავს აფუძნებს; იგი ამ დასკვნაში გამოდის როგორც თავისითავს საფუძველი, მაშასადამე, —შედეგც. ეს ლოგიკური დაცუქებება მართლდება ჩეალური საფუძვლით—პრაქტიკით. რაიმეს უარყოფით მისივე დასაბუთება თ ვ ი თ ს ა ფ უ ძ ე ლ ი ს და თვითშედეგის, როგორც დასკვნა-დასაბუთების, განხორციელებს წარმოადგენს. ეს იმასაც ნიშნავს, რომ აქ სრულ დადებით აუცილებლობასთან გვაქვს საქმე. მართლია, თვითსაფუძვლის (და თვითშედეგის) დროს დადებითი კავშირი ხორციელდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს მხოლოდ ანალიზურობას, არა, პირიქით, აღნიშნული დასკვნა სწორედ უარყოფის საშუალებით არის შესრულებული; ამიტომ აქ საჯემ გვაქვს აუცილებელ სინთეზთან, სადაც აუცილებლობა სისრულით არის წარმოდგენილი. ეს სისრულე იმაში ჩაის. რომ აქ შევძლებელზა უარყოფილ იქნეს რაიმე სწორედ მისი უარყოფის შემთხვევები. მაშასადამე, როცა რაიმეს უარყოფით იგივე საბუთდება, მაშინ სრული დადებითი აუცილებლობა შინაგანი უარყოფით ხორციელდება. როცა, მაგალითად, კატეგორიების არსებობას უარყოფენ, მაშინ სწორედ უარყოფის კატეგორიას იყენებენ, ამით კი სისრულით (და დადებითად) ასაბუთებენ იმას, რის უარყოფასაც ცდილობენ.

როცა რაიმეს უარყოფით მასვე ვასაბუთებთ, მაშინ ორ მომენტთან გვაქვს საქმე: ერთია უ ა რ ყ ო ფ ი თ ი მ მომენტი, სახელით, თვით უარყოფის მომენტი (რაიმეს უარყოფა), მეორე კი— დ ა ღ ე ბ ი თ ი მ მომენტი (რაიმეს დადგენა-დასაბუთება). ამიტომ ასეთი დასკვნა და მასში განხორციელებული აუცილებლობა დიალექტიკის „ბირთვის“—დაპირის კირ ე ბ უ ლ თ ა ე რ თ ი ა ნ თ ბ ი ს (ვ. ი. ლენინი), დიალექტიკური წინააღმდეგობის ბუნებისაა.

დასკვნაში, სადაც რაიმეს უარყოფით ეს რაიმე საბუთდება, დადებითი და უარყოფითი მომენტების ს ა ფ უ ძ ე ლ ა დ ე რ თ ი ა ნ თ ბ ა ძეგს, რომელსაც სწორედ ეს რაიმე წარმოადგენს. როცა ჰეშმარიტების უარყოფით ჰეშმარიტებასვე ვალგენო, მაშინ უარყოფა და დადგენა თვითონ ჰეშმარიტებაში გერთიანებული. უარყოფის დროს დადებითობასა და უარყოფითობას აერთიანებს საფუძლად მდებარე უარყოფის კატეგორია, როგორც გარკვეული საშუალება; აქ ეს კატეგორია ზოგადობა. დასკვნა, სადაც რაიმეს უარყოფით იგივე საბუთდება წარმოადგენს დაპირისპირებულთა ე რ თ ი ა ნ თ ბ ა ს, როგორც ზ ო გ ა დ თ ბ ა ს, მისი საპირისპირო მხარეები კი — ე რ თ მ ხ რ ი ვ ი ვ თ ბ ე ბ ს.

თვითონ ზოგადის, როგორც ერთიანობის და მისი ერთმხრივობების, როგორც კერძოების—ცალკეულების თუ ერთეულების დიალექტიკური ერთიანობა არის პირველი საფუძველი და საწყისი ყველა იმ დასკვნებისა (დედუქცია, რედუქცია და სხვ.), რომლებიც ფორმალურ ლოგიკაში შეისწავლება.

ზ ო გ ა დ ი ს და ც ა ლ კ ე უ ლ ი ს დიალექტიკურ-ლოგიკური კ ა ვ შ ა რ ი სრული აუცილებლობის ბუნებისაა, იგი გარკვეული დასკვნაა და ხორციელდება გარკვეული უარყოფის საშუალებით. ზოგადი და ც ა ლ კ ე უ ლ ი ერთიანობაში მყოფი საპირისპირო ცნებებია. ცალკეულის უარყოფა და ზოგადის მიღება ზოგადს ხდის ცალკეულად, ისე როგორც ზოგადის უარყოფა ცალკეულს აძლევს აბსოლუტურ მნიშვნელობას. ზოგადის უარყოფა თვითონ არის ზოგადი მნიშვნელობის. ზოგადი და ც ა ლ კ ე უ ლ ი ერთიმეორისათვის აუცდენელი არიან. ერთიმეორეს ასაბუთებენ როგორც დადებითი, ისე უარყო-



ფითი მხრივ; ცალკეული არის ზოგადის მხარე და მას დადებითადაც უკავშირადება.

ზოგადის და ცალკეულის დიალექტიკურ-ლოგიკური კავშირი—ერთიანობა, როგორც დასკვნა, გარკვეული საწყისი და გამმართლებულია ყოველი ერთ-მხრივი, პირობითი და გარკვეული აზრით, გარეგნი აუცილებლობისა, რომელიც ლოგიკაში დღემდე ცნობილ დასკვნებშია განხორციელებული. როგორც ცნობილია, ამ დასკვნების პრინციპია : თუ არის A, მაშინ არის B.

რაიმეს უარყოფით ამ რაიმეს დასაბუთება, როგორც გარკვეული დასკვნა, ყოველი დასაბუთება ის ის, როგორც ცოდნის სისტემის, საწყისი მას არ სჭირდება სხვა საფუძველი. შინაგანი ლოგიკური აუცილებლობა მასში უპი-რობოდ, ამსოდუტურად ხორციელდება. დასაბუთების საწყისების ცნობილი სადაო პრობლემა ამგვარად უნდა გადაწყდეს.

მაშასადამე, ლოგიკური აუცილებლობა დიალექტიკური ბუნებისაა. ეს აუცილებლობა სისრულით ვლინდება და ხორციელდება ისეთ დასკვნებში, სადაც რაიმეს უარყოფით თვითონ ეს რაიმე საბუთდება. ფორმალურ ლოგიკი დღემდე ცნობილ დასკვნებში კი მისი, როგორც ზოგადის და ცალკეულის დიალექტიკური ერთიანობის, ერთმხრივობებია მეტ-ნაკლებად განხორციელებული.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ფილოსოფიის ინსტიტუტი  
თბილისი

(რედაქტირას მოუვიდა 14.6.1958)

გათვალისწინება

შ. მიძილაძე

(საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი)

არაზრდით განტოლებათა სისტემის მიახლოებითი ამონსნა

## § 1. შესავალი

ავტორის შრომაში [1], რომლის მოკლე შინაარსი გადმოცემულია [2]-ში, განხილულია სხვადასხვა საკითხები, დაკავშირებული მოცემული რეგულარული ფუნქციის ნულების შესწავლასთან. ჩამოთვლილ შრომებში გამოყენებული პრინციპი იმაზი მდგომარეობს, რომ შემოღებულია ცვლადი პარამეტრი, საზოგადოდ კომპლექსური, და უცხადო ფუნქციის არსებობის ძირითადი თეორემის დახმარებით გამწერივებულია საძიებელი ფესვი მისი მიახლოებითი მნიშვნელობის მატლობლობაში.

წინამდებარე შრომა წარმოადგენს [1]-ს გაგრძელება-განვითარებას. აქ ნაჩვენებია, რომ ფესვების გამწერივების ხერხი, მოცემული [1]-ში, გამოდგება სრულიად ზოგადი სახის განტოლებათა სისტემის ამონსნისათვის, და რომ მიღებული მწერივები კრებადია აბსოლუტურად და თანაბრად.

§ 2. რეგულარული ფუნქციის ერთი გამწერივების  
შესახებ

განვიხილოთ  $G$  არეში რეგულარული  $f(z)$  და  $F(z)$  ფუნქციები.  $y^{[m]}(z_0)$ -ით ( $m = 0, 1, \dots$ ) აღვნიშნოთ  $F(z)$ -ის სხვადასხვა რიგის კვაზიწარმოებულის მნიშვნელობანი წერტილში  $z = z_0$   $\left( \text{თვითეული } n\text{-შანი } \frac{d}{dz_0} F(z) \text{ ვრცელდება } m\text{-დევნონო } G \text{ გამოხატულებაზე } f'(z_0) \neq 0 \right)$ :

$$y^{[0]}(z_0) = F(z_0),$$

$$y^{[1]}(z_0) = \frac{I}{f'(z_0)} \frac{d}{dz_0} F(z_0),$$

$$y^{[2]}(z_0) = \frac{I}{f'(z_0)} \frac{d}{dz_0} \frac{I}{f'(z_0)} \frac{d}{dz_0} F(z_0)$$

და ასე შემდეგ.

გამოვიყვანოთ ფორმულა, რომლის დახმარებითაც შეიძლება  $F(z)$  ფუნქციის გამწერივება  $f(z)$ -ის ხარისხებად შემდეგი თეორემის მიხედვით:

თუ  $z$ -ის ფუნქცია  $f(z)$  რეგულარულია  $G$  არეში და  $z_0$  ამ არის ნებისმიერი შიდა წერტილია, ისეთი, რომ  $f'(z_0) \neq 0$ ,



მაშინ კოველი  $F(z)$  ფუნქცია, რეგულარული  $G$ -ში, შეიძლება გაიშალოს ისეთ

$$F(z) = \sum_{m=0}^{\infty} \frac{y^{[m]}(z_0)}{m!} [f(z) - f(z_0)]^m \quad (1)$$

მწკრივად, რომელიც თანაბრად და აბსოლუტურად კრებადია  $|z - z_0|$  საკმარისად მცირე მნიშვნელობათათვის.

ამ თეორემის დასამტკიცებლად შემოვიყვანოთ კომპლექსური ცვლადი, დაკავშირებული  $z$  ცვლადთან განტოლებით

$$f(z) = t.$$

მოვითხოვთ, რომ  $f'(z)$  არ იქცევა ნულად  $G$  არეში. რამდენადაც  $f(z)$  რეგულარულია  $G$ -ში [ $\text{ხოლო } f'(z_0) \neq 0$  ამ არეში] — ავსახოთ  $f(z)$ -ის დანარჩებით  $z$  სიბრტყის  $G$  არე,  $t$  სიბრტყის რაიმე  $D$  არეში; ამ არეში  $z$ -ი უს რეგულარული ფუნქცია იქნება. ამიტომ, ჯერ ერთი,  $D$ -ში მოიძებნება ერთადერთი შილა წერტილი  $t_0 = f(z_0)$ , შესაბამისი  $G$ -ს  $z_0$  წერტილისა, ხოლო მეორეც — ამ  $t_0$  წერტილის მახლობლობაში  $F(z)$  დაიშლება ტეილორის მწკრივად:

$$F(z) = \Phi(t) = \sum_{m=0}^{\infty} \frac{(t - t_0)^m}{m!} \Phi^{(m)}(t), \quad (2)$$

სადაც ნულოვანი რიგის წარმოებულად  $t_0$  წერტილში მიიღება თვით  $F(z)$ -ის მნიშვნელობა  $t_0$ -ში.

რამდენადაც  $z_0$  წერტილი შეესაბამება  $t_0 = f(z_0)$  წერტილს, გვიქნება

$$\Phi^{(0)}(t_0) = F(z_0) = y^{[0]}(z_0).$$

შემდეგ ვპოულობთ

$$\Phi'(t) = F'(z) \frac{dz}{dt} = \frac{1}{f'(z)} \frac{d}{dz} F(z),$$

ასე, რომ

$$\Phi'(t_0) = y^{[1]}(z_0).$$

ანალოგიურად მივიღებთ

$$\Phi''(t) = \frac{d}{dt} \Phi'(t) = \frac{1}{f'(z)} \frac{d}{dz} \frac{1}{f'(z)} \frac{d}{dz} F(z)$$

და, მაშასადამე,

$$\Phi''(t_0) = y^{[2]}(z_0),$$

და ასე შემდეგ.

თუ მიღებულ მნიშვნელობებს (2)-ში შევიტანთ, მივიღებთ (1) მწკრივს, კრებადს  $z_0$ -ის რომელიდაც მიდამოში ( $\text{შესაძლებელია } \tilde{f}(z_0)$ , ცენტრით  $z_0$ -ში, რომელიც მთლიანად მოთავსებულია  $G$  არეში).

§ 3. გამოყენება განტოლებათა ფესვების მოსახებნად

რომ გამოვიყენოთ ფორმულა (1) განტოლების ფესვების გამოსათვლელად, საკმარისია მივიღოთ  $F(z) = z$  და შევარჩიოთ  $f(z) = 0$  განტო-

ლების ფესვის მახლობლად მდებარე რომელიმე ჯე წერტილი. ამრიგად, წინა პარაგრაფის თეორემიდან მივიღებთ თეორემას განტოლების ფესვის ნების-მიერი სიზუსტით გამოთვლის შესახებ, როცა ცნობილია ფესვის მიახლოებითი მნიშვნელობა.

მაში, გვექნება თეორემა:

თუ  $f(z)$  ფუნქცია რეგულარულია  $G$  არეში და  $f(z) = 0$

განტოლებას აქვს  $G$ -ში მარტივი  $z = \alpha$  ფესვი:

$$f(\alpha) = 0, f'(\alpha) \neq 0,$$

მაშინ

$$\alpha = \sum_{m=0}^{\infty} \frac{(-1)^m y^{[m]}(\zeta_0)}{m!} [f(\zeta_0)]^m, \quad (3)$$

სადაც

$$y^{[0]}(\zeta_0) = \zeta_0, \quad y^{[1]}(\zeta_0) = \frac{1}{f'(\zeta_0)}, \quad y^{[2]}(\zeta_0) = \frac{1}{f'(\zeta_0)} \frac{d}{d\zeta_0} \frac{1}{f'(\zeta_0)}$$

და ასე შემდეგ.

აქ  $\zeta_0$  არის  $\alpha$ -ს მიახლოებითი მნიშვნელობა (რომელიც შესაძლებელია ზოგჯერ მეტად უხეშიც კი იყოს) და რომლის შესარჩევად ზოგჯერ სასარგებლოვა

$$|f(\zeta_0)| \ll |f(z^*) - f(\zeta_0)|$$

უტოლობის გამოყენება. უკანასკნელში  $\zeta^*$ -ით აღნიშნულია  $G$ -ს საზღვარზე მოთავსებული  $f'(z)$ -ის ნული, უახლოესი  $\zeta_0$ -ისათვის, ხოლო  $\ll$  ნიშანი გვეუბნება, რომ უტოლობის მარცხნიანი ნაწილი მნიშვნელოვნად ნაკლები უნდა იყოს მის მარჯვნივ მოთავსებულ სიდიდეზე. საზოგადოდ კი, ჯე წერტილი ისეთ-ნაირად შეირჩევა, რომ  $f(z)$ -ის მოდული ამ წერტილში საკმარისად მცირე იყოს.

მე-(3) ფორმულა გაშლილი სახით ასე გამოიყენება:

$$\begin{aligned} \alpha &= \zeta_0 - \frac{f(\zeta_0)}{f'(\zeta_0)} - \frac{1}{2!} \frac{f''(\zeta_0)}{f'(\zeta_0)} \left( \frac{f(\zeta_0)}{f'(\zeta_0)} \right)^2 \\ &\quad - \frac{1}{3} \left[ \frac{f'''(\zeta_0)}{f'(\zeta_0)} - 3 \left( \frac{f''(\zeta_0)}{f'(\zeta_0)} \right)^2 \right] \left( \frac{f(\zeta_0)}{f'(\zeta_0)} \right)^3 + \dots \end{aligned}$$

ამ ფორმულის მიღების სხვანაირა გზა მოცემულია ავტორის შრომებში [1, 2]. სხვა გზები მოცემულია შრომებში [3, 4].

უკანასკნელად აღნიშნავთ, რომ  $f(z)$  ფუნქციის ნულების გამოთვლა შეიძლება იტერაციის ხერხითაც მე-(3)-ის

$$S_n(z) = \sum_{m=0}^n (-1)^m \frac{y^{[m]}(z)}{m!} [f(z)]^m$$

ნაწილობითი ჯამების დახმარებით.

მიმდევრობითი მიახლოებანი გვაძლევენ მიმდევრობას:

$$\zeta_k = S_n(\zeta_{k-1}) \quad (k = 1, 2, \dots).$$

აქ ის — საძიებელი ფესვის მიახლოებითი მნიშვნელობაა.  
გამოთვლები გვაძლევენ

$$\frac{d}{d\zeta} S_n(\zeta) = \frac{(-1)^n}{n!} y^{[n+1]}(\zeta) f'(\zeta) [f(\zeta)]^n.$$

აქედან დავასკვნით, რომ  $S_n(\zeta)$  გვაძლევს  $n+1$  რიგის იტერაციას, რადგან მისი  $n$ -ური რიგის წარმოებული იქცევა ნულად  $f$ -თან ერთად.  $S_1(\zeta)$  იტერაცია შეესაბამება ნიუტონის ხერხს.

მე-(3) ფორმულა გამოდგება ფესვების ამოსალებად რიცხვებიდან. ამისათვის მივიღოთ

$$f(\zeta) = \zeta^n - q.$$

მაშინ

$$\sqrt[m]{q} = \zeta_0 \left\{ 1 - \sum_{m=1}^{\infty} \frac{(-1)^m}{m!} \prod_{k=1}^{m-1} (kn - 1) \left( \frac{q\zeta_0^{-n} - 1}{n} \right)^m \right\}.$$

აქ

$$\prod_{k=1}^{m-1} (kn - 1)$$

უნდა გავუტოლოთ ერთს, როცა  $m = 1$ .  $\zeta_0$ -ის შერჩევისას უნდა მივაღწიოთ მხოლოდ იმას, რომ დაქმაყოფილდეს უტოლობა

$$|\zeta_0^n - q| \ll |\zeta_0^n|.$$

#### § 4. თავსებად განტოლებათა სისტემა

ნაცვლად მოცემული  $m$  უცნობიანი განტოლებათა სისტემისა

$$F_k(w_1, w_2, \dots, w_m) = 0 \quad (k=1, 2, \dots, m), \quad (4)$$

რომელიც  $w_1, w_2, \dots, w_m$  უცნობებს შეიცავს, განვიხილოთ ახალი სისტემა

$$F_k(w_1, w_2, \dots, w_m) - F_k(w_{10}, w_{20}, \dots, w_{m0}) = \lambda_k(t - t_0), \quad (5)$$

სადაც  $t$  ცვალებადი პარამეტრია (საზოგადოდ კომპლექსური),  $t_0, w_{10}, w_{20}, \dots, w_{m0}$ -ით აღნიშნულია  $t_0, w_1, w_2, \dots, w_m$  ცვალებადების მნიშვნელობათა რომელიმე სისტემა, ხოლო  $\lambda_k$ -თი — დამხმარე უცნობები (მუდმივები); ეს მუდმივები განისაზღვრება პირობებიდან

$$\lambda_k(t_1 - t_0) = -F_k(w_{10}, w_{20}, \dots, w_{m0}),$$

სადაც  $t_0$  — რომელიმე  $t_0$ -გან განსხვავებული რიცხვია. თუ მივიღებთ,  $t = t_1$ , ამ წესით შედგენილი მე-(5) განტოლებათა სისტემა მე-(4)-ედ გადაიქცევა. ამის გარდა, როცა  $t = t_0$ , მე-(5)-ს აქვს

$$w_k = w_{k0} \quad (k = 1, 2, \dots, m)$$

ამონახსნეთა სისტემა.

ქვემოთ,  $w_k(t)$  ფუნქციებს დავშლით  $t$ -ს ხარისხების მიხედვით, ისე, რომ მათ დააკმაყოფილონ მე-(5), ხოლო შემდეგ მიღებულ დაშლებში შევცვლით  $t$ -ს,  $t_1$ -ით; ეს მოგვცემს მე-(4) სისტემის ფესვებს, თუ  $w_k(t_1)$  რიცხვების შესაბამისი დაშლები კრებადია.

ვთქვათ,  $m$  კომპლექსური ცვალებადის

$$F_1(w_1, w_2, \dots, w_m), F_2(w_1, w_2, \dots, w_m), \dots, F_m(w_1, w_2, \dots, w_m)$$

ფუნქციები რეგულარულია კომპლექსური  $t$  პარამეტრის ყველა მნიშვნელობათათვის, ვიდრე  $t$ .  $w_1, w_2, \dots, w_m$  წერტილი რჩება ( $t, w_1, w_2, \dots, w_m$ ) სივრცის  $G$  არეში, რომელიც  $t_0, w_{10}, w_{20}, \dots, w_{m0}$  წერტილს შეიცავს. თუ გარდა ამისა ფუნქციონალური დეტერმინანტი

$$J = \frac{D(F_1, F_2, \dots, F_m)}{D(w_1, w_2, \dots, w_m)}$$

ნულიდან განსხვავდება ამ წერტილში, მაშინ შედეგად მე-(5)  $m$  განტოლებათა მიმდევრობით გაწარმოებისა  $t$ -თი, მივიღებთ დამოკიდებულებებს

$$\left( \frac{\partial F_k}{\partial w_1} \right)_0 w_1^{(n)}(t_0) + \left( \frac{\partial F_k}{\partial w_2} \right)_0 w_2^{(n)}(t_0) + \dots + \left( \frac{\partial F_k}{\partial w_m} \right)_0 w_m^{(n)}(t_0) = (\sigma_k)_0, \quad (6)$$

$$(k = 1, 2, \dots, m; n = 1, 2, \dots)$$

სადაც  $(\sigma_k)_0$  ისეთი გამოსახულებებია, რომლებიც  $n$ -ზე დაბალი რიგის წარმოებულებს შეიცავენ (ამის დამტკიცება აღვილია ინდუქციით).

თუ შევიტანოთ მე-(6) დამოკიდებულებებში  $n$ -ის შაგიერ ერთს, ორს, სამს და ასე შემდეგ, მივიღებთ წრფივ განტოლებათა სისტემას, გარგისს  $w'_k(t_0), w''_k(t_0), \dots$  წარმოებულების მიმდევრობით გამოთვლისათვის, რამდენადაც სისტემების  $J$  დეტერმინანტი ნულიდან განსხვავებულია. როგორც კი ამ წარმოებულებს გამოვითვლით, აღვილად გამოვწერთ მწყრივებს

$$w_k(t) = w_k(t_0) + \frac{t - t_0}{1!} w'_k(t_0) + \frac{(t - t_0)^2}{2!} w''_k(t_0) + \dots,$$

რომლებიც თანაბრად და აბსოლუტურად კრებადია  $|t - t_0|$ -ის საკმარისად მცირე მნიშვნელობათათვის. როცა  $t = t_1$ , ეს მწყრივები მე-(4) განტოლების ფესვებს გვაძლევენ.

თითქმის არ ღირს იმის აღნიშვნა, რომ  $w_k''(t), w_k'''(t), \dots$  წარმოებულების გამოთვლა შეიძლება  $w'_k(t)$  ფუნქციების მიმდევრობითი გაწარმოებითაც  $t$ -თი და ფესვების გამოთვლისათვის გამოდგება რიცხვითი ინტეგრების მეთოდებიც.

$w_{10}, w_{20}, \dots, w_{m0}$  რიცხვების ამორჩევისათვის ზოგჯერ ხელსაყრელია სარგებლობა უტოლობებით

$$|F_k(w_{10}, w_{20}, \dots, w_{m0})| \leq |F_k(w_{1*}, w_{2*}, \dots, w_{m*}) - F_k(w_{10}, w_{20}, \dots, w_{m0})|.$$

აქ  $w_{1*}, w_{2*}, \dots, w_{m*}$  ერთ-ერთი წერტილია (უახლოესი  $w_{10}, w_{20}, \dots, w_{m0}$  წერტილისათვის), რომელშიც  $J$  იაკობიანი ნულიდ იქცევა. საზოგადოდ კი,  $w_{10}, w_{20}, \dots, w_{m0}$  უნდა შეირჩეს ისეთნაირად, რომ სიღიდე

$$|F_k(w_{10}, w_{20}, \dots, w_{m0})|$$

საქმარისად მცირე იყოს.

ავილოთ, მაგალითად, ორი განტოლება ორი დამოუკიდებელი  $w_1$  და  $w_2$  ცვალებადით და ორი ფუნქციით:

$$\left. \begin{aligned} F_1(w_1, w_2) &\equiv 5w_1^4w_2 - 10w_1^2w_2^3 + w_2^5 - 16w_2 = 0, \\ F_2(w_1, w_2) &\equiv w_1^5 - 10w_1^3w_2^2 + 5w_1w_2^4 - 16w_1 + 4 = 0. \end{aligned} \right\} \quad (7)$$

მივიღოთ

$$w_{10} = 0, \quad w_{20} = 2.$$

გამოთვლებით ვპოულობთ, რომ

$$F_1(w_{10}, w_{20}) = 0, \quad F_2(w_{10}, w_{20}) = 4.$$

ვთქვათ, ახლა  $t_0 = 0, t_1 = 0, 1$ ; ასეთ შემთხვევაში  $\lambda_1$  და  $\lambda_2$  მუდმივები მოიძებნებიან დამოუკიდებულებებიდან:

$$\begin{aligned} 0, \quad 1 \lambda_1 &= -F_1(w_{10}, w_{20}) = 0, \\ 0, \quad 1 \lambda_2 &= -F_2(w_{10}, w_{20}) = -4. \end{aligned}$$

ვლებულობთ:

$$\lambda_1 = 0, \quad \lambda_2 = -40.$$

ამრიგად, გარდაქმნილი განტოლებები, რომელნიც  $t = 0, 1$ -ისათვის მოცემულ განტოლებებად იქცევიან, ასეთ სახისაა:

$$\left. \begin{aligned} F_1(w_1, w_2) &= 0, \\ F_2(w_1, w_2) - 4 &= -40t. \end{aligned} \right\} \quad (8)$$

ახლა ჩვენ გამოვსახავთ  $w_1$  და  $w_2$ -ის ნებისმიერი რიგის წარმოებულებს, როგორც  $t$ -ის და დაბალი რიგის წარმოებულების ფუნქციებს.

განტოლებებს, რომლებსაც მივიღებთ მე-(8)-ს მიმდევრობითი გაშარმოებით, აქვთ სახე:

$$\begin{aligned} 4(w_1^3w_2 - w_1w_2^3)w'_1 + (w_1^4 - 6w_1^2w_2^2 + w_2^4 - 3, 2)w'_2 &= 0, \\ (w_1^4 - 6w_1^2w_2^2 + w_2^4 - 3, 2)w'_1 - 4(w_1^3w_2 - w_1w_2^3)w'_2 &= -8, \\ 4(w_1^3w_2 - w_1w_2^3)w''_1 + (w_1^4 - 6w_1^2w_2^2 + w_2^4 - 3, 2)w''_2 &= (12w_1^2w_2 - 4w_2^3)(w'_2 - w''_1) + (24w_1w_2^2 - 8w_1^3)w'_1w'_2, \\ (w_1^4 - 6w_1^2w_2^2 + w_2^4 - 3, 2)w''_1 - 4(w_1^3w_2 - w_1w_2^3)w''_2 &= (12w_1w_2^2 - 4w_1^3)(w''_1 - w'_2) + (24w_1^2w_2 - 8w_2^3)w'_1w'_2 \end{aligned}$$

და ასე შემდეგ.

როცა  $w_1 = 0$ , ხოლო  $w_2 = 2$ , უკანასკნელი განტოლებებიდან ვპოულობთ:

$$\begin{aligned} w'_1 &= -0,625, \quad w''_1 = 0, \quad w'''_1 = 3,66 \quad w^{(4)}_1 = 0, \\ w'_2 &= 0, \quad w''_2 = 0,977, \quad w'''_2 = 0, \quad w^{(4)}_2 = -22, \end{aligned}$$

და ამიტომ

$$w_1 = -0,1 \cdot 0,625 + \frac{(0,1)^3}{6} \cdot 3,66 = -0,0619,$$

$$w_2 = 2 + \frac{(0,1)^2}{2} \cdot 0,977 - \frac{(0,1)^4}{24} \cdot 22 = 2,0048.$$

მიღებული ფესვები ზუსტია უკანასკნელ ნიშნებამდე.

მეთოდი გამოდგება ალგებრულ განტოლებათა კომპლექსური ფესვების გამოთვლისთვისაც. ასე, თუ  $\chi$ -ის მაგივრად  $\tilde{\chi}^5 - 16\chi + 4 = 0$  განტოლებაში  $w_1 + w_2 i$ -ს შევიტანთ, დავორწმუნდებით, რომ საძიებელი ფესვების წარმოსახვითი და ნამდვილი ნაშილები იქნებიან მე-7(7) განტოლებათა სისტემის ამონასნები. თუ ზემოთ ჩატარებულ გამოთვლებს გავითვალისწინებთ, მივიღებთ, რომ

$$\tilde{\chi}_1 = -0,0619 + 2,0048i, \quad \tilde{\chi}_2 = -0,0619 - 2,0048i.$$

და ბოლოს შევნიშნავთ, რომ უკანასკნელი პარაგრაფის შედეგები გამოდგება მრავალი ცვლადების ფუნქციების ტაბულების შესაღენადაც, თუ ეს ფუნქციები განისაზღვრებიან:

$$F_k(\tilde{\chi}_1, \tilde{\chi}_2, \dots, \tilde{\chi}_p; w_1, w_2, \dots, w_q) = 0 \quad (k = 1, 2, \dots, q)$$

თავსებად განტოლებათა სისტემით, სადაც  $F_k$  — ნებისმიერი რიცხვის დამოუკიდებელი ცვალებადის (საზოგადოდ კომპლექსური) კომპლექსური ფუნქციებია.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

სტალინის სახელობის

ა. რაჭმაძის სახელობის

თბილისის სახელმწიფო

თბილისის მათემატიკის ინსტიტუტი

უნივერსიტეტი

(რედაქციას მოუვიდა 30.12.1957)

#### დამოუკიდებლი ლიტერატურა

- III. E. Mikeladze. К вопросу приближенного решения уравнения разложением корня в ряд. Тифлис, Изв. индустр. ин-та, 1, 1934, 21—47.
- III. E. Mikeladze. О корнях функции, определяемой дифференциальным уравнением. ИАН, сер. физ.-матем., 4, 1935, 559—586.
- D. R. Bluskett and H. Schwerdtfeger. A formula for the solution of an arbitrary analytic equation. Quart. Appl. Math. 3, 1945, 266—268.
- Casal, Francesco. Calcolo approssimato delle radici reali di una equazione. Inst. Lombardo Sci Lett. Rend. Cl. Sci. Mat. (5) 14 (83), 1950, 727—734.



მათემატიკა

გ. მანია

მოცემული უარისით ორგანზომილებიანი ნორმალური სიმბოლიზის  
შეფასების ძგაღრატული ცდომილება

(წარმოადგინა აკადემიკოსმა ი. ვეკუამ 6.3.1958)

ვთქვათ,  $X_1$  და  $X_2$  ემორჩილებიან შემდეგ ნორმალური განაწილების  
ქანონს

$$f(x_1, x_2) = \frac{1}{2\pi\sqrt{1-\rho^2}\sigma_1\sigma_2} e^{-\frac{1}{2(1-\rho^2)} \left[ \frac{(x_1-\mu_1)^2}{\sigma_1^2} - 2\rho \frac{(x_1-\mu_1)(x_2-\mu_2)}{\sigma_1\sigma_2} + \frac{(x_2-\mu_2)^2}{\sigma_2^2} \right]},$$

სადაც  $\mu_1$  და  $\mu_2$  არის  $x_1$  და  $x_2$  შემთხვევითი სიდიდის მათემატიკური ლო-  
დინი,  $\sigma_1$  და  $\sigma_2$ —მათი საშუალო კვადრატული გადახრა, ხოლო  $\rho$  არის  $x_1$  და  
 $x_2$  შემთხვევით სიდიდებს შორის კორელაციის კოეფიციენტი.

დავუშვათ, რომ

$$\bar{f}(x_1, x_2) = \frac{1}{2\pi\sqrt{1-R^2}S_1S_2} e^{-\frac{1}{2(1-R^2)} \left[ \frac{(x_1-\bar{x}_1)^2}{S_1^2} - 2R \frac{(x_1-\bar{x}_1)(x_2-\bar{x}_2)}{S_1S_2} + \frac{(x_2-\bar{x}_2)^2}{S_2^2} \right]}.$$

არის რაიმე შერჩევის საფუძველზე  $f(x_1, x_2)$  ნორმალური განაწილებას სიმ-  
კვრივის შეფასება.

$f(x_1, x_2)$  სიმკვრივის მოსალოდნელი შეფასება ისევე, როგორც ერთი  
განხომილების შემთხვევაში, ბუნებრივია მიიღება გადაადგილებული.

შეიძლება ვაჩვენოთ, რომ  $\bar{f}(x_1, x_2)$  სიმკვრივის მათემატიკური ლოდინი.  
შემდეგნაირად გამოისახება

$$E\bar{f}(x_1, x_2) = f(x_1, x_2, \left\{ 1 - \frac{c(x_1, x_2)}{n} + o\left(\frac{1}{n^2}\right) \right\})$$

სადაც,  $c(x_1, x_2)$  პოლინომს წარმოადგენს  $x_1$  და  $x_2$  ცვლადის მიმართ.

როგორც შემდეგი გამოკვლევა გვიჩვენებს, შეფასება იქნება არსებითა:

როგორც საწოგადოდ, აქაც მიღებულია, რომ

$$\bar{x}_1 = \frac{1}{n} \sum_{i=1}^n x_1^{(i)}, \quad \bar{x}_2 = \frac{1}{n} \sum_{j=1}^n x_2^{(j)},$$



$$S_1 = \sqrt{\frac{1}{n-1} \sum_{i=1}^n (x_1^{(i)} - \bar{x}_1)^2}, \quad S_2 = \sqrt{\frac{1}{n-1} \sum_{j=1}^n (x_2^{(j)} - \bar{x}_2)^2},$$

ხოლო  $R$  კორელაციის კოეფიციენტია შერჩევის.

გამოყენებების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია შეფასება იმისა, თუ რა სიზუსტით უახლოვდება  $f(x_1, x_2)$  უცნობი ორგანზომილებიანი ნორმალური სიმკვრივე  $f(x_1, x_2)$ -ს.

დავუშვათ, რომ დაკვირვებათა რიცხვი  $n$  საქმაოდ დიდია და მიახლოების საზომად განვიხილოთ  $f(x_1, x_2) - \bar{f}(x_1, x_2)$  სხვაობის კვადრატიდან ინტეგრალი, რომელსაც  $\psi(\bar{x}_1, \bar{x}_2, S_1, S_2, \rho, R)$ -ით აღნიშნავთ:

$$\psi(\bar{x}_1, \bar{x}_2, S_1, S_2, \rho, R) = \int_{-\infty}^{\infty} \int_{-\infty}^{\infty} [f(x_1, x_2) - \bar{f}(x_1, x_2)]^2 dx_1 dx_2. \quad (1)$$

ჩევნი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მოენახოთ  $\psi(\bar{x}_1, \bar{x}_2, S_1, S_2, p, R)$  გამოსახულებისათვის ზღვარითი კანონი, როცა  $n \rightarrow \infty$ .

აქ ჩვენ დეტალურ გამოთვლებს არ ჩავატარებთ, მეთოდი იგივე რჩება, რაც ჩვენს [3] შრომაშია მოცუმული.

ადგილად დავინახავთ, რომ ზოგადობის შეუზღუდველად შეგვიძლია მიკილოთ:  $a_1 = a_2 = 0$  და  $\sigma_1 = \sigma_2 = 1$ .

ამ შემთხვევაში (1) გამოსახულება გამარტივდება და არაროტული გამო-  
თვლების შემდეგ მივიღებთ:

$$\psi(\bar{x}_1, \bar{x}_2, S_1, S_2, \varphi, R) = \frac{i}{4\pi\sqrt{1-\rho^2}} + \frac{i}{4\pi S_1 S_2 \sqrt{1-R^2}} - \frac{i}{\pi} \frac{e^{-\frac{A}{2B}}}{\sqrt{B}}, \quad (2)$$

૬૦૩

$$A = \bar{x}_1^2(1 + S_2^2) + \bar{x}_2^2(1 + S_1^2) - 2\bar{x}_1\bar{x}_2(\rho + R S_1 S_2),$$

$$B = 1 - \rho^2 + S_1^2 + S_2^2 + S_1^2 S_2^2 (1 - R^2) - 2 \rho R S_1 S_2.$$

## შემოვიდოთ აღნიშვნა:

$$\bar{x}_1 = \frac{\tau_1}{\sqrt{n}}, \quad \bar{x}_2 = \frac{\tau_2}{\sqrt{n}}, \quad S_1 = I + \frac{\zeta_1}{\sqrt{2n}}, \quad S_2 = I + \frac{\zeta_2}{\sqrt{2n}}, \\ R = \rho + \frac{(1 - \rho^2)t}{\sqrt{n}}. \quad (3)$$

მაშინ არართული გამოთვლების შემდეგ გვექნება

$$\pi \psi_1(\tau_1, \tau_2, z_1, z_2, t) = \varphi_1(z_1, z_2, t) + \varphi_2(\tau_1, \tau_2) + T_n, \quad (4)$$

૬૦૮

$$\varphi_1(\zeta_1, \zeta_2, t) = \frac{1}{\beta^2 \pi V_{1-\rho^2}} \{ (5 - 2\rho^2)(\zeta_1^2 + \zeta_2^2) + 6\zeta_1\zeta_2 - 4V^{-2}(\zeta_1 + \zeta_2)t + 2(3 - \rho^2)(1 + 2\rho^2)t^2 \}, \quad (5)$$

$$\varphi_2(\tau_1, \tau_2) = \frac{I}{8\pi(1-\rho^2)^{3/2}} (\tau_1^2 - 2\rho\tau_1\tau_2 + \tau_2^2) \quad (6)$$

და

$$T_n = o\left(\frac{I}{\sqrt{n}}\right). \quad (7)$$

აქ  $\varphi_1(z_1, z_2, t)$  და  $\varphi_2(\tau_1, \tau_2)$  დადგებითად განსაზღვრული კვადრატული ფორმებია, ხოლო  $T_n$ , ალბათობით ნულისკენ მიისწრაფვის. ამის დამტკიცება [3]-ში მოცემული დამტკიცების ანალოგიურია.

როგორც ცნობილია [2], შედგენილი შემთხვევითი სიდიდეები ( $\bar{x}_1, \bar{x}_2$  და  $(m_{20}, m_{11}, m_{02})$  ურთიერთ დამოუკიდებელნი არიან.  $x_1$  და  $x_2$  სიდიდის ერთობლივი განაწილება ნორმალურია და აქვთ პირველი რიგის იგივე მომენტები, რაც გენერალურ ერთობლიობას და მატრიცი მეორე მომენტების  $n^{-1}M$ , სადაც:

$$M = \begin{vmatrix} \mu_{02} & \mu_{11} \\ \mu_{11} & \mu_{02} \end{vmatrix}.$$

$m_{20}, m_{11}$  და  $m_{02}$  სიდიდეთა ერთობლივი განაწილების სიმკვრივე  $m_{20} > 0$ ,  $m_{02} > 0$  და  $m_{11}^2 < m_{20}m_{02}$  არეში შემდეგნაირად გამოისახება (იხ. [2], გვ. 434—435):

$$f_n(m_{20}, m_{11}, m_{02}) = \frac{n^{n-1}}{4\pi\Gamma(n-2)} \frac{(m_{20}m_{02} - m_{11}^2)^{\frac{n-4}{2}}}{M^{\frac{n-1}{2}}} e^{-\frac{n}{2M}(\mu_{02}m_{20} - 2\mu_{11}m_{11} + \mu_{20}m_{02})}. \quad (8)$$

შევნიშნავთ, რომ

$$\left. \begin{aligned} m_{20} &= S_1^2, \quad m_{11} = RS_1S_2, \quad m_{02} = S_2^2, \\ \mu_{20} &= \sigma_1^2 = 1, \quad \mu_{11} = \rho\sigma_1\sigma_2 = \rho, \quad \mu_{02} = \sigma_2^2 = 1 \end{aligned} \right\} \quad (9)$$

და

$$M = \mu_{02}\mu_{20} - \mu_{11}^2 = 1 - \rho^2. \quad (10)$$

(3) და (8) ტოლობათა საფუძველზე ადვილად მივიღებთ  $z_1, z_2, t$ -ს ერთობლივ განაწილებას. მათი ერთობლივი განაწილების სიმკვრივე  $n \rightarrow \infty$ -თვის შემდეგნაირად გამოისახება:

$$f(z_1, z_2, t) = \frac{I}{(2\pi)^{3/2}\sqrt{1-\rho^2}} e^{-\frac{I}{2}\left[\frac{2-\rho^2}{2(1-\rho^2)}(z_1^2 + z_2^2) - \frac{\rho^2}{1-\rho^2}z_1z_2 + \sqrt{1-\rho^2}(z_1 + z_2)t + (1+\rho^2)t^2\right]} \quad (11)$$

ზუსტად ასევე  $\tau_1$  და  $\tau_2$ -ის ერთობლივ განაწილებას ექნება შემდეგი სახე:

$$\varphi(\tau_1, \tau_2) = \frac{I}{2\pi\sqrt{1-\rho^2}} e^{-\frac{I}{2(1-\rho^2)}(\tau_1^2 - 2\rho\tau_1\tau_2 + \tau_2^2)}. \quad (12)$$

როგორც (5) და (6) გვიჩვენებენ, ჩვენთვის საინტერესო კრიტერიუმში შემცირითი განაწილება შეიძლება წარმოდგენილ იქნეს დამოუკიდებელ შემთხვევით სიღიდეებისგან შედგენილ ორი დადებითად განსაზღვრული კვადრატული ფორმის კომპოზიციის სახით.

კვადრატული ფორმის განაწილების კანონი შესწავლილი იყო რიგი ავტორების მიერ, კერძოდ Gurland-მა [1] უწევნა, რომ ნორმალურად განაწილებული შემთხვევითი სიღიდეებისგან შედგენილი დადებითად განსაზღვრული კვადრატული ფორმის განაწილების კანონი შემდეგნაირად წარმოიდგინება:

$$F(x) = \frac{1}{2} + \sum_{k=0}^{\infty} \frac{a^k}{\lambda^k} \sum_{j=0}^k (-1)^j C_k^{j} G_{n+2j} \left( \frac{x}{\lambda} \right),$$

სადაც

$$G_{n+2j} \left( \frac{x}{\lambda} \right)$$

არის  $\chi^2$  განაწილების ფუნქცია და შემდეგნაირად გამოისახება:

$$G_{n+2j} \left( \frac{x}{\lambda} \right) = \frac{1}{\frac{n}{2} + j} \int_0^{\frac{x}{\lambda}} e^{-\frac{u}{2}} u^{\frac{n}{2} + j - 1} du,$$

ხოლო

$$\lambda > \frac{1}{2} \max_i \lambda_i,$$

სადაც  $\lambda_i$  მოცემული კვადრატული ფორმის მახასიათებელი ფუნქციის ფესვია.  $a_k$  არის  $r_k$ -ს კოეფიციენტი შემდეგ გამოსახულებაში:

$$\prod_{j=1}^n \sum_{i=1}^{\infty} \alpha_j^i \beta_i r^i,$$

სადაც

$$\beta_i = \left( -\frac{1}{4} \right)^i C_{2i}$$

და

$$\alpha_j = \lambda_j - \lambda.$$

ამით ჩვენი ამოცანა თეორიულად ამოხსნილია. ამ შედეგების პრაქტიკული გამოყენებისათვის საჭიროა საიმანადო ცხრილების შედგენა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
გამოთვლითი ცენტრი  
თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 12.3.1958)

დამოუკიდებული დამტკიცებული

1. J. Gurland. Quadratic forms in normally distributed random variables. *Sankhya*, 17, № 1, 1956, 37–50.
2. Г. Крамер. Математические методы статистики. Москва, 1948.
3. Г. Мания. Квадратичные оценки расхождения плотностей нормального распределения по данным выборки. Сообщения АН Грузинской ССР, 17, 1956.

მათემატიკა

## რ. ისახანოვი

შესაბამის უფლების ღია მეცნიერების სასახლე ამოცანა და  
მისი გამოყენება ინტეგრალურ განტოლებათა  
თეორიაში

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ნ. ვეკუამ 25.11.1957)

§ 1. შესავალი. ვთქვათ,  $L$  მარტივი გლუვი შეკრული კონტურია კუმბლექსური ცელადის სიბრტყეზე, ხოლო  $S^+$  და  $S^-$   $L$  კონტურით შემოსაზღვრული სიბრტყის სასრული და უსასრულო ნაწილებია. ჩვენ ვიგულისხმებთ, რომ  $\int_{S^+} f(t) dt = \int_{S^-} f(t) dt$  არეშია მოთავსებული.

ამ შრომაში ვიხილავთ შემდეგი სახის წრფივ სინგულარულ ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებას:

$$\sum_{r=0}^m \left\{ a_r(t_0) \varphi^{(r)}(t_0) + \frac{1}{\pi i} \int_{L} \frac{K_r(t_0, t) \varphi^{(r)}(t) dt}{t - t_0} \right\} = f(t_0), \quad (1)$$

სადაც  $a_r(t_0)$ ,  $K_r(t_0, t)$ ,  $f(t_0)$   $L$  კონტურის წერტილების მოცემული ფუნქციებია, რომლებიც აკმაყოფილებენ  $H$  (ჰოლდერის) პირობას  $L$ -ზე, ხოლო  $\varphi(t_0)$  საძიებელი ფუნქციაა. ჩვენ ვეძებთ (1) განტოლების ისეთ ამოხსნებს, რომელთა  $m$ -ური რიგის წარმოებული ფ<sup>(m)</sup>( $t_0$ ) აკმაყოფილებს  $H$  პირობას.

(1) სახის განტოლებასთან მცირდოდა დაკავშირებული ფუნქციათა თეორიის შემდეგი სასაზღვრო ამოცანა<sup>(1)</sup>.

მოიძებნოს უსასრულობაში სასრული რიგის მქონე უბან-უბან ჰოლომორფული ფუნქციები  $\Phi(z)$  შემდეგი სასაზღვრო პირობით:

$$\begin{aligned} & \sum_{k=0}^m \left[ A_k(t_0) \overset{(k)}{\Phi^+}(t_0) + \frac{1}{\pi i} \int_L R_k(t_0, t) \overset{(k)}{\Phi^+}(t) dt \right] \\ & + \sum_{k=0}^n \left[ B_k(t_0) \overset{(k)}{\Phi^-}(t_0) + \frac{1}{\pi i} \int_L S_k(t_0, t) \overset{(k)}{\Phi^-}(t) dt \right] = g(t_0) \quad L\text{-ზე}, \end{aligned} \quad (2)$$

სადაც  $A_k(t_0)$ ,  $B_k(t_0)$  და  $g(t_0)$   $L$ -ზე მოცემული ფუნქციებია, რომელიც  $H$  პირობას აკმაყოფილებენ;  $R_k(t_0, t)$  და  $S_k(t_0, t)$  აგრეთვე  $L$ -ზე მოცემული ფუნქციებია, ამასთან ფუნქციები

<sup>(1)</sup> ჩვენ ვისარგებლებთ ანიშვნებით და ტერმინებით, რომლებიც მოყვანილია აკად. ნ. მუსევაშვილის წიგნში [1].



$R_k^0(t_0, t) = (t - t_0) R_k(t_0, t)$ ,  $S_k^0(t_0, t) = (t - t_0) S_k(t_0, t)$   
აკმაყოფილებენ  $H$  პირობას.

$$\overset{(k)}{\Phi^+}(t) \text{ და } \overset{(k)}{\Phi^-}(t)$$

აღნიშნავენ  $\frac{d^k \Phi(\zeta)}{d\zeta^k}$  ფუნქციის სასაზღვრო მნიშვნელობებს შესაბამისად  $S^+$  და  $S^-$  არეგებიდან.

(1) სახის განტოლება 1943 წელს განიხილა ლ. მალნარაძემ [2, 3]. რამდენიმე ხნის წინათ ნ. ვეკუამ [4] მოგვცა (1) განტოლების გამოყვლევის სხვა გზა. ხსენებული ავტორები (1) განტოლებას იხილავენ (2) ამოცანისაგან დამოუკიდებლად.

(2) ამოცანის ამოხსნის საკითხი ჩვენ დაგვყავს სინგულარული ინტეგრალური განტოლების ამოხსნაზე, ხოლო მიღებული შედეგების საფუძველზე შემდეგ ვიკვლევთ (1) განტოლებას.

(2) ამოცანა მსგავსია ი. ვეკუას მიერ შესწავლილი  $N$  ამოცანისა [1]. როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, ი. ვეკუას მეთოდით შეიძლება აგრეთვე მთლიანად შევისწავლოთ (2) ამოცანა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ გზით (2) ამოცანას და (1) ინტეგრალურ განტოლებას იხილავს ი. კრიკუნოვი [5, 6, 7]. ი. კრიკუნოვის წარმოდგენაში მონაწილეობენ მუდმივები, რომელიც განისაზღვრებიან მოცემული ფუნქციისა და მისი წარმოებულების მნიშვნელობებით  $\zeta = 0$  წერტილზე. ამის გამო ის ეძებს (2) ამოცანის ისეთ ამოხსნებს, რომლებიც გარკვეულ საწყის პირობებს აკმაყოფილებენ. ეს აიძულებს ავტორს განიხილოს (1) განტოლების ამოხსნადობის საკითხი შემდეგი დამატებითი პირობებით:

$$\frac{1}{2\pi i} \int_L \varphi(\tau) \tau^{-j-1} d\tau = r_j \quad (j = 0, 1, 2, \dots, m-1),$$

სადაც  $r_j$  საწყისი მნიშვნელობებია.

ამის გარდა, (2) ამოცანაში ი. კრიკუნოვი იხილავს იმ შემთხვევას, როცა  $R_k^0(t_0, t_0) = S_k^0(t_0, t_0) \equiv 0$ . მას არა აქვს შესწავლილი (2) ამოცანის ამოხსნადობის ნიშნები.

ს 2. ინტეგრალური წარმოდგენი. აღგილი აქვს შემდეგ ოეორემა:

თოვლისა 1. ვთქვათ,  $\Phi(\zeta)$  უსასრულობაში ქრობადი ისეთი უბანუბან ჰოლომორფული ფუნქციაა, რომ არსებობენ  $\overset{(m)}{\Phi^+}(t)$  და  $\overset{(n)}{\Phi^-}(t)$ , რომელიც სასაზღვრო მნიშვნელობანი  $\overset{(m)}{\Phi^+}(t)$  და  $\overset{(n)}{\Phi^-}(t)$ , რომელიც აკმაყოფილებენ  $H$  პირობას. მაშინ  $\Phi(\zeta)$  ფუნქცია ცალსახად წარმოიდგინება შემდეგი სახით:

$$\Phi(\zeta) = \frac{1}{2\pi i} \int_L Q(\zeta, t) \mu(t) dt, \text{ როცა } \zeta \in S^+,$$

$$\Phi(\zeta) = \frac{1}{2\pi i} \int_L T(\zeta, t) \mu(t) dt, \text{ როცა } \zeta \in S^-, \quad (3)$$

სადაც

$$\begin{aligned} Q(\zeta, t) &= \frac{1}{t - \zeta}, \text{ როცა } m = 0, \quad T(\zeta, t) = \frac{1}{t - \zeta}, \text{ როცა } n = 0, \\ Q(\zeta, t) &= \frac{1}{\zeta^m} \left(1 - \frac{\zeta}{t}\right)^{m-1} \ln \left(1 - \frac{\zeta}{t}\right) \frac{t^{m-1}}{(-1)^m (m-1)!} - \sum_{k=1}^{m-1} \frac{\alpha_k t^{m-1-k}}{\zeta^{m-k}}, \\ \text{როცა } m &\equiv 1, \end{aligned} \quad (4)$$

$$T(\zeta, t) = -(z - t)^{n-1} \ln \left(1 - \frac{t}{z}\right) \frac{1}{t^n (n-1)!} + \sum_{k=1}^{n-1} \frac{\beta_k z^{n-k-1}}{t^{n-k}},$$

როცა  $n \equiv 1$ ,

ხოლო

$$\mu(t) = [t^m \Phi^+(t)]^{(m)} - t^n \Phi^-(t). \quad (5)$$

აქ  $\alpha_k$  და  $\beta_k$  მუდმივებია:

$$\begin{aligned} \alpha_k &= \frac{(-1)^{m-k}}{(m-k-1)!} \left( \frac{1}{m-1} + \frac{1}{m-2} + \cdots + \frac{1}{m-k} \right), \\ \beta_k &= \frac{(-1)^k}{(n-k-1)!} \left( \frac{1}{n-1} + \frac{1}{n-2} + \cdots + \frac{1}{n-k} \right). \end{aligned} \quad (6)$$

$$\ln \left(1 - \frac{\zeta}{t}\right) = \left( \ln \left(1 - \frac{t}{z}\right) \right)_{\text{ის}} \quad (7)$$

სახით მოცემული  $t$ -თვის და  $\zeta$ -ისათვის  $S^+$ -დან ( $S^-$ -დან) იგულისხმება შტო, რომელიც ხდება ნულის ტოლი, როცა  $\zeta = 0$  ( $\zeta = \infty$ ).

ჯერ დავამტკიცოთ შემდეგი ლემის სამართლიანობა.

**ლემა.** ვთქვათ,  $\Phi_0(\zeta)$  უსასრულობაში ქრობა დი უბან-უბან ჰოლომორფული ფუნქციაა, რომელსაც აქვს  $m$ -ური რიგის ნული  $\zeta = 0$  წერტილში. გარდა ამისა, დავუშვათ, რომ არსებობენ წარმოებულთა სასაზღვრო მნიშვნელობანი

$$\Phi_0^{(m)}(t) \text{ და } \Phi_0^{(n)}(t),$$

რომლებიც აკმაყოფილებენ  $H$  პირობას. მაშინ  $\Phi_0(\zeta)$  ფუნქცია შეიძლება წარმოვადგინოთ ასე:

$$\Phi_0(\zeta) = \frac{\zeta^m}{2\pi i} \int_L Q(\zeta, t) \mu(t) dt, \text{ როცა } \zeta \in S^+, \quad (7)$$

$$\Phi_0(\zeta) = \frac{1}{2\pi i} \int_L T(\zeta, t) \mu(t) dt, \text{ როცა } \zeta \in S^-, \quad (7)$$



۶۵۸۰۳

$$\mu(t) = \Phi_0^+(t) - t^n \Phi_0^-(t), \quad (8)$$

ხოლო  $\mathcal{Q}(z, t)$  და  $T(z, t)$  ფუნქციები განისაზღვრება (4) ფორმულებით.

(7) ფორმულების მარჯვენა მხარე აღვნიშნოთ Psi (z)-ით, მაშინ უშუალო შემოწმებით დაგრძელებით, რომ

$$\Psi^{(m)}(\zeta) = \frac{1}{2\pi i} \int_L \frac{\mu(t) dt}{t - \zeta}, \quad \text{where } \zeta \in S^+,$$

$$\Psi^{(n)}(\zeta) = \frac{\zeta^{-n}}{2\pi i} \int_L \frac{\mu(t) dt}{t - \zeta}, \quad \text{where } \zeta \in S^-.$$

ଓଡ଼ିଆ

$$\mu(t) = \overset{(m)}{\Psi^+}(t) - t^n \overset{(n)}{\Psi^-}(t).$$

მიღებული ტოლობის (8) ტოლობასთან შედარებით ვრწმუნდებით ლემის-სამართლიანობაში.

ასელა თეორემა 1-ის დასამტკიცებლად საკმარისია შევნიშნოთ, რომ თუ ფუნქცია  $\Phi(z)$  აქმაყოფილებს თეორემის პირობებს, მაშინ ფუნქცია  $\Phi_0(z)$  განსაზღვრული ტოლობებით  $\Phi_0(z) = z^m \Phi(z)$ , როცა  $z \in S^+$  და  $\Phi_0(z) = \Phi(z)$ , როცა  $z \in S^-$ , აქმაყოფილებს ლემის პირობებს.

§ 3. სასაზღვრო ამოცანა. ახლა განვიხილოთ სასაზღვრო ამოცანა (2). ჩვენ ვეძებთ ამ ამოცანის ისეთ ამოხსნებს, რომელთა წარმოებულების სასაზღვრო მნიშვნელობანი

$$\Phi^+(t) \otimes \Phi^-(t)$$

აკმაყოფილებებს  $H$  პირობას. თუ  $R_m^0(t_0, t_0) = S_n^0(t_0, t_0) \equiv 0$ , მაშინ შეიძლება ვაჩვენოთ, რომ (2) ამოცანის ყოველ ამოხსნას აქვს ეს თვისება.

ზემოთ ნათქვამის საფუძველზე (2) ამოცანის ამოხსნა შეგვიძლია ვეძებოთ შემდეგი სახით:

$$\Phi(\zeta) = \frac{1}{2\pi i} \int_{\Gamma} Q(\zeta, t) \mu(t) dt, \text{ where } \zeta \in S^+,$$

$$\Phi(\zeta) = \frac{1}{2\pi i} \int_{\Gamma} T(\zeta, t) \mu(t) dt + p(\zeta), \quad \text{where } \zeta \in S^-, \quad (9)$$

## ՚Եօծլեթա զահվենոտ, ՚Ի՞մ

$$\Phi^+(t_0) = \frac{1}{2\pi i} \int_L Q_k(t_0, t) \mu(t) dt,$$

$$(k = 0, 1, 2, \dots, m-1)$$

$$\begin{aligned} \Phi^-(t_0) &= \frac{1}{2\pi i} \int_L T_k(t_0, t) \mu(t) dt + p^{(k)}(t_0), \\ (k = 0, 1, 2, \dots, n-1) \\ \Phi^+(t_0) &= \frac{\mu(t_0)}{2t_0^m} + \frac{1}{2\pi i} \int_L Q_m(t_0, t) \mu(t) dt, \\ \Phi^-(t_0) &= -\frac{\mu(t_0)}{2t_0^n} + \frac{1}{2\pi i} \int_L T_n(t_0, t) \mu(t) dt + p^{(n)}(t_0), \end{aligned} \quad (10)$$

სადაც

$$\begin{aligned} Q_k(\zeta, t) &= \frac{\partial^k}{\partial \zeta^k} Q(\zeta, t) \quad (k=0, 1, 2, \dots, m), \\ T_k(\zeta, t) &= \frac{\partial^k}{\partial \zeta^k} T(\zeta, t) \quad (k=0, 1, 2, \dots, n). \end{aligned}$$

თუ ამ მნიშვნელობებს შევიტანთ (2) სასაზღვრო პირობებში,  $\mu(t)$ -თვის მივიღებთ შემდეგ სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებას:

$$N_\mu \equiv M(t_0) \mu(t_0) + \frac{1}{\pi i} \int_L N(t_0, t) \mu(t) dt = F(t_0) L\text{-ტე}, \quad (11)$$

სადაც  $M(t_0)$ ,  $N(t_0, t)$ ,  $F(t_0)$   $H$  კლასის გარკვეული ფუნქციებია.

(11) განტოლება იქნება ნორმალური სახის, თუ

$$A_m(t_0) + R_m^0(t_0, t_0) \neq 0, \quad S_m^0(t_0, t_0) - B_m(t_0) \neq 0.$$

შემდგომ ჩვენ ვიგულისხმებთ, რომ ეს პირობები შესრულებულია.

(11) განტოლების ამოხსნადობისათვის აუცილებელია და საკმარისი შესრულებულ იქნეს შემდეგი პირობები:

$$\int_L F(t) v_i(t) dt = 0 \quad i = 1, 2, \dots, k',$$

სადაც  $v_1(t)$ ,  $v_2(t)$ , ...,  $v_{k'}(t)$  არის მიკავშირებული განტოლების

$$N' \nu \equiv M(t_0) \nu(t_0) + \frac{1}{\pi i} \int_L N(t, t_0) \nu(t) dt = 0 \quad (12)$$

წრფივად დამოუკიდებელ ამოხსნათა სრული სისტემა.

როგორც ცნობილია, თუ  $k$  და  $k'$  აღნიშნავს მიკავშირებული ერთგვაროვანი განტოლებების  $N_\mu \equiv 0$  და  $N'_\nu \equiv 0$  წრფივად დამოუკიდებელ ამოხსნათა რიცხვს, მაშინ  $k - k' = \alpha$ , სადაც  $\alpha$  (11) განტოლების ინდექსია.

ადგილი აქვს შემდეგ თეორემას:

თომორება 2. იმისათვის, რომ (2) ამოცანა იქნეს ამოხსნადი ნებისმიერი მარჯვენა მხარისათვის მოცემული მთავარი ნაწილით უსასრულობაში აუცილებელია და საკმარისი,

რომ  $k' = 0$ . ამ შემთხვევაში  $\chi \equiv 0$  და  $\varphi(t)$  როგორც ამოცანას აქვს ზუსტად ა წრფივად დამოუკიდებელი ამოხსნა.

§ 4. სასაზღვრო ამოცანის ამოხსნადობის ნიშნები. შემოვილოთ აღნიშვნები:

$$\Omega_1(t, z) = \sum_{k=0}^m \left[ A_k(t) Q_k(t, z) + \frac{i}{\pi i} \int_L R_k(t, t_1) Q_k(t_1, z) dt_1 \right],$$

როცა  $z \in S^-$ ,

$$\Omega_2(t, z) = - \sum_{k=0}^n \left[ B_k(t) T_k(t, z) + \frac{i}{\pi i} \int_L S_k(t, t_1) T_k(t_1, z) dt_1 \right], \quad (13)$$

როცა  $z \in S^+$ .

შეიძლება ვაჩვენოთ, რომ  $\Omega_1(t, z)$  უსასრულობაში ქრობადი პოლომორფული ფუნქციაა  $z$ -ის მიმართ  $S^-$  არეში, ხოლო  $\Omega_2(t, z)$  პოლომორფულია  $S^+$  არეში  $z$  ცვლადის მიმართ. გარდა ამისა, თუ  $v(t)$  არის (12) განტოლების ამოხსნა, მაშინ უსასრულობაში ქრობადი უბან-უბან პოლომორფული ფუნქცია  $\Psi(z)$  განსაზღვრული ფორმულებით

$$\Psi(z) = \frac{i}{2\pi i} \int_L \Omega_2(t, z) v(t) dt, \quad \text{როცა } z \in S^+,$$

$$\Psi(z) = \frac{i}{2\pi i} \int_L \Omega_1(t, z) v(t) dt, \quad \text{როცა } z \in S^-, \quad (14)$$

დააკმაყოფილებს პირობას  $\Psi^+(t_0) = \Psi^-(t_0) L$ -ზე, ე. ი.  $\Psi(z) \equiv 0$ . პირუკუც, თუ მოცემული  $v(t)$ -თვის (14) ფორმულით განსაზღვრული  $\Psi(z)$  ფუნქცია იგივერად ნულია, მაშინ  $v(t)$  იქნება (12) განტოლების ამოხსნა.

ამრიგად, (12) განტოლება ეკვივალენტურია ფუნქციონალური განტოლებებისა

$$\begin{aligned} \frac{i}{2\pi i} \int_L \Omega_1(t, z) v(t) dt &= 0, \quad \text{როცა } z \in S^-, \\ \frac{i}{2\pi i} \int_L \Omega_2(t, z) v(t) dt &= 0, \quad \text{როცა } z \in S^+. \end{aligned} \quad (15)$$

თავის მხრივ ეს განტოლებები ეკვივალენტურია შემდეგი ტოლობებისა:

$$\int_L \omega_j^{(1)}(t) v(t) dt = 0, \quad \int_L \omega_j^{(2)}(t) v(t) dt = 0, \quad j = 0, 1, 2, \dots,$$

სადაც  $\omega_j^{(1)}(t)$  და  $\omega_j^{(2)}(t)$  ( $j = 0, 1, 2, \dots$ ) ფუნქციებად შეგვიძლია ავილოთ ნებისმიერი ქვემოთ მოყვანილ ფუნქციათა სისტემებიდან  $1^\circ$ .

$$\omega_j^{(1)}(t) = \Omega_1(t, z_j^{(1)}), \quad j = 0, 1, 2, \dots,$$

სადაც  $z_0^{(1)}, z_1^{(1)}, \dots, S^-$  არის წერტილთა რაიმე მიმდევრობაა, რომელსაც ერთი ნაინც დაგროვების წერტილი აქვს  $S^-$ -ში.

2°.

$$\omega_j^{(1)}(t) = \left[ \frac{d^j \Omega_1(t, z)}{dz^j} \right]_{z=z_0^{(1)}}, \quad j = 0, 1, 2, \dots,$$

სადაც  $z_0^{(1)}$   $S^-$  არეს ნებისმიერად დაფიქსირებული წერტილია.  
3°.

$$\omega_j^{(1)}(t) = L[t^j] \quad j = 0, 1, 2, \dots,$$

სადაც შემოღებულია აღნიშვნა

$$L[\psi(t)] = \sum_{k=0}^m \left[ A_k(t) \psi^{(k)}(t) + \frac{i}{\pi i} \int_L R_k(t, t_1) \psi_k(t_1) dt_1 \right].$$

4°.

$$\omega_j^{(2)}(t) = \Omega_2(t, z_j^{(2)}) \quad j = 0, 1, 2, \dots,$$

სადაც  $z_0^{(2)}$ ,  $z_1^{(2)}$ , ...,  $S^+$  არეს წერტილთა რაომე მიმდევრობაა, რომელსაც ერთი მაინც დაგროვების წერტილი აქვს  $S^+$ -ში.

5°.

$$\omega_j^{(2)}(t) = \left[ \frac{d\Omega_2(t, z)}{dz^j} \right]_{z=z_0^{(2)}}, \quad j = 0, 1, 2, \dots,$$

სადაც  $z_0^{(2)}$   $S^+$  არეს ნებისმიერად დაფიქსირებული წერტილია.

§ 5. ინტეგრო-დიფერენციალური განტოლება. ვთქვათ,  $\varphi(t)$  (1) განტოლების ამოხსნაა, რომელიც აკმაყოფილებს  $H$  პირობას თავისი წარმოებულებით  $m$ -ურ რიგამცე. განვიხილოთ უსასრულობაში ქრობადი უბან-უბან ჰოლომორფული ფუნქცია  $\Phi(z)$

$$\Phi(z) = \frac{i}{2\pi i} \int_L \frac{\varphi(t) dt}{t - z}. \quad (16)$$

ადვილი სანახავია, რომ  $\Phi(z)$  დაკმაყოფილებს სასაზღვრო პირობას

$$\sum_{r=0}^m \left\{ a_r(t_0) [\Phi^+(t_0) - \Phi^-(t_0)] + \frac{i}{\pi i} \int_L \frac{K_r(t_0, t) [\overset{(r)}{\Phi^+}(t) - \overset{(r)}{\Phi^-}(t)] dt}{t - t_0} \right\} = f(t_0). \quad (17)$$

შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ, პირუქუც, თუ უსასრულობაში ქრობადი უბან-უბან ჰოლომორფული  $\Phi(z)$  ფუნქცია არის (17) ამოცანის ამოხსნა და  $\overset{(m)}{\Phi^+}(t)$  და  $\overset{(m)}{\Phi^-}(t)$  აკმაყოფილებენ  $H$  პირობას, მაშინ ფუნქცია  $\varphi(t) = \Phi^+(t) - \Phi^-(t)$  იქნება (1) განტოლების ამოხსნა.

შემოთ ნათქვამის საფუძველზე (17) ამოცანის ამოხსნა ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

$$\Phi(z) = \frac{i}{2\pi i} \int_L Q(z, t) \mu(t) dt, \quad \text{როცა } z \in S^+,$$

$$\Phi(z) = \frac{i}{2\pi i} \int_L T(z, t) \mu(t) dt, \quad \text{როცა } z \in S^-,$$

$\mu(t)$ -სათვის მიიღება შემდეგი სინგულარული განტოლება:

$$\begin{aligned}
 K_{\mu} &\equiv \frac{a_m(t_0)}{t_0^m} \mu(t_0) + \frac{1}{\pi i} \int_L \frac{K_m(t_0, t) \mu(t) dt}{t^m(t - t_0)} \\
 &+ \sum_{r=0}^m \frac{1}{2\pi i} \int_L \left\{ a_r(t_0) [Q_r(t_0, t) - T_r(t_0, t)] \right. \\
 &+ \left. \frac{1}{\pi i} \int \frac{K_r(t_0, t_1) [Q_r(t_1, t) - T_r(t_1, t)] dt_1}{t_1 - t_0} \right\} \mu(t) dt = f(t_0). \quad (18)
 \end{aligned}$$

ადგილი აქვს შემდეგ თეორემას:

თეორემა 3. (1) განტოლების ამოხსნადობისათვის აუცილებელი და საკმარისია, რომ  $f(t)$  აკმაყოფილებდეს პირობებს

$$\int_L f(t) v_j(t) dt = 0, \quad j = 1, 2, \dots, k',$$

სადაც  $v_1(t), v_2(t), \dots, v_k(t)$  არის  $K'_V = 0$  მიკავშირებული ერთგვაროვანი განტოლების წრფივად დამოუკიდებელ ამოხსნათა სრული სისტემა. თუ ეს პირობები შესრულებულია, (1) განტოლების ამოხსნა მოიცემა ფორმულით

$$\varphi(t_0) = \frac{1}{2\pi i} \int_L [Q(t_0, t) - T(t_0, t)] \mu(t) dt, \quad (19)$$

სადაც  $\mu(t)$  (18) განტოლების ამოხსნაა. (1) განტოლების ყველა ამოხსნა წარმოიდგინება (19) ტოლობის სახით.

საჭართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ა. რაზმაძის სახელობის

თბილისის მათემატიკის ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვიდა 25.11.1957)

#### დაოვაბული ლიტერატურა

1. Н. И. Мусхелишвили. Сингулярные интегральные уравнения, М.—Л., 1946.
2. Л. Г. Магнарадзе. Об одной системе линейных сингулярных интегро-дифференциальных уравнений и о линейной граничной задаче Римана. Сообщения АН ГССР, т. IV, № 1, 1943.
3. Л. Г. Магнарадзе. Теория одного класса линейных сингулярных интегро-дифференциальных уравнений... Сообщения АН ГССР, т. IV, № 2, 1943.
4. Н. П. Векуа. Об одной системе сингулярных интегро-дифференциальных уравнений... Труды Тбилисского мат. института, т. 24, 1957.
5. Ю. М. Крикунов. О решении обобщенной краевой задачи Римана и линейного сингулярного интегро-дифференциального уравнения. ДАН СССР, т. 85, № 2, 1952.
6. Ю. М. Крикунов. О решении обобщенной краевой задачи Римана... Уч. зап. Казанского ун-та, т. 112, кн. 10, 1952.
7. Ю. М. Крикунов. Обобщенная краевая задача Римана и линейное сингулярное интегро-дифференциальное уравнение. Уч. зап. Казанского ун-та, т. 116, кн. 4, 1956.

୪୦୫୦୫୧

ძვრის დრეპალობის აღმდეგ მგრუნვა ჰe-II-ეფ<sup>(1)</sup>

თანაბრად მბრუნვაი ჰელიუმ II-ის მდგომარეობის საკითხი დიდად საინტერესოა. ჰელიუმ II-ის ბრუნვა შეისწავლებოდა ე. ანდრონიკაშვილისა და ი. კავერძინის [1], დ. ოსმორინის [2], გ. ჭოლისა და ვ. ვაინენის [3], ბ. ესელსონის, ბ. ლაზარევის, კ. სინელნიკოვისა და ა. შვეცის [4] მიერ. ზომავდნენ რა თერმომეტრულ ეფექტს მბრუნვა ჰელიუმ II-ში, ე. ანდრონიკაშვილმა და ი. კავერძინმა [1] დაადგინეს, რომ ჰელიუმი ზედნად თვისებებს ინარჩუნებს ნებისმიერ მიღწეულ სიჩქარეებზე. იკვლევთნენ რა მეორე გაგრძელების სიჩქარეს მბრუნვა ჰელიუმში, გ. აო ლი და ვ. ვაინენი იმავე დასკვნამდე მივითნენ.

მიუხედავად ამისა, ყველასათვის ცხადი იყო, რომ მბრუნვა ჰელიუმის მდგომარეობა კარდინალურად განსხვავდება მისი მდგომარეობისაგან უძრაობის ან ნელი რხევითი მოძრაობის პირობებში, როცა სიჩქარე კრიტიკულზე ნაკლებია.


კეიქში, რომელიც მოთავსებულია სისტემის ქვედა ნაწილში, ხდებოდა შემდეგი სხვლების (10) აქსიალურ-ჩენებით მოძრაობები:

ა) სპილენძის დისკო, დიამეტრით 30 მმ, სისქით 2 მმ;

8) 0,025 მმ სისქისა და 30 მმ-ის ღრამეტრის მქონე ალუმინის დისკოების წყობილი. მანძილი დისკოების შორის 0,2 მმ:

3) დურალუმინის ჰიქა, დიამეტრით 41,2 მმ, გელლის სისქე 0,1 მმ; მასში მოთავსებული იყო 0,01 მმ სისქის და 40 მმ დიამეტრის მქონე ალუმინის ასი დისკო. დისკების შორის მანძილი — 0,2 მმ. ამ სხივისის ტენისის შილა (2) და

<sup>(1)</sup> მოსხენდა დაბალი ტემპერატურის ფიზიკის საკითხებზე მოწვეულ საკავშირო თათბირს. 1957 წლის 1—9 ივნისს ქ. მცხეთაში.



ჭიქა (3) დანადგარიდან ამოილებოდა და ქუსლის ნაცვლად რადიალური ზურ-  
თულა საკისარი გამოიყენებოდა.

ჩხევადი სხეული მინის გასწორებული ორეროს (11) საშუალებით, ჩამოკი-  
დებული იყო ფოსფოროვანი ბრინჯაოს ძაფზე (2), რომელსაც ოთახის ტემპერა-  
ტურა ჰქონდა. ფოლადის წყირი (13), რომელზეც მიმაგრებულია ძაფის მეორე  
ბოლო, გადის მბრუნვის სისტემის მიღმი (14), ჩობალში და შემდეგ შეორე ჩო-  
ბალში (15), რომელიც უძრავადა დამაგრებული მბრუნვა სისტემასთან. ამგვა-  
რად, ჩხევადი სხეული ერთობლივ ბრუნვაშიც იღებდა მონაწილეობას.

ჩამოკიდებული სისტემის რხევაზე დაკვირვება წარმოებდა მინის დეროს  
ზედა ნაწილში დამაგრებული სარკიდან (16) არექლილი ათინათისა და დანად-  
გარის ზევით მოთავსებული სკალის (17) საშუალებით. სინათლის სხივი სკა-  
ლამდე გადიოდა ხელსაჭყოს ბრტყელ სახურავში (18), რომელიც ორგანული  
მინისაგანაა საშუალებული. სხივის მობრუნება 90°-ით ხდებოდა დამხმარე საჩ-  
კის (19) საშუალებით, რომელიც სინათლის წყაროსთან (20) და სკალასთან  
ერთად მონაწილეობს ბრუნვაში. მბრუნვა სინათლის წყაროს კვება ხდება  
რგოლისებრი ვერცხლისწყლიანი კონტაქტების (21) საშუალებით. ბრუნვისა-  
და ასევე სპერიოდები იზომება წაშაზომებით, რომლის მინიმალური დანაყო-  
ფის ფასია 0,2 წამი.

დიუარში არსებული თხევადი ჰელიუმის უფრო სრული გამოყენების მიზ-  
ნით ცირკულაციის ძირს (4) მიმაგრებული ჰქონდა მილი (22), რომელიც ჩადიოდა  
დოუარის ფსკერამდე. ჰელიუმი ამ მილის საშუალებით შეიწოვებოდა ჭიქაში  
თერმომექანიკური ეფექტით, რომელიც აღიძებულია სეციალური ელექტრო-  
გამაბობელის მოქმედებისას. დიუარში ჰელიუმი გადის სხივის ბრუნვა  
მინის სიცონით (23) სხვა დამხმარე დიუარიდან. ტემპერატურის დაწევა ხდება ჰელიუმის ირ-  
თქლის გაზოქქით, ხოლო ტემპერატურის გაზომვა — ნაკერი თრთქლის წნე-  
ვის გზომვით ვერცხლისწყლის მანომეტრით.

დანადგარი დაგდგმულია ბეტონის მასიურ საძირკველზე, რომელიც ღრე-  
ბოთი განცალკევებულია იატაკისაგან.

ამ პირობებში შესწავლილ იქნა მძიმე დისკოსა და დისკოთა წყობილის  
რხევის პერიოდის დამკიდებულება ბრუნვის სიჩქარისაგან. ექსპერიმენტებმა  
გვიჩვენა, რომ დისკოთა წყობილის რხევის პერიოდი წარმოადგენს ბრუნვის  
სიხშირის ფუნქციას. ეს ფუნქცია არამონოტონურია (სურ. 2). ერთი მძიმე დის-  
კოს რხევის პერიოდი ცთომილების ფარგლებში, პირუკუ, არავითარ დამოკი-  
დებულებაში არ იმყოფება ბრუნვის სიჩქარესთან.

### ცხრილი 1


დისკოთა წყობილი № 1

T <sup>o</sup> K	თბრ. წმ.-1	Q რხევა წმ.-1
1,768	0	0,820
	0,196	0,812
	0,266	0,816
	0,318	0,823
	0,45	0,835
	0,55	0,839

თუმცა 1 ცხრილის მეზობელ სტრიქონებში მოყვანილი ციფრები (ე. ი.  
ბრუნვის მცირედ განსხვავებული სიჩქარეებისათვის) ცალკეულ შემთხვევებში  
ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სიღილით, რომელიც ბევრით არ აღმატება.  
ექსპერიმენტის ცთომილების პერიოდის სისტემაზრული ცვლილება ეჭვს მაინც.

არ იწევეს. რხევის პერიოდის საჭამის ცვლილებები, როდესაც ბრუნვის მცირე სიჩქარეებიდან გადავდივართ დიდ სიჩქარეებზე, დიდად ჰარბობენ ცდის ყველა შესაძლო ცოდნილებას.

ძირითადი დასკვნა, რომელსაც ვაკეთებთ ჩვენი ექსპერიმენტებიდან, არის დასკვნა იმის შესახებ, რომ თუ აქსიალურ ბრუნვით რხევაში მყოფ დისკორდა წყობილ დაედება თანაბარი ბრუნვით მოძრაობა ქრიტიკულზე მეტი სიჩქარით, შესაძლებელია ორი არსებითად განსხვავებული შემთხვევა.



სურ. 2

ერთი — შესაძლებელია ჩამოყიდებული სისტემის ბრუნვის პერიოდის გაზრდა, რაც ტრივიალურია და შეესაბამება თხევადი ჰელიუმ II-ის იმ ნაწილის მასის გაზრდას, რომელიც წარიტაცება მყარი სხეულის მოძრავი ზედაპირებით. ბუნებრივია ვიგარაულოთ, რომ ამ ეფექტს ადგილი აქვს ნორმალურ და ზედენად კომპონენტებს შორის არსებულ ურთიერთობასუნის გაშო, რომელიც, ცნობილია, თავს იწენს დიდი სიჩქარეების დროს;

მეორე — თურმე შესაძლებელია დისკორდა წყობილის პერიოდის შემცირებაც კი. ეს ეფექტი ტრივიალური არ არის, რადგან იმის ვარაუდი, რომ ნორმალური კომპონენტის სიმკვრივე მბრუნვა ჰელიუმ II-ში მცირდება, აბსოლუტურად შეუძლებელია.

მევარად, ეს ეფექტი მთლიანად უნდა მიეწეროს დამატებით დრეკად ძალებს, რომლებიც დაგავშირებული არიან თანაბრად მბრუნვა ჰელიუმ II-ის მდგრადარეობასთან; ეს კი იმას ნიშნავს, რომ მბრუნვა ჰელიუმ II-ს საკმაოდ საგრძნობი ძვრის მოღული გააჩნია.

დამზერითო მოვლენა შეიძლება აისნას მბრუნვა ჰელიუმ II-ში გრიგალური ძაფების ჰიბოთებით, რომელიც გამოთქმულ იყო ლ. ონსაგერის და შემდეგ დეტალურად დამუშავებული რ. ფეინ მანის [5] მიერ. მართლაც, გრიგალური ძაფი, ბრუნავს რა მისდამი პარალელური ლერძის ირგვლივ, დამავრებულია ორ მეზობელ დისკონტინუურ განვითარებულ გალუნავს და გასჭიმავს რა გრიგალურ ძაფს,

გამოიწვევს მის დეფორმაციას. ამ დეფორმაციის ხარჯზე აღიძგრებიან დრეკალი ძალები, რომელთა შესახებ ზემოთ იყო ნათევამი.

აღსანიშნავია, რომ ეს ეფექტი ერთდროულად და ჩვენგან დამოუკიდებლად აღმოჩენილ იქნა გ. ჰოლი ს მიერ, რომელმაც თავისი ცდების შედეგები მოახსენა დაბალი ტემპერატურების ფიზიკის მიმართ თაობის, რომელზედაც მოხსენებული იყო ეს ნაშრომი.

გაგრამ ამ მოვლენის ახსნა, მოცემული გ. ჰოლი ს მიერ, რამდენადმე განსხვავდება ჩვენი ახსნისაგან, რადგანაც იგი უშვებს, რომ მბრუნავ ჰელიუმ II-ში მოთავსებულ დისკოთა წყობილის ჩევევის პერიოდის შემცირება გამოწვეულია დისკოთა წყობილის მიმართ ჰელიუმ II-ის ცალკეული ფენების საწინააღმდეგო ფაზაში მოძრაობით.

ავტორები შეადლობას უხდიან ი. მამალაძე ს მიღებული შედეგების ირგვლივ დისკუსიისათვის, ლ. ზამთარაძე ს — დახმარებისათვის ექსპერიმენტების ჩატარებისას. ავტორები მადლობით აღნიშნავენ მექანიკოსების ე. შალვა შვილის ა და ი. პარამოვის მუშაობას, რითაც მათ უზუნველყოფს თხევადი ჰელიუმის ტემპერატურაზე ექსპერიმენტის ჩატარება.

სტალინის სახლობის  
თბილისის „სახელმწიფო უნივერსიტეტი  
(რედაქციას მოუვიდა 27.2.1958)

### დამოუკეთებული ლიტერატურა

1. Э. А. А н д р о н и к а ш в и л и и И. П. К а в е р к и н. Вращение гелия II при больших скоростях. ЖЭТФ, 28, 126, 1955.
2. D. V. Osborne. The rotation of liquid He II. Proc. phys. soc. A. 63, 909. 1950
3. H. E. Halle and W. S. Vinen. The rotation of liquid He II. I. Experiments on the propagation of second sound in uniformed rotating helium II. Pros. Roy. Soc. 1956.
4. Б. Н. Е с е л ь с о н, Б. Г. Л а з а р е в, К. Д. С и н е л ь н и к о в, А. Д. Ш в е ц, О некоторых особенностях врачающегося Не. II. ЖЭТФ, 21, 912, 1956.
5. R. Feynman. Application of quantum mechanics to liquid helium. Progress in low temperature physics 1, Ch. II, p. 36, 1955.

გეოფიზიკა

## გ. მანაგაძე

სიმძიმის ძალის ანომალიის ინტერპრეტაცია ვერტიკალური საფეხურის თანხევი  $\delta U(x, o)$  გარიაციული ფუნქციის დახმარებით

(ჭარმალებინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვ. მამასახლისოვმა 4.10.1957)

სიმძიმის ძალის ანომალიის ოდენობითი ინტერპრეტაცია ძნელდება იმის გამო, რომ დაკვირვებული ანომალიები ხშირად გართულებულია რეგიონალური გრავიტაციული ფონისა და მეზობლად მდებარე ანომალიერი სხეულების არსებობით.

აღნიშნული სიძნელის თავიდან აცილებისათვის წინამდებარე შრომაში ვიყენებთ პროფ. გ. ანდრეევის ვარიაციულ მეთოდს.

პროფესიული ეს მეთოდი მან შემოიტანა 1937 წელს სიმძიმის ძალის აღგრძლებრივი გრავიტაციების გამოსაყოფად ([2], გვ. 312), შემდგომ კი მანვე მიუთითა მაგნიტური და გრავიტაციული ანომალიების ინტერპრეტაციისათვის ამ მეთოდის გამოყენების შესაძლებლობაზე.

ვარიაციული მეთოდის თანახმად [1],  $U(x, o)$  ანომალიის ნაცვლად განხილვაში შემოიყენება სხვა  $\delta U(x, o)$  ფუნქცია, რომელიც ახასიათებს ანომალიის განაწილებას  $x$  ღრეულის გასწვრივ (დაკვირვების მიმართულება). ფუნქცია  $\delta U(x, o)$ , რომელიც იწოდება ვარიაციულ ფუნქციად (ანომალიად), დაკავშირებულია  $U(x, o)$  ანომალიასთან შემდეგი თანაფარდობით:

$$\delta U(x, o) = U(x, o) - \frac{U(x+l, o) + U(x-l, o)}{2}, \quad (1)$$

სადაც  $l$  პროფილის მონაკვეთია, რომლის სათანადო შერჩევითაც მეტწილად შეიძლება საკვლევი ანომალიიდან როგორც რეგიონალური, ისე ადგილობრივი ანომალიების გამოყოფა. მასთან ერთად თითქმის გამოირიცხება ის ცდომილება, რომელიც დაკავშირებულია უსასრულო გავრცელების მქონე სხეულის არსებობის დაშვებასთან როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური მიმართულებით.

ქვემოთ  $U(x, o)$  სახით ყოველთვის ვიგულისხმებთ  $\Delta g(x, o)$  ანომალიას და მოვიყენთ სიმძიმის ძალის ანომალიის ინტერპრეტაციის ხერხებს ვერტიკალური საფეხურის შემთხვევაში  $\delta \Delta g$  ვარიაციული ანომალიის დახმარებით.

## ვერტიკალური საფეხური

ცნობილია, რომ ([4], გვ. 376) ვერტიკალური საფეხურისათვის მიზიდულობის ვერტიკალურ მდგრენელს აქვს სახე:



$$\Delta g = k\sigma \left\{ x \ln \frac{x^2 + z_2^2}{x^2 + z_1^2} + 2 \left[ z_2 \left( \frac{\pi}{2} + \arctg \frac{x}{z_2} \right) - z_1 \left( \frac{\pi}{2} + \arctg \frac{x}{z_1} \right) \right] \right\}, \quad (2)$$

სადაც  $k$  არის გრავიტაციული მუდმივა,  $\sigma$ —ჭარბი სიმკერივე,  $z_1$  და  $z_2$ —საფეხურის ზედა და ქვედა გვერდების ჩაწოლის სიღრმეები,  $x$ —მიმდინარე კოორდინატა.

(1)-ის მხედველობაში იღებით ვარიაციული ანომალია (2) გამოსახულებისათვის შეიძლება დავწეროთ შემდეგი სახით:

$$\begin{aligned} \delta \Delta g = k\sigma & \left[ 2z_2 \arctg \frac{x}{z_2} - 2z_1 \arctg \frac{x}{z_1} + x \ln \frac{x^2 + z_2^2}{x^2 + z_1^2} - z_2 \arctg \frac{x+l}{z_2} \right. \\ & + z_1 \arctg \frac{x+l}{z_1} - \frac{i}{2} (x+l) \ln \frac{(x+l)^2 + z_2^2}{(x+l)^2 + z_1^2} - z_2 \arctg \frac{x-l}{z_2} \\ & \left. + z_1 \arctg \frac{x-l}{z_1} - \frac{i}{2} (x-l) \ln \frac{(x-l)^2 + z_2^2}{(x-l)^2 + z_1^2} \right]; \end{aligned} \quad (3)$$

უკანასკნელი ფუნქციის ექსტრემალური წერტილები მოინახება განტოლებიდან:

$$6x^4 + 2x^2(z_1^2 + z_2^2 - l^2) - [2z_1^2z_2^2 + (z_1^2 + z_2^2)l^2] = 0, \quad (4)$$

საიდანაც

$$x = \pm x_m = \quad (5)$$

$$= \pm \sqrt{\frac{i}{6} \{(l^2 - z_1^2 - z_2^2) + V(l^2 - z_1^2 - z_2^2)^2 + 6[2z_1^2z_2^2 + (z_1^2 + z_2^2)l^2]\}}.$$

შებრუნვებული ამოცანის ამოხსნისათვის საკვლევი ანომალური მრუდიდან ვაღგენთ გადავ და გადავ ვარიაციული ანომალიის მრუდებს.

თუ მიღებული მრუდების ექსტრემალურ მნიშვნელობათა აბსცისებს აღვნიშნავთ  $x_m$  და  $x'_m$ , ხოლო ვარიაციული ფუნქციის შედგენისათვის საჭირო სჭორის მონაკვეთებს  $l$  და  $l'$ , მაშინ (5) ანალოგიურად დავწერთ:

$$\begin{aligned} \pm x_m &= \pm \\ &= \pm \sqrt{\frac{i}{6} \{(l^2 - z_1^2 - z_2^2) + V(l^2 - z_1^2 - z_2^2)^2 + 6[2z_1^2z_2^2 + (z_1^2 + z_2^2)l^2]\}}, \end{aligned} \quad (6)$$

$$\begin{aligned} \pm x'_m &= \pm \\ &= \pm \sqrt{\frac{i}{6} \{(l'^2 - z_1^2 - z_2^2) + V(l'^2 - z_1^2 - z_2^2)^2 + 6[2z_1^2z_2^2 + (z_1^2 + z_2^2)l'^2]\}}. \end{aligned} \quad (7)$$

ამ განტოლებათა ამოხსნის შემდეგ მივიღებთ

$$z_1 = \sqrt{a - \sqrt{a^2 - b}} \quad (8)$$

და

$$\zeta_2 = \sqrt{a + \sqrt{a^2 - b}}, \quad (9)$$

საღაც

$$a = \frac{3x_m^4 - 3x_m'^4 + x_m'^2 l'^2 - x_m^2 l^2}{2x_m'^2 - 2x_m^2 - l'^2 + l^2}$$

და

$$b = \frac{3x_m'^4(2x_m^2 - l^2) - 3x_m^4(2x_m'^2 - l^2) - l^2 l'^2(x_m^2 - x_m'^2) - 2x_m^2 x_m'^2(l'^2 - l^2)}{2x_m^2 - 2x_m'^2 + l'^2 - l^2}.$$

გარიაციული ფუნქციის მაქსიმუმისათვის გვაქვს ფორმულა:

$$\begin{aligned} \partial \Delta g_{max} &= k \sigma \left[ 2 \zeta_2 \operatorname{arc} \operatorname{tg} \frac{x_m}{\zeta_2} - 2 \zeta_1 \operatorname{arc} \operatorname{tg} \frac{x_m}{\zeta_1} + x_m \ln \frac{x_m + \zeta_2^2}{x_m^2 + \zeta_1^2} \right. \\ &- \zeta_2 \operatorname{arc} \operatorname{tg} \frac{x_m + l}{\zeta_2} + \zeta_1 \operatorname{arc} \operatorname{tg} \frac{x_m + l}{\zeta_1} - \frac{1}{2} (x_m + l) \ln \frac{(x_m + l)^2 + \zeta_2^2}{(x_m + l)^2 + \zeta_1^2} \\ &\left. - \zeta_2 \operatorname{arc} \operatorname{tg} \frac{x_m - l}{\zeta_2} + \zeta_1 \operatorname{arc} \operatorname{tg} \frac{x_m - l}{\zeta_1} - \frac{1}{2} (x_m - l) \ln \frac{(x_m - l)^2 + \zeta_2^2}{(x_m - l)^2 + \zeta_1^2} \right]. \end{aligned} \quad (10)$$

თუ კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებულ გამოსახულებას აღვნიშნავთ კ-ით, მაშინ კარბი სიმკვრივის მნიშვნელობისათვის მივიღებთ:

$$\sigma = \frac{\partial \Delta g_{max}}{k \cdot n}. \quad (11)$$

კ-ს მოცემული მნიშვნელობისათვის შებრუნებული ამოცანა შეიძლება სხვა გზითაც ამოვეხსნათ.

მართლაც, საფეხურის გარდამავალ ზონაში გრადიენტის ექსტრემალური მნიშვნელობის განსაზღვრით ([3], გვ. 129)

$$(U_{xz})_m = 2k\sigma \ln \frac{\zeta_2}{\zeta_1}, \quad (12)$$

ვიპოვით, რომ

$$\zeta_2 = a \cdot \zeta_1, \quad (13)$$

საღაც

$$a = e^{\frac{(U_{xz})_{max}}{2k\sigma}}.$$

შემდეგ, თუ (4)  $\zeta_2$  შევცვლით მისი მნიშვნელობით (13), მაშინ:

$$2a\zeta_1^4 + (a^2l^2 + l^2 - 2x_m^2 - 2a^2x_m^2)\zeta_1^2 + 2x_m^2l^2 - 6x_m^4 = 0,$$

საიდანაც

$$\begin{aligned} \zeta_1 &= \sqrt{\frac{2x_m^2 + 2a^2x_m^2 - a^2l^2 - l^2}{4a^2}} + \sqrt{\left(\frac{2x_m^2 + 2a^2x_m^2 - a^2l^2 - l^2}{2a^2}\right)^2 +} \\ &\quad + \frac{3x_m^4 - x_m^2l^2}{a^2}. \end{aligned} \quad (14)$$



$\zeta_1$ -ის მნიშვნელობის შეტანით (13)-დან განვსაზღვრავთ  $\zeta_2$ -საც.

თუ საკვლევი ანომალია შეესაბამება მხოლოდ ვერტიკალურ საფეხურს, ე. ი. არაა გართულებული სხვა ანომალიებით, მაშინ  $\zeta_1$  და  $\zeta_2$  შეიძლება შემ-დეგნაირად განვსაზღვროთ.

საფეხურის კიდეზე ანომალიის  $\Delta g(0)$  მნიშვნელობის დადგენით გავი-გებთ მის სიმძლავრეს

$$\zeta_2 = \frac{\Delta g(0)}{k \pi \sigma}. \quad (15)$$

თუ საფეხურის შეა წერტილის სიღრმეს აღვნიშნავთ  $\zeta$ -ით, გაშინ  $\zeta_1$  და  $\zeta_2$  განისაზღვრება ფორმულებიდან:

$$\begin{cases} \zeta_1 = \zeta - t \\ \zeta_2 = \zeta + t \end{cases}, \quad (16)$$

სადაც

$$\zeta = \sqrt{-\frac{1}{2}(l^2 - 2t^2 - 2x_m^2)} + \sqrt{\left[\frac{1}{2}(l^2 - 2t^2 - 2x_m^2)\right]^2 - (x_m^2 l^2 + t^2 l^2 + t^4 - 3x_m^4 - 2x_m^2 t^2)} \quad (17)$$

ფესვია

$$\zeta^4 + \zeta^2(l^2 - 2t^2 - 2x_m^2) + x_m^2 l^2 + t^2 l^2 + t^4 - 3x_m^4 - 2x_m^2 t^2 = 0 \quad (18)$$

განტოლებისა, რომელიც მიიღება (4)-დან მასში  $\zeta_1$ ,  $\zeta_2$  და  $x$  ნაცვლად  $\zeta - t$ ,  $\zeta + t$  და  $x_m$  ჩასმით.

შევნიშნავთ აგრეთვე, რომ, რადგანაც საფეხურის კიდესთან ვარიაციუ-ლი ანომალია ნულს უტოლდება, ამიტომ საფეხურის კიდის გადაკვეთა პრო-ფილთან უმჯობესია დავადგინოთ  $\Delta g$  ვარიაციული ფუნქციის ნულოვანი მნიშვნელობით მის ექტრემულთა შორის.

სტალინის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(რედაქციას მოუვიდა 4.9.1957)

#### დამოუკიდული ლიტერატურა

1. Б. А. Андреев. Расчеты пространственного распределения потенциальных полей и их использование в разведочной геофизике. Известия АН СССР, сер. геоф., № 1, 1954.
2. Б. А. Андреев, М. С. Закашанский, Н. Н. Самсонов, Э. Э. Фотиади. Курс гравитационной разведки. Госгеолиздат, 1941.
3. Е. Н. Лустих. Количественная интерпретация некоторых гравитационных аномалий русской платформы. Сб. «Прикладная геофизика», вып. 6, НИИГР, Гостоптехиздат, 1950.
4. Л. В. Сорокин. Гравиметрия и гравиметрическая разведка. Гостоптехиздат, 1953.

შ. ჯაგანიშვილი

გეოგრაფია

ატმოსფერული ცალების ტირიტორიული ზანაზილება შიგნით  
ძახეთში

(წარმოადგინა აკადემიკოსმა ა. ჯაგანიშვილმა 20.1.1958)

ატმოსფერული ნალექები ერთ-ერთი ძირითადი მეტეოროლოგიური ელე-  
მენტია, რომლის რაოდენობასა და სეზონურ განაწილებას დიდი მნიშვნელობა  
აქვს სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარღისათვის.

დიდია ნალექების მნიშვნელობა, ამიტომ დიდია მისი შესწავლის ინტერე-  
სიც. ნალექებს სწავლობენ მათი წარმოქმნის, რაოდენობის, სეზონური და ტე-  
რიტორიული განაწილების თვალსაზრისით.

საერთოდ რთულია ნალექწარმომებული პირობები, უფრო რთულია ის  
გთავა მხარეებში, რადგანაც ნალექწარმომებულ საერთო პროცენტებს ემატე-  
ბა მთავარი რელიეფის თავისებურება. შიგნით კახეთი რთული ოროგრაფიული  
პირობებით ხასიათდება, რაც თავისებურ გავლენას ახდენს ნალექების რაოდე-  
ნობასა და მის ტერიტორიულ განაწილებაზე.

ნალექების თვალსაზრისით შედარებით კარგად არის გაშუქებული შიგნით  
კახეთის დაბალი ნაწილი. რაც შეეხება მაღალ ნაწილს, ის თითქმის გაუშუქებე-  
ლია მაღალმთანი საფარისებულის უქონლობის გამო.

მთავარ მხარეებში, კერძოდ შიგნით კახეთში, მოსული ნალექები თავისი წარ-  
მოქმნის მიხედვით იყოფა ფრონტალურად, კონვექციურად და ოროგრაფიუ-  
ლად.

I. ფრონტალური ნალექები და მათი წარმოქმნის  
პირობები

1. ჰაერის მასების დასავლეთიდან შემოჭრის დროს ფრონტი დიდ  
ეფექტს აღწევს დასავლეთ საქართველოში. იქ გამოიყოფა ნალექების  
დიდი რაოდენობა. აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ რაოდენებში კი არ გამო-  
მოდის მცირე ნალექი, აღმოსავლეთ რაოდენებში კი ნალექი თითქმის არ გამოი-  
ძოთა, რაც გაპირობებულია ჰაერის მასების დამატებით დინების განვითარებით.  
აღმოსავლეთით ამ ჰაერის მასას ახალი დაბრკოლება ხედება ცივ-გომბირისა  
და კახეთის ქედების სახით. აღნიშნული ქედების დასავლეთ ფრონტობზე ჰაერის  
მასა განიცდის იძულებით აღმავალ დენას და ქედების მშვერალებზე გამოი-  
ძოთა მეტნაკლები რაოდენობის ნალექი. შემდეგ, ჩრდილო-აღმოსავლეთ ფრო-  
ნტობებზე შიგნით კახეთში დაშვებისას, შრება და ნალექს არ იძლევა.  
ეს ჰაერის მასა ახალ წინააღმდეგობას ხედება კახეთის კავკასიონის სახით, რომ-  
ლის ფერდობებზე ასვლით მიმდინარეობს მისი გაცივება, ხელახლა უახლოვდე-  
ბა ნამის წერტილს და გამოიყოფა მნიშვნელოვანი ნალექი. ეს არის ერთი მი-  
ზეზი იმისა, რომ მდ. ალაზნის მარცხენა მხარე უფრო ნალექიანია მარჯვენა მხა-  
რესთან შედარებით. განხილული პროცესის დროს მოსული ნალექების რაოდე-  
ნობა დამკიდებულია შემოჭრის სიძლიერესა და ჰაერის სტრატიფიკაციაზე.

2. შიგნით კახეთში მნიშვნელოვანი ნალექის მოცემა შეუძლია დასავლეთი-  
დან ციკლონის და მასთან დაკავშირებული ფრონტის გავლას.



3. ჰერის მასების აღმოსავლეთიდან შემოჭრის შემთხვევაში საკვლევი რაიონის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი რაოდენობის ნალექები გამოიყფა. მდ. ალაზნის ზემო წელისაკენ ნალექების რაოდენობა იზრდება, რასაც პირობებს სიმაღლის გაზრდა და ხეობის მნიშვნელოვანი შევიწროება.

4. საკვლევი რაიონის ტერიტორიაზე საგრძნობი ნალექი მოდის ჰერის მასების აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ერთდროულად შემოჭრისას. მე-3 და მე-4 ტიპი გაბატონებულია წლის ცივ პერიოდში თბილ პერიოდთან შედარებით.

5. ამიერკავკასიის სამხრეთით ტალღური აღრევის ტიპი გაბატონებულია განსაკუთრებით წლის თბილ პერიოდში და შიგნით კახეთში საქმაო ნალექს იძლევა. ამ შემთხვევაში ნალექები იზრდება როგორც მდ. ალაზნის ზემო წელისაკენ, ისე მის მარცხენა მხარეზე კახეთის კავკასიონის ფერდობებზე; ეს არის მეორე გზა მდ. ალაზნის მარცხენა მხარის მეტი ნალექიანობისა.

## II. კონკეციური ნალექები

ეს ტიპი გაბატონებულია წლის თბილ პერიოდში და თითქმის 40—50% ზაფხულში მოსული ნალექებისა ამ ტიპს ეკუთვნის.

## III. ოროგრაფიული ნალექების წარმოქმნა გაპირობებულია როგორც ზოგადი, ისე ადგილობრივი ცირკულაციით.

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ნალექების წარმოქმნის პირობები მჭიდროდ არის დაკავშირებული ოროგრაფიისთვის. მისი გავლენა მიმღინარეობს მთელი წლის განმავლობაში და ვლინდება, ჯერ-ერთი, კონვექციური პროცესების გაძლიერებით, რაც გამოხატულებას პოულობს მთა-ხეობათა ქარებში; მეორე — მთები წარმოადგენს იმ დაბრკოლებას, რომელზედაც ხდება ჰერის მასებისა და ფრონტების გადასვლა.

შიგნით კახეთში ნალექების რაოდენობა დამკიდებულია რიგ ფაქტორებზე, როგორიც არის: კონვექციური პროცესების ხასიათი, ნოტიო ჰერის მასების დინებათა მიმართულება, ადგილობრივი რელიეფისა და აეროსინოპტიკური პროცესების თავისებურება. აღნიშნული ფაქტორების ზემოქმედება წლის სხვადასხვა დროს სხვადასხვა სიძლიერით არის გამოხატული, რაც განსაზღვრავს ან მხარის ნალექების მრავალფეროვნებასა და მათ ხასიათს. როგორც საერთოდ, უძაც სიმაღლის გადიდებასთან ერთად ნალექების რაოდენობა იზრდება. ყველაზე მეტი ნალექი მოდის საკვლევი რაიონის ჩრდილო ნაწილში — პანკისის ხეობაში; სადგ. ჭოყოლოს მონაცემებით წლიური ნალექების რაოდენობა 1218 მმ-ია.

მდ. ალაზნის მარჯვენა მხარეზე, ს. ს. ახმეტიდან გურჯაანიდე, საშუალო წლიური ნალექები მერყეობს 700—800მმ ფარგლებში, ხოლო გურჯაანიდან სამხრეთით — 500—700 მმ შორის.

მდ. ალაზნის მარცხენა მხარე მეტ ატმოსფერულ ნალექს იღებს, ვიდრე მარჯვენა მხარე. ხეობის ძირის გასწვრივ სხვაობა თითქმის არ არის, აქ ნალექების აოდენობა მერყეობს 710—795 მმ ფარგლებში (ცოდნის კარი, ნაფარეული); კახეთის კავკასიონის ფერდობების გასწვრივ ნალექები იზრდება 938—993 მმ-დე (ყვარელი, ლაგოდეხი) (იხ. ცხრილი 1).

ცივ-გომბორისა და კახეთის კავკასიონის ფერდობებზე ნალექები სიმაღლის გადიდებასთან ერთად თანაბარი სიღიცით არ იზრდება; ნალექების მატების გრადიენტები საგრძნობლად განსხვავდება ვართმანისაგან.

## ცხრილი 1

## თვიური და წლიური ნალექების საშუალო რაოდენობა (მმ-ით)

თვეები →	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლ.
ჯოყოლო	34	35	55	128	235	166	138	104	118	87	66	52	1218
ახმეტა	21	31	46	84	161	121	84	63	66	56	50	38	821
იყლოთო	17	26	38	84	160	120	84	63	66	56	42	32	788
თელავი	21	22	38	87	160	114	94	73	80	60	41	32	818
ნატარეული	15	32	42	91	140	103	79	61	73	61	49	30	776
ჭინანდალი	22	30	41	75	145	102	79	62	71	63	44	28	762
შემოგა	29	34	50	62	96	103	57	50	62	67	51	31	692
ენისელი	15	33	43	94	143	106	81	62	75	62	50	31	795
ვაზისტანი	28	41	47	91	134	97	79	61	91	55	42	30	796
ხევანი	19	35	48	79	135	102	70	62	82	65	47	28	782
გურჯაანი	19	28	41	68	129	96	68	52	54	47	46	35	683
სიღნაური	17	25	37	69	131	99	69	52	55	47	41	31	673
ქარდანაში	22	38	56	77	113	88	51	57	72	57	56	28	715
მაშავარი	17	30	37	67	138	94	72	62	67	56	40	30	710
დ. წინორი	26	26	36	54	101	72	44	36	52	57	39	21	574
ალაზანი	16	19	27	66	111	110	68	46	40	53	53	27	636
თეთრი წყლები	20	40	45	80	176	120	60	65	65	55	40	25	785
ყვარელი	20	48	60	96	170	125	61	63	96	85	72	42	938
ცოდნის ქარი	24	34	47	60	105	91	65	49	96	56	50	33	710
ლაგოდეხი	36	51	70	81	143	124	89	67	131	76	75	50	993

ნალექების (პლუვიომეტრიული) გრადიენტების საკითხი ჯერ კიდევ ამ არის გადაკვრილი. ეს სიდიდე დამოკიდებულია: ფერდობის ექსპონიციაზე, ადგილის დახრილობის კუთხეზე, გაბატონებული ჰაერის ნაკადების დაულობაზე, ზღვიდან დაშორებაზე, რელიეფის ფორმაზე, ჰაერის მასების სტრატიფიკაციაზე და სხვა, ამიტომ გრადიენტი ძლიერ ცვალებადია. ამას ემატება ისიც, რომ ცირკ და თბილი ფრონტის გრადიენტები განსხვავდება ერთმანეთისაგან.

გ. ჭირა ა ჭ ძ ე ს ა და ე. ზ ა ფ ე ტ ვ ა რ ი ძ ე ს შრომაში „შიდა და გარე კახეთის კლიმატი“ კახეთის კავკასიონის წყერდობისათვის მიღებული აქვთ შემდეგი სიდიდის გრადიენტები:

1200—1500 მ-დე — 60—90 მმ,

1500—2000 მ-დე — 30—50 მმ.

ამის საფუძველზე 1000—1500 მ სიმაღლეზე მოდის საშუალო წლილიაზე 1350—1400 მმ ნალექი; 1500—2000 მ სიმაღლეზე 1500—1700 მმ; ზედა ზონაში შეიძლება აღწევდეს 2000 მმ-მდე. იმის დადგენა, თუ რა სიმაღლეზე მოდის ნალექების მაქსიმალური რაოდენობა, გაძნელებულია, რადგან ესეც რიგი ფაქტორებისაგანაა დამოკიდებული და იცვლება ჰაერის დანესტიანების სიდიდის ხარისხთან დაკავშირებით.


ცივ-გომბორის ქედისათვის პლუვიომეტრიული გრადიენტი შეადგენს 25 მმ, რაც იმას მიუთითებს, რომ აქ ზედა ზონაში ნალექები 1100 მმ-ს არ უნდა აღმატებოდეს (სურ. 1). აღნიშნული ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზე ნალექების სიმცირეს აღასტურებს 1200 მ სიმაღლეზე მდებარე თეთრი-წყლების მოხაცემები. აქ ნალექების წლიური რაოდენობა 785 მმ-ია (მართლია, ეს სიდიდე მიღებულია დაკვირვების მოკლე ჰაერით და საიმედო არ არის, მაგრამ საორიენტაციოდ მაინც გამოდგება).

საკვლევი რაიონის დაბლობ ნაწილში ნალექების წლიურ მსვლელობაში შეიმჩნევა კარგად გამოხატული ორი მინიმუმი და ორი მაქსიმუმი. მთავარი მაქსიმუმი მაისის თვეშია (101—235 მმ), მთავარი მინიმუმი — იანვარის თვეში (15—36 მმ). მეორე, უფრო სუსტი, მაქსიმუმი სექტემბრის თვეშია (40—120 მმ), ნა-

ლიქების შემცირებას ადგილი აქვს აგვისტოში, რაც შეიძლება ჩათვა-ლოს მეორად მინიმუმად (36—104 მმ).

ჩათვის მაღალმთიან ზონაში, ზღვის დონიდან 1000—2000 მ სიმაღლემ-დე, მთავარი და მეორადი მაქსიმუმების გადაწევა ხდება ივლისსა და ოქტომ-ბერზე; 2000 მ ზევით კი არის ერთი მაქსიმუმი გაზაფხულის დასასრულს და ერთი მინიმუმი იახეარში.

ზამთრის ნალექების სიმცირე გაპირობებულია კონვექციური პროცესების არასებობით, ადგილობრივი ანტიციკლონების სიხშირთ და სამხრეთის ტალ-ლის გაელენის მყვეთრი შესუსტებით.



სა. 1. ნალექების ზონური ფაზების განვითარება შეგნით კახეთში (ინჟინერები).

ნალექების კარგად გამოხატული მაქსიმუმი არის გაზაფხულის დასასრულს და ზაფხულის დასაწყისში, როდესაც აქტიურად ვითარდება პოლარული ფრინ-ტის ხელთაშუა ზღვის ტოტი და სამხრეთის ტალლური აღრევანი, სუსტდება ადგილობრივი ანტიციკლონების გახენა, ამავე დროს მზის გაძლიერებული რა-ღიაციის გამო ნიადაგი თბება და შრება, რაც იწვევს ატმოსფეროს ქვედა ფე-ნების გათბობას და დანესტიანებას, რის გამოც ძლიერდება ატმოსფეროს ნოტიო არამდგრადი სტრატიფიკაცია. აღნიშნული პირობების გამო წლის ეს პერიოდი დანარჩენი პერიოდებისგან განიჩრევა ნალექების სიუხვით. ამავე პროცესებთანაა დაკავშირებული გაზაფხულის მეორე ნახევრისა და ზაფხულის პირველი ნახევრის კოკისპირული წვიმებისა და ელექტების სიხშირე.



როგორც ნალექების ტერიტორიული განაწილების განხილვიდან დავინა-  
ხეთ, შიგნით კახეთი ნალექებს საყმარისი რაოდენობით იღებს. ის ბევრად მეტ  
ნალექს იღებს აღმოსავლეთ საქართველოს სხვა დაბლობ რაიონებთან შედა-  
რებით.

ნალექების წლიური რაოდენობის სიდიდე ერთი პირობაა იმისა, თუ რამ-  
ლენად აქმაყოფილებს ის სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებას. საჭიროა გან-  
ვიზილოთ აგრეთვე, როგორია მათი განაწილება. საჭიროა ვიცოდეთ საშუ-  
ალო წლიური რაოდენობიდან რამდენ პროცენტს იღებს ესა თუ ის თვე. აქ ნა-  
ლექების მეტი რაოდენობა მოდის გაზაფხულის მეორე ნახევარში, ზაფხულში-  
და შემოდგომის პირველ ნახევარში. ეს ისეთი პერიოდებია, როდესაც სასოფ-  
ლო-სამეურნეო კულტურები მეტი რაოდენობით მოითხოვენ სინოტივეს.

წლიური ნალექების რაოდენობიდან რამდენი პროცენტი ნალექი მოდის  
თითოეულ თვეზე, ამას ნათელყოფს მე-2 ცხრილში მოყვანილი მონაცემები.

## ცხრილი 2

თვიური ნალექების რაოდენობა % -ით წლიური ნალექების ჯამიდან

თვეები	→	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
ჯოროლო	.	3	3	5	10	19	14	11	9	10	7	5	4
ახმეტა	.	2	4	5	10	20	15	10	8	8	7	6	5
თელავი	.	3	3	4	11	20	14	10	9	10	7	5	4
წინანდალი	.	3	4	5	10	19	14	10	8	9	8	6	4
ზეგანი	.	4	4	6	10	18	13	9	8	10	8	6	4
გურჯაანი	.	3	4	6	10	19	14	10	7	8	7	7	5
სიონალი	.	3	4	5	10	19	15	10	8	8	7	6	5
დ. წნორი	.	4	5	6	10	18	13	8	6	9	10	7	4
ალაზანი	.	3	3	4	10	18	16	11	7	8	8	8	4
ნაფარეული	.	2	4	5	12	18	13	10	8	10	8	6	4
ყაზრეული	.	2	5	6	10	18	13	7	7	10	9	8	5
ლაგოდეხი	.	4	5	7	8	14	12	9	7	13	8	8	5
ცოდისყარი	.	3	5	8	11	16	12	7	8	10	8	8	4
შრომა	.	4	5	7	9	14	15	8	7	9	10	7	5
ენისელი	.	2	3	6	12	18	13	10	8	10	8	6	4

მიუხედავად იმისა, რომ შიგნით კახეთი სავრძნობ ნალექებს იღებს და მათი  
განაწილებაც წლის სეზონების მიხედვით დამაკმაყოფილებელია აქ გავრცელე-  
ბული სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის, ცალკეულ გვალვან წლებში  
ხელოვნური მორწყვა მაიც საჭიროა, განსაკუთრებით მდ. ალზნის მარჯვენა  
მხარის სამხრეთ ნაწილში, რომელიც ყველაზე მცირე ნალექიანობით გამოირ-  
ჩევა რაიონის სხვა ნაწილებთან შედარებით.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
განუშერის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტი

თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 29.1.1958)

## დამოუმებული ლიტერატურა

1. ნ. დომბროვსკი. კახეთის კლიმატი. თბილისი, 1929.

2. А. Л. Шатский. Материалы к познанию климата бассейна р. Алазани. Часть I.  
Кахетия. Тбилиси, 1934.

მიზანის შესრულება

## 8. კიბელიძე

ფირომანგანუმის და დანობა აგლომერატის მიზანშეწონილობა, განსაკუთრებით ბრინჯაოს ღუმელში, ნათელია და აღნიშნულია მრავალი ავტორის მიერ [1, 2, 3]. ამ მიმართულებით სამრეწველო ცდებიცაა ჩატარებული [4], მაგრამ, მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირში ფირომანგანუმს უშუალოდ მაღნიდან აღნობენ.

ამჟამად, უანგბადის შებერვაზე გადასვლასთან დაკავშირებით ფირომანგანუმის დანობაში აგლომერატის გამოყენებას, კერძოდ კი ფლუსიანისას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ამ სამუშაოს მიზანი იყო ექსპერიმენტული მონაცემების მიღება ფირომანგანუმის დანობაში მანგანუმისა და მანგანუმის ფლუსიანი აგლომერატის გამოყენებაზე. ამ მიმართულებით ჩატარდა საცდელი დანობის სამი სერია: დანობათა I სერია — ჭიათურის მანგანუმის I ხარისხის გარეცხილ მაღანებზე; II სერია — აგლომერატზე, რომელიც მიღებული იყო I სერიის დანობებში გამოყენებული მაღნიდან; III სერია კი — ფლუსიან აგლომერატზე, რომელიც მიღებული იყო იმავე მანგანუმის მაღნიდან კირქვის დამატებით, იმ რაოდენობით, რომ უზრუნველყოთ ილიყო დანობის ჩატარება კაზმში ფლუსის როგორც დამოუკიდებელი კომპონენტის შეტანის გარეშე.

დანობებში გამოყენებული საკაზმე მასალების ქიმიური შედეგები მოყვანილია 1 ცხრილში.

ცხრილი 1

## საკაზმე მასალების ქიმიური შედეგები

დასახელება	შედეგები, %							
	Mn	MnO	SiO <sub>2</sub>	Al <sub>2</sub> O <sub>3</sub>	CaO	MgO	Fe	P
I ხარისხის მანგანუმის გარეცხილი მაღანი . . . . .	49,27	76,71	11,95	2,65	1,69	0,35	0,81	0,17
აგლომერატი . . . . .	56,47	—	12,43	2,71	1,74	0,31	0,82	0,18
ფლუსიან აგლომერატი . . . . .	51,32	—	11,32	2,56	14,11	0,29	0,78	0,01
კირქვის ნაცარი . . . . .	—	—	2,40	1,00	52,16	0,15	0,20	0,01
კოქსის ნაცარი . . . . .	—	—	38,42	22,16	3,45	1,00	15,74	0,01

კოქსის ტენიცური შედეგები: ნაცარი — 13,20%, აქროლადები — 2,35%, გოგირდი — 1,85%, სინესტე — 3,45%.

ყველა სერიის დანობისათვის ფირომანგანუმის სანგარიშო შედეგებია: მანგანუმ — 76,0%, ნაცარი — 7,0%, კუბადი — 2,0%, ფოსფორი — 0,38%, რკინა — დაახლოებით 15%.

კაზმის ანგარიშის დროს მხედველობაში მიღებული იყო: а) მანგანუმის განაწილება: შენადნობში — 75%, წილაში — 15%, თირისა და სხვა დანაკარგის სახით — 10.0%; б) წილის ფუძიანობა — 1,2%; გ) აღდგენითი პროცესისათვას საჭირო კოქსის რაოდენობა აირებში და სხვა დანაკარგების გათვალისწინებით გაზრდილი იყო 10.0%-ით.

საცდელი დნობები ტარდებოდა ელექტროლუმელში, რომელიც ელექტრონერგიით იკვებებოდა 175 კვა სიმძლავრის ერთფაზაზე ტრანსფორმატორით. ლუმელი ამოგებული იყო ზომტის აგურით, ქვედი და კედლები ქვედიდან 120 მმ სიძლლეზე დატყვპილი იყო ელექტროლების მასით; საღნობი არის ზომები დან:  $220 \times 220 \times 340$  მმ.

დნობის პროცესში ელექტრული რეჟიმი იყო: ძაბვა 40—45 კოლტი, დენის ძალა 900—1100 ამპერი.

საღნობი არის ზომების, დნობების ელექტრული და ტექნოლოგიური რეკიმის გათვალისწინებით ულუფის რაოდენობა ისე იყო გაანგარიშებული, რომ მიგვებოლ 3 კილოგრამამდე შენადნობი.

დნობათა I სერია ამ სერიის დნობები ტარდებოდა კაზმშე: მანგანუმის გარეცხილი მაღანი — 5.0 კგ, კორქვა — 1.3 კგ, რინის ბურბულელი — 0.3 კგ, კოქსიკი — 1.6 კგ.

დნობის მსვლელობისას ელექტროდი კაზმში ღრმად იჯდა, მაგრამ ლუმელი არანორმალურად მუშაობდა. საკერძებელი არის გამოყოფა იყო არათანაბარი, ზოგჯერ საკერძებელი ამოდიოდა წიდა, გამოშევების შემთხვევაში ილუქტროდზე რჩებოდა წიდის მინალული. წიდები იყო საქმაოდ თხევადი და კარგად გამოდიოდა ლუმელიდან. გაცივების შემდეგ წიდა შენადნობს კარგად სცილდებოდა.

დნობათა ამ სერიისას, ჩატარდა 18 გამოშევება. შენადნისა და წილის ჭიმური ახალიზები, დნობის ხანგრძლივობა, დაარწყული ულუფის რაოდენობა უკანასკნელი 12 გამოშევებისა მოცემულია მე-2 ცხრილში.

## ცხრილი 2

### დნობათა I სერიის შედეგები

დნობათა სერიის ნომერი	დნობის მდგრადი დრო, მნ	შენადნის ანალიზი, %	წილის			წილის ანალიზი, %							
			Mn	Si	P	Fe	წილა, კგ	Mn	SiO <sub>2</sub>	CaO	MgO	Al <sub>2</sub> O <sub>3</sub>	FeO
7	20	3,600	76,32	0,45	0,29	15,03	3,060	18,02	30,35	34,15	0,89	8,80	0,52
8	17	3,850	76,92	0,61	0,32	14,93	3,800	17,39	29,83	35,14	0,85	9,11	0,40
9	18	3,500	77,10	0,39	0,29	15,42	2,150	18,00	31,05	33,20	0,75	8,40	0,39
10	15	3,600	75,33	0,81	0,31	14,13	3,000	19,42	30,12	32,85	0,97	9,12	0,43
11	20	3,700	76,11	0,42	0,30	15,31	3,000	18,98	29,19	34,35	0,88	8,90	0,33
12	16	3,230	76,19	0,79	0,28	14,95	2,259	19,41	30,92	34,15	0,98	9,12	0,42
13	18	3,680	75,92	0,82	0,32	16,18	3,200	18,01	30,36	34,85	0,80	8,90	0,62
14	16	2,98	76,42	0,89	0,30	15,13	3,080	20,31	31,42	32,17	0,96	9,00	0,92
15	20	3,200	76,05	0,32	0,31	16,12	4,100	17,32	30,19	34,81	0,92	8,70	0,39
16	16	3,650	77,00	0,42	0,29	15,40	2,250	18,00	31,02	34,25	0,89	8,80	0,37
17	20	3,480	75,15	0,31	0,30	19,32	3,800	17,19	30,00	35,29	1,05	8,10	0,43
18	17	3,030	75,42	0,38	0,30	14,18	3,290	17,42	30,12	35,43	0,79	8,70	0,31

ამ სერიის 12 გამოშევებიდან შემდნარია 18 ულუფი.

ლუმელის სვლის მიხედვით მოსალოდნელი იყო შენადნობისა და წილის ჭიმური შედეგნილობის დიდი მერყეობა, მაგრამ როგორც ცხრ. 2-დან ჩანს, ამას ადგილი არა ჰქონდა, აღბათ ელექტროდის კაზმში საჭმაოდ ღრმად ჩაჯდომა არ ხდება გავლენის ლუმელის საღნობ არეში პროცესის მსვლელობაზე და შენადნობი და წილა შედარებით ერთგვაროვანი შედეგნილობის მიღებოდა.

დ ნ ო ბ ა თ ა III ს ე რ ი ა. დნობათა მეორე სერიის კაზშში გამოყენებული იყო აგლომერატი მიღებულ დნობათა პირველი სერიაში ხმარებული მანგანუმის შადნილან. ვინაიდან აგლომერატი ნაჭროვნების გამო იწვევს კაზშის გაფევიერებას, რაშიც მდგომარეობს მისი დნობაში გამოყენების უპირატესობა, ამიტომ დნობათა 11 და III სერიაში გამოყენებული იყო 18—0 მმ ფრაქციის აგლომერატი. უფრო დიდი ფრაქციის აგლომერატის გამოყენება ლუმელის სადნობი არის გაბარიტებით იყო ლამიტირებული.

მეორე სერიის დნობები ჩატარდა კაზშში: აგლომერატი — 5 კგ, კირქვა — 1,4 კგ, რკინის ბურბულშელა — 0,4 კგ, კოქსიკი — 1,7 კგ.

პირველი სერიის დნობებთან შედარებით, მეორე სერიის დნობის დროს ლუმელი განსაკუთრებით მდორე ელექტრულ რეიზმშე მუშაობდა. ელექტროლი ლრმად იჯდა ლუმელში. საკერძეზე თანაბრად ამონიოდა ალის ენები. კაზში თანაბრად იწვევდა ლუმელში. ლითონისა და წილის გამოშვების შემთხვევაზე საკერძილან კაზში რამდენადმე ჭდებოდა. გამოსაშვები კრიტი აღვილად იხსნებოდა და წილა და შენაღნი ნორმალურად გამოდიოდა.

დნობათა ამ სერიისას ჩატარდა 14 გამოშვება. უკანასკნელი 10 გამოშვების შედეგები მოყვანილია მე-3 ცხრილში.

## ცხრილი 3

დნობათა II სერიის შედეგები

განვითარებული ნაწილი	ნანგრევის ტენი	ნანგრევის ტენი	შენადნის ანალიზი, %				წილის წილა, კგ	წილის ანალიზი, %				
			Mn	Si	P	Fe		Mn	SiO <sub>2</sub>	CaO	MgO	Al <sub>2</sub> O <sub>3</sub>
23	15	3,900	75,81	0,92	0,27	15,32	3,600	20,41	30,15	34,00	0,82	8,41
24	18	4,370	76,12	0,81	0,30	14,96	3,000	18,00	29,08	34,21	0,74	9,12
25	14	3,850	75,39	1,04	0,28	16,14	3,400	19,81	31,17	33,45	0,84	8,20
26	20	4,580	76,39	0,49	0,27	15,00	3,200	19,41	29,21	34,05	0,80	8,37
27	16	3,970	75,98	0,41	0,29	16,03	3,400	19,18	29,92	34,12	0,75	8,44
28	14	3,700	76,10	0,92	0,29	15,43	2,650	20,11	28,45	35,42	0,69	8,02
29	15	4,100	77,00	0,46	0,28	15,31	3,700	18,95	30,00	34,21	0,82	8,45
30	17	4,470	75,82	0,93	0,29	15,92	3,400	19,12	29,00	35,19	0,69	8,16
31	14	4,000	76,41	0,49	0,30	15,17	3,300	19,09	28,42	34,31	0,82	8,71
32	15	3,160	75,98	0,53	0,19	15,00	3,350	18,04	28,04	34,11	0,92	8,00

ამ სერიის 10 გამოშვებაზე შემდნარია 15 ულუფა.

დ ნ ო ბ ა თ ა III ს ე რ ი ა. ამ სერიის დნობები ტარდებოდა შემდეგ კაზშზე: ფლუსიანი აგლომერატი — 5,0 კგ, რკინის ბურბულშელა — 0,4 კგ, კოქსიკა — 1,5 კგ.

ამ დნობების ჩატარებისას ლუმელი უკეთ მუშაობდა, ვიდრე დნობათა მეორე სერიის დროს. ჩატარდა 13 გამოშვება. უკანასკნელი 10 გამოშვების შედეგები მოყვანილია მე-4 ცხრილში.

ხელსაწყორა მაჩვენებლებისა და საკერძის მიხედვით დნობათა მეორე და მესამე სერიის შენაღნობები და წილები დნობათა პირველ სერიისთვის შედარებით უფრო ერთგვაროვანი შედგენილობის უნდა ყოფილიყო, მაგრამ როგორც მე-2, მე-3 და მე-4 ცხრილები გვიჩვენებს, ისინი თითქმის ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან. მესამე სერიის დნობებისას შენაღნობებში მანგანუმის შეცულობის გაზრდა და კაზშის შემცირება პირველ და მეორე სერიის დნობებთან შედარებით იმას გვეუბნება, რომ ფლუსიან აგლომერატზე დნობების ჩატარებისას ლუმელის სადნობ არეში მანგანუმის აღდგენისათვის უფრო ხელსაყრელი პირობები იქმნება.

## დნობათა III სერიის შედეგები

შედეგის დანართის ნომერი	ტენის ნომერი	ტენის ნომერი	შენადნის ანალიზი, %	წილის წონა,		წილის ანალიზი, %						
				მდგ.	Mn	SiO <sub>2</sub>	CaO	MgO	Al <sub>2</sub> O <sub>3</sub>	FeO		
35	16	3,800	77,82	0,42 0,25	15,12	3,000	17,42	29,40	34,40	0,80	8,40	0,52
36	15	3,900	76,39	0,53 0,27	16,12	3,500	16,82	29,12	35,00	0,69	8,95	0,40
37	17	4,100	77,29	0,41 0,26	15,31	3,000	17,93	28,85	34,16	0,82	9,12	0,36
38	15	3,750	76,45	0,52 0,29	15,63	2,500	18,35	29,45	35,00	0,79	8,42	0,56
39	15	3,880	77,10	0,49 0,28	16,11	3,050	17,48	29,16	34,17	0,72	9,00	0,49
40	16	2,950	75,82	0,51 0,26	15,00	3,200	18,10	30,05	34,17	0,69	8,10	0,36
41	20	4,250	76,39	0,49 0,27	14,99	2,900	19,14	29,35	34,09	0,86	8,90	0,43
43	18	3,880	77,10	0,58 0,25	15,40	3,100	17,13	30,03	35,12	0,73	8,49	0,49
44	16	4,000	76,45	0,42 0,27	15,37	3,050	18,39	29,47	34,50	0,81	8,17	0,36
45	15	3,790	77,09	0,47 0,28	14,89	2,700	18,60	29,49	34,40	0,84	8,47	0,31

ამ სერიის 10 გამოშევებაზე შემდნარია 15 ულფა.

## მიღებული შედეგები

ჩატარებული დნობების შედეგების განსხისათვის საჭირო მონაცემები თავ-მოყრილია მე-5, მე-6 და მე-7 ცხრილებში.

## ცხრილი 5

შენადნობისა და წილის საშუალო ქიმიური შედგენილობა დნობათა სერიის მიხედვით

დნობათა სერიები	შენადნის შედგენილობა, %				წილის შედგენილობა, %				
	Mn	Si	P	Fe	Mn	SiO <sub>2</sub>	CaO	MgO	Al <sub>2</sub> O <sub>3</sub>
I	76,24	0,54	0,30	15,17	18,26	30,20	31,34	0,89	8,70
II	76,08	0,76	0,29	15,42	19,23	29,37	34,37	0,78	8,35
III	76,80	0,48	0,27	15,39	17,39	29,43	34,53	0,78	8,64

## ცხრილი 6

მანგანუმისა და ფოსფორის ბალანსი და ფუძიანობა დნობათა სერიების მიხედვით

დნობათა სერიები	მანგანუმის განაწილება, %			ფოსფორის განაწილება, %		წილის წონის ფუძიანო- ბა	წილის წონის ფართობა ლითონის წონასთან
	შენადნში	წილაში	აირში და სხვ.	შენადნში	აირში და სხვ.		
I	76,36	15,23	13,41	81,38	18,62	1,17	0,88
II	71,88	15,00	13,12	85,82	14,08	1,19	0,83
III	76,41	14,00	9,59	82,98	17,02	1,20	0,79

მართალია, დნობათა მეორე სერიისას, უკეთესი ფიზიკური თვისებების მასალის — აგლომერატის გამოყენების გამო, ღუმელი უკეთ მუშაობდა და წილის ფუძიანობა უფრო მაღალი იყო, ვიდრე დნობათა პირველ სერიისას, მაგრამ მანგანუმისა და ფოსფორის ბალანსი და ფუძიანობა და მანგანუმის განა-

წილება ორივე სერიისას თითქმის ერთნაირი იყო (ცხრ. 5, 6). ალბათ აგლომერატის ნაჭროვნების დადგებითი გავლენა მანგანუმის გამოყენებაზე ღუმელას უკეთ მუშაობის ხარჯზე კომპენსირებულია აგლომერატის მინერალური შედგენილობის გაუარესებით — მასში მანგანუმის სილიკატის შეცულობით, რომელიც ძნელად აღსაღვენია. ამას ამტკიცებს დნობათა მესამე სერია — როცა სილიციუმის უანგი ნაერთში დაკავშირებულია ქალციუმის უანგთან და მანგანუმის დაბალი უანგეულები თავისუფალ მდგომარეობაშია, მანგანუმის გამოყენება იზრდება 5%-ით, მანგანუმის აქროლება მცირდება 4%-ით და აღმდგენლის ხარჯი მცირდება (ცხრილები 6, 7).

ცხრილი 7

## ხარჯვის კოეფიციენტები დნობათა სერიის მიხედვით

დნობათა სერიები	ნედლი მსალების ხარჯი 1 კგ შენადნე					
	I ხარისხის მანგანუ- მის გარეცილი მა- დანი, კგ	აგლომერატი, კგ	ფლუსიანი აგ- ლომერატი, კგ	კირქვა, კგ	რკინის ბურ- ბუშელა, კგ	კოქსიკი, კგ
I	2,170	—	—	0,560	0,130	0,690
II	—	1 880	—	0,530	0,150	0,640
III	—	—	1,960	—	0,120	0,059

დნობათა მესამე სერიის შენაღნობებში ფოსფორის შემცირება აისწერდა მანგანუმის უფრო მაღალი გამოყენებით, რის ხარჯზეც მცირდება მანგანუმის ნედლეულის ხვედრითი ხარჯი და, მაშასადამე, ფოსფორის შემტანი მასალა კაზ-შში (ცხრილები 5, 6, 7).

როგორც მოსალოდნელი იყო, აგლომერატის გამოყენების ხარჯზე გაუმჯობესდა ღუმელის სვლა, გაიზარდა შენაღნის გამოსავალი და ნედლეულის ხვედრითი ხარჯი, შემცირდა წილის გამოსავალი შენაღნობის ერთეულზე.

## დაკვნება

ექსპერიმენტულად დადგენილია ფერმონგანუმის გამოღნობაში ფლუსიანი მანგანუმის აგლომერატის გამოყენების უპირატესობა ჩვეულებრივი მანგანუმის აგლომერატზე და უკანასკნელის ნედლი მანგანუმის მადანთან შედარებით. ეჭვს არ იშვევს, რომ როგორც ჩვეულებრივი, ისე ფლუსიანი აგლომერატის გამოყენება საწარმოო პირობებში გაცილებით უფრო მაღალ ეფექტს მოგვცემს, ვიდრე ეს იყო მიღებული ლაბორატორიული ცდების დროს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტი  
თბილისი

(რედაქტირა მოუვიდა 30.8.1957)

## დამოზღული ლიტერატურა

1. И. П. Бардин, М. А. Павлов, Л. И. Цылев. Определение температур размягчения железных руд и агломератов. Рефераты научно-исследовательских работ, 1945,
2. Л. М. Цылев, Н. П. Баний. О рациональном использовании марганцевых руд. Известия АН СССР, ОТН, № 9, 1945.
3. А. П. Любан. Исследование доменного процесса. Металлургиздат, 1948.
4. Г. Г. Орешкин. Спекание никопольской марганцевой руды и опыты выплавки ферромарганца на агломерате. ДОМЕЗ, № 1, 1932.



გორგანია

ლ. გაცლევსაძე

**ვაზის ფოთლის ნაცროვანი შემადგრენლობის ცვლილებები  
ქლოროფილის ღრმა**

(წარმოადგინა აკადემიკოსმა ლ. ჯაფარიძემ 14.10.1957)

არსებობს საკმარისად ვრცელი გამოკვლევები ვაზისა და სხვა მცენარეების ნაცროვანი შემადგრენლობის იმ ცვლილებების შესახებ, რომელიც მიმდინარეობს ქლოროზის დროს. ასეთი მონაცემები მოიპოვება როგორც საბჭოთა, ისე საზღვარგარეთულ მკვლევართა შრომებში. მაგრამ საქართველოს პირობებისათვის ჩვენ მოვალეობა სულ თითო-ოროლა გამოკვლევა, რომლებიც შეეხება ნიადაგური პირობებით გამოწვეულ ქლოროზს [1, 2].

როგორც სულავაძის მიერ იყო დადგენილი, ამგვარი ქლოროზიანი ვაზების პლაზმის გამჭოლადობა ყოველთვის გადიდებულია ნორმალურ ვაზებთან შედარებით [3]. აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შეცვლილი უნდა იყოს აგრეთვე ნივთიერებათა შეთვისების რეგულირება და ამის შედეგად უნდა წარმოიქმნას გადახრები ნაცროვანი ელემენტების შემცველობაშიც.

ვინაიდან ნივთიერებათა გარდაქმნები და ცვლილებები ძირითადად ფოთოლმი მიმდინარეობს, ნაცროვანი ელემენტების ანალიზი ჩვენ ფოთლებში ჩავტარეთ. გამოკვლეულია ნორმალური და ქლოროზიანი ვაზები — ალიგოტე და გირული მწვანე დამყნილი რიპარიარუპესტრის 3309-ზე მუხრანის სტაციონარიდან, აგრეთვე საძირები: რიპარიარუპესტრის 3309 და 101—14 გიაურარხის საბჭოთა მეურნეობიდან.

საანალიზოდ ფოთლებს ვიღებდით ლერწის შუა ნაწილიდან, საანალიზო ნაწილები იწმინდებოდა მარილმჟავას სხსარით, რის შემდეგ კარგად ირეცხებოდა წყლით [4].

ქლოროზის წარმოქმნის შესახებ რიგი ჰიპოთეზები არსებობს, მაგრამ ვინაიდან ქლოროზოვნი დავადება უმეტეს შემთხვევაში კირნარ-კარბონატულ ნიადაგებზე ვლინდება, უფრო მეტად გავრცელებულია ჰიპოთეზა რეინის ნაკლებობის შესახებ. იგი რინის ჭარბი და აღმოჩენისას არსებობისას გამოილექება რეინის უანგის ჰიდრატის სახით, რაც მცენარისათვის მიუწვდომელი ხდება.

ამასთან დაკავშირებით ქლოროზიანი და ნორმალური მცენარეების ფოთლებში რეინის შემცველობის შესახებ ბევრი მონაცემი არსებობს, თუმცა კი არაა მიღწეული დამაქმაყოფილებელი შეთანხმება ამ საკითხზე.

მკვლევართა ნაწილმა (უიული, ჩამანი და სხვები [1]) ქლოროზიანი მცენარის ფოთლებში ნორმალურთან შედარებით მეტი რეინი აღმოაჩინა. სხვები კი, პირუკუ, მიუთითებენ, რომ ქლოროზიანი ფოთლები რეინის ნაკლებობას განიცდიან<sup>(1)</sup>. მიღებული შედეგების სიჭრელე შეეხება არა მხოლოდ რეინის, არამედ მინერალური კვების სხვა ელემენტებსაც.

(1) ი ა კობ ს თ ნი [4] თვლის, რომ მიღებული მონაცემების სივრცე შედეგია არაზეუტი განსაზღვრისა, რაც სდება ფოთლის ზედაპირზე ნალექებით, როგორც მგ. მტკვრი, შესწორებები და სხვა. აგრორი საკიროდ ფოთლის ზედაპირი გაირეცხოს არა მხოლოდ წყლით, არამედ 0,3 ნორმალობის მარილმჟავათი. ამასთან იგი ამტკვრებს, რომ ასეთი გარეცხა ფოთლების დაზიანებას არ იწვევს.



განხილული შედეგების საფუძველზე ჩვენ ვასკნით, რომ ავტორთა აზრი ქლოროზის დროს ნაცროვანი შედგენილობის ცვლილებების შესახებ შეიძლება დაგუფფაბულ იქნეს შემდეგნაირად: ერთი ჯგუფის აზრით, ქლოროზიანი იკოთლებით გაცილებით მეტ მარილებს შეიცავს, ვიდრე ნორმალური, და მცენარე კინიდება [1].

მეორე ჯგუფი, რომელსაც მიეკუთვნება ფრანგი მკვლევრების უმეტესობა, აღნიშვანს, რომ, ქლოროზის დროს მინერალური ელემენტების შთანთქმა სუსტდება, რის გამოც მცენარე კნინდება. მაგალითად, კრასერი [5] მიუთითებს შეცნარეში კალიუმის აშეარა ნაკლებობაზე, რაც, მისი აზრით, იწვევს, ერთი მხრივ, მინერალურ ნივთიერებათა შეთვისების სიმცირეს, მეორე მხრივ — ორგანულ ნივთიერებათა შექმნის შემცირებას, რის შედეგად ხდება ქსოვილების დაკნინება.

ჩვენს გამოკვლევებში პირველ ყოვლისა ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ქლოროზის დროს მცენარეში იცვლება წყლის მეურნეობა, სახელდობრი: ქლოროზიანი მცენარის ფოთლები წყლის მეტი შემცველობით ხასიათდება ნორმალურთან შედარებით. ამ ცვლილებების შესატყვისად აღინიშნება აგრეთვე საერთო ნაცრიანობის ცვლილებებიც. როგორც ჩვენი გამოკვლევებიდან იქცვავა, საერთო ნაცრიანობა განსაზღვრული მშრალი დაწვის მეთოდით, ქლოროზის დროს ყოველთვის მომატებულია. ამასთან ეს გაღილება დაავადების ხარისხს პირდაპირ ბრონქოიულია და ძლიერ ქლოროზიან ფოთლებში ნაცრიანობა საგრძნობლად მეტია, ვიდრე ნორმალურ მწვანე ან სუსტად ქლოროზიანში. ეს თაქტი მიუთითებს იმაზე, რომ ქლოროზის დროს ხდება ნაცროვანი ელემენტების რაოდენობრივი ცვლილებები.

ჩვეულებრივად ვეგეტაციის განმავლობაში ნორმალური მცენარის ფოთლებში ნაცროვანი ელემენტების ცვლილებები ასეთია: კალიუმი და რეინა მატულობს; კალიუმი, გოგირდი და ფოსფორი, პირუკუ, კლებულობს. ქლოროზის შემთხვევაში კი, როგორც ჩვენ დავრწმუნდით, მცენარის ქლოროზიანი მდგომარეობის მუდმივი ნიშანია კალიუმის მომატება, ამასთან ვეგეტაციის ბოლოს იგი შეიძლება უფრო მეტი იყოს, ვიდრე დასაწყისში. რაც უფრო ძლიერადა გამოვლინებული ქლოროზი, მით უფრო შესამჩნევია განსხვავება კალიუმის შემცველობაში ქლოროზიან და ნორმალურ მცენარეთა შორის. ჩვენს გამოკვლევაში არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ ქლოროზიანში კალიუმის რაოდენობა ნაკლები ან თუნდაც ნორმალურთან თანაბარი რაოდენობის ყოფილიყო.

ქალციუმი და ფოსფორი უმეტეს შემთხვევაში აგრეთვე მომატებულია ქლოროზიანი ვაჭის ფოთლებში, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც მათი ოდენობა ისეთივეა, როგორც ნორმალურ ვაზებში. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვთ ანლიზის შედეგების გადაანგარიშებას (ნაცრიანობაზე თუ ფოთლის მშრალ წონაზე). როგორც წესი, ნაცრიანობა მეტია ქლოროზიანი მცენარის ფოთლებში, ამასთან ეს განსხვავება ხშირად საგრძნობია: ფოთლების შემარიტონი წონა კი ჩვეულებრივ მეტია ნორმალურ მცენარეში, მაგრამ ეს განსხვავება უმნიშვნელოა. ამის შედეგად ნაცრიანობაზე გადაანგარიშებისას მიღებული შედეგები ქლოროზიანისთვის უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე ნორმალურისათვის, ხოლო მშრალ წონაზე გადაანგარიშებისა მაგრენებლები შებრუნებით იქნება, რაც ჩვენ უფრო სწორად მიგვაჩნია. ჩვენი მონაცემები ყოველთვის გადაანგარიშებულია ფოთლის მშრალ წონაზე. რაც შეეხება რეინისა და გოგირდის რაოდენობრივ ცვლილებებს, ქლოროზიანი მცენარის ფოთლებში შეიძლება იყოს ნაკლებიც და ნორმალურთან თანაბარიც. ზემოთ შემულიდან ნათელი ხდება,

რომ, ჯერ ერთი, ქლოროზის დროს ჩვენ მიერ შესწავლილი ნაცროვანი ელემენტების შემცველობაში კანონზომიერება არაა, რითაც უნდა აიხსნას ამ საკითხზე ასებულ აზრია სხვადასხვაობა, მეორეც: ქლოროზის დროს ხდება ნაცრის ამა თუ იმ ელემენტის დაგროვება. მაშასადამ, უფრო სწორი იქნება, თუ ცვერაუდებთ, რომ მცენარე უარყოფით ზემოქმედებას განიცდის მათი სიჭარბით, და არა მათი ნაკლებობით. ონიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ქლოროზის დროს ცვლილება ამა თუ იმ ელემენტისა თავისთვად ყოველთვის საკმინის არ არის ამ მოვლენის დასახსიათებლად. გაცილებით უფრო მნიშვნელოვან მოვლენად მივგანია ის, რომ რომელიმე ნაცროვანი ელემენტის ოდენობითი ცვლილება (მომატება თუ დაკლება), იწვევს ელემენტებს შორის თანაშეფარდების დარღვევას.

ცნობილია, რომ მცენარის ნორმალური განვითარებისათვის საჭიროა მინერალური ელემენტების ურთიერთთან გარკვეული თანაშეფარდების არსებობა და რომ გადახრა ამ თანაშეფარდებისაგან იწვევს მცენარის ნორმალური ცხოველმყოფელობის დარღვევას.

იმის გამო, რომ კალიუმი არ შედის ორგანულ ნივთიერებათა შედეგნილობაში, მის მოქმედებას ვარაუდობენ უგრედის კოლოიდების მდგომარეობაზე და ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შეცვლაზე. მიაჩინათ, რომ კალიუმი არსებით გავლენას ახდენს მცენარის წყლის რეჟიმზე, ამასთან დაკავშირებით ყურადღებას აქცევენ კალიუმისა და კალციუმის ურთიერთშეფარდებას. ცნობილია, რომ კალიუმი ხელს უწყობს კოლოიდების ლიოფილობას და ამასთან გავლენას აქვთ ნაცნირშეცვლების — აზოტოვან ნივთიერებათა და გაზთა ცვლაზე [6, 7, 8].

ჩვენი გამოვლევებით დადგენილია ქლოროზიანი მცენარის ფოთლებში ქალიუმის დაგროვება. კალიუმის რაოდენობის გადიდებით ირლვევა ურთიერთშეფარდება, ერთვალენტოვან კალიუმსა და ორვალენტოვან კალციუმს შორის. ქლოროზინი მცენარის ფოთლებში ეს თანაშეფარდება K/Ca (კალიუმი-კალციუმი) ყოველთვის გადიდებულია ნორმალურთან შედარებით. ეს თვისი მხრივ იწვევს ცვლილებებს ნაცრის სხვა ელემენტებს შორის თანაშეფარდებაში, რა გამოც ირლვევა ფიზიოლოგიური პროცესების ნორმალური შევლელობა.

### დასკვნები

1. ქლოროზიანი მცენარის ფოთლები ყოველთვის განსხვავდება ნაცრიანობის მეტი შემცველობით ნორმალურთან შედარებით;

2. ქლოროზიანი მცენარის ფოთლებში ხდება შომატება კალიუმისა, ხშირად აგრეთვე კალციუმისა და ფოსფორისა. ჩეინა და გოგირდი ჩვენი მონაცემებით არ გვიჩვენებს კანონზომიერ ცვლილებებს;

3. კალიუმის რაოდენობის შომატება ქლოროზისათვის დამახასიათებელი თვისებაა. მის საფუძველზე ჩვენ ვვარაუდობთ, რომ დასაწყისი იმ ცვლილებებისა, რომლებიც ქლოროზიანი ფოთლების ნაცროვან შედეგნილობაში ხდება, უნდა მოიძებოს კალიუმის დაგროვებაში. დამოუკიდებლად ქლოროზის მიზეზისა, დაავადებული მცენარის ფოთლებში ხდება კალიუმის გაძლიერებული დაგროვება. ეს ხელს უწყობს, ერთი მხრივ, პლაზმის კოლოიდების ჰიდრატაციას და ააღილებს უკრედებში წყლის შესვლას, მეორე მხრივ კი არლვევს წინასწორობას ერთ-და ორვალენტოვან კატიონებს შორის K/Ca, ხდება ცვლილებები სხვა ნაცრის ელემენტების დაგროვებაში, რითაც საერთოდ ირლვევა ნივთიერებათა ცვლა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ბოტანიკის ინსტიტუტი

თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 28.9.1957)

### ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՊՈՂԱԿԱՆԻ ՑԱՐԱՐԱՐՈՒԹՅՈՒՆ

1. А. Т. Кирсанов, А. О. Саникидзе и Т. Г. Бакрадзе. Хлороз виноградной лозы в зависимости от свойств почвы и удобрений. Труды почвенного Института им. В. В. Докучаева, т. XIV, 1937.
2. П. Г. Тавадзе. О биохимии хлороза виноградной лозы. Виноделие и винодарство СССР, № 8, 1948.
3. Т. С. Сулакадзе. Цитофизиологическое исследование хлороза некоторых растений. Труды Тбилисского Ботанического Института, т. XVI, 1954.
4. L. Jacobson. Iron in the leaves and chloroplasts of some plants in relation to their chlorophyll content. Plant Physiolog 20, 2, 1945.
5. А. А. Ячевский. Антракноз и хлороз, Одесса, 1911.
6. И. П. Сердобольский. Калий, Изд. Академ. Наук СССР, 1944.
7. В. А. Брилиант. К вопросу о физиологическом значении калия. Труды Ботанич. Инст. АН СССР, Эксперимент. ботаника, сер. IV, в. 2, 1936.
8. М. С. Жуков. Влияние одновалентных и двухвалентных катионов на образование лиофильных коллоидов в клетках и тканях растений. ДАН СССР, т. XCII, № 1, 1953.

ეთომოლოგია

## გ. გეგენავა

ინსექტოფუნგიციდების შეღარებითი ფიტოტოქსიკურობის  
განსაზღვრის შეთოვლისათვის<sup>(1)</sup>

(ჭარმოადგინა აკადემიკოსმა ლ. ყანჩაველმა 25.10.1957)

ტრანსპირაციის, ფოტოსინთეზისა და მცენარის ცხოველმყოფელობის სხვა მაჩვენებლების განსაზღვრით ინსექტოფუნგიციდების ფიტოტოქსიკურობის შესწავლა ტექნიკურად ძნელია და ოთულ ლაბორატორიულ დანადგარებასა და ხელსწყობს საჭიროებს. გარდა ამისა, ეს მაჩვენებლები შეიძლება სხვადა-სხვა მიმართულებით იცვლებოდეს. მაგალითად: ბორდოს სითხე ჩვეულებრივ ზრდის ტრანსპირაციას, მაგრამ ზოგჯერ ამცირებს, არის აგრეთვე შემთხვევები, როდის იგი მასზე გავლენას არ ახდენს [1]. ამიტომ პრეპარატთა ფიტოტოქსიკურობის პრაქტიკულ შეფასება ხდება ბიოლოგიური ცდებით — დაწვითი ოვი-სებების გამორჩევით. მაგრამ დაწვის ინტენსივობის გამორჩევის მეთოდიკა არსებოთ ნაკლოვანებით ხასიათდება: დაწვას ყოფენ სუსტად, საშუალოდ და ძლიერად, ან ალრიცხავენ 4—5-ბალიანი სისტემის მიხედვით; ასეთი დაყოფა აშკარად სუბიექტურია და ორ მკვლევარს შეუძლია ერთი და იგივე დაწვა ორი სხვადასხვა ბალით შეაფასოს. ამასთან ბალი არ იძლევა დაწვის ინტენსივობის ზუსტ რაოდენობრივ გამოსახვას.

ალსანიშნავია აგრეთვე, რომ ფიტოტოქსიკურობის რაოდენობრივი გან-საზღვრის მეთოდიკის უკონლობის გამო შხამების შეფასების ისეთი სასარგებლო მაჩვენებელი, როგორიცაა ქემოთერაპიული ინდექსი, პრაქტიკაში არ იხ-მარება.

წილადებარე სტატიის ამოცანა საქართველოს მცენარეთა დაცვის ინსტი-ტუტში ამ პრობლემის ზოგიერთი საკითხის გადასაჭრელად ჩატარებული მუ-შაობის გაცნობა, სახელდობრი: ინსექტოფუნგიციდების შედარებითი ფიტო-ტოქსიკურობის განსაზღვრის მეორების აღწერა, აგრეთვე ქემოთერაპიული ინდექსის გამოთვლის ზოგადი დებულებების მოცემა.

რეკომენდებული მეთოდიკის საფუძვლად აღებულია ინსექტოფუნგიციდე-ბის მოქმედებით გამოწვეული დაწვისა და მცენარეთა ავადმყოფობათა (სოკო-ვანი, ბატერიული და სხვა) სიმპტომების მსგავსება. მართალია, ავადმყოფობა-თა გამოვლინების დინამიკა და განვითარების პირობები დიდად განსხვავდება ქიმიკობარატების მიერ გამოწვეული დაწვისაგან, მაგრამ სხვადასხვა გვარის ან ერთისა და იმავე გვარის სხვადასხვა სახელის მიკროორგანიზმისაგან გამოწვე-ული დაავადებებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც გამოვლინების დი-ნდებით, ისე განვითარების პირობებით. ამიტომ, ჩვენი აზრით, დიდი შეცდომა არ იქნება, თუ ქიმიკობარატების მიერ გამოწვეულ ფოთლების დაწვას განვი-ხილავთ როგორც მცენარის თავისებურ ავადმყოფობას და მისი სიძლიერის გა-

(1) ექსპერიმენტების ჩატარებაში მონაწილეობდა საქართველოს მცენარეთა დაცვის ინს-ტიტუტის მეცნ. მუშაკი ლ. ოთხმეტური.

მოსარკვევად გამოვიყენებთ იმავე მეთოდიკას, რაც ხმარებულია მცენარეთა ავალმყოფობათა ინტენსივობის აღსარიცხვად ნახევრად საველე პირობებში.

აღნიშნული დაშვების სასაჩვებლოდ ლაპარაკობს ის ფაქტიც, რომ თბილ-სისხლიანი ცხოველებისათვის შხამების ლეტალური ღოზების (CL-50) განსაზღვრის მეთოდი, აგროტოქსიკოლოგიის მიერ სამედიცინო ფარმოკოლოგიდან გადმოიღებული, გამოსადევი აღმოჩნდა არა მარტო მწერებისა და ტკიცებისათვის, არამედ მცენარეთა სამეცნის წარმომადგენლის — სოკოების მიმართაც.

ასეთი წანამძღვრიდან გამომდინარე, ჩვენ ვისარგებლეთ ჰორსფოლისა და ბერების [1] მიერ, დამუშავებული მცენარეთა ავალმყოფობათა ინტენსივობის კლასიფიკაციით. უკანასკნელის თანახმად ავალმყოფობის ინტენსივობა 12 კლასად იყოფა: ფოთლები დაუზიანებულია — 0, დაზიანებულია ავალმყოფობით ფოთლების ფართობის 0-დან 3%-მდე — 1; 3-დან 6%-მდე — 2; 6-დან 12%-მდე — 3; 12-დან 25%-მდე — 4; 25-დან 50%-მდე — 5; 50-დან 75%-მდე — 6; 75-დან 87%-მდე — 7; 87-დან 94%-მდე — 8; 94-დან 97%-მდე — 9; 97-დან 100%-მდე — 10; 100%-ით — 11. ამასთან, თუ ფოთლების დაზიანების ფართობი 50%-ზე მეტია, თვალზომით განისაზღვრება დაუზიანებული ფართობი და ამ: საფუძველზე გამოიინგარიშება დაზიანების პროცენტი; წინააღმდეგ შემთხვევაში დაზიანების ფართობი პირდაპირ გამოითვლება. ეს პროცედურა განპირობებულია იმით, რომ თვალი, თანახმად ვებერ-ფეხერის კანონისა, 50%-მდე არ-ჩევს დაზიანების ფართობს, 50%-ზე ზევით კი — დაუზიანებელ ფართობს.

ასეთი კლასიფიკირების შემდეგ თითოეული მცენარე თავსდება თავის-კლასში (დაზიანების პროცენტის მხედვით), ჯამდება ანათვლები ყველა კლასში და ანათვალთა რიცხვზე გაყოფით მიიღება საშუალო კლასი. უკანასკნელი გადაიყანება ავალმყოფობის პროცენტში ნახევრადლოგარითმულ ბადეზე გრადუსირებულ საყალიბო მრუდზე ინტერპოლირებით. ასეთი წესით დაავადების პროცენტი გამოიინგარიშება ცალკეული კონცენტრაციებისა ან ნორმებისათვის.

მიღებული მონაცემები (დავადების პროცენტები სხვადასხვა ექსპერიმენტული კონცენტრაციებისათვის) მუშავდება იმავე ხერხთ, როგორც ინსექტო-ლუნგიციდების ლეტალური კონცენტრაციების (ნორმების) დაღვენისას ლაბორატორიულ პირობებში. ლებულობებს კონცენტრაციისა და ტოქსიკურობის (მაგნებლის სიკვდილიანობის) სწორხაზობრივ დამოკიდებულებას კოორდინატულ ბადეზე, რომლის ერთი ლერძი (აბსცისი) ლოგარითმირებულია, მეორე კი (ორდინატი) გამოსახულია პრობიტებით.


ჩვენი დაშვების თანახმად, ქიმპრეპარატების მიერ გამოწვეული დაწვა განიხილება როგორც დაავადება, ამიტომ დაწვის კლასებისა და პროცენტის გამოთვლა, ასევე შედეგთა შემდგომი დამუშავებაც, აღნიშნულის ანალოგიურად უნდა მოხდეს.

ილუსტრაციისათვის მოგვყავს საქართველოს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის ლაბორატორიაში ჩვენ მიერ თითოსტრის ზეთის (ინდუსტრიული 12) სხვადასხვა ფორმის (დაზიანებული საპონზე, თიხა-ასკანგელზე და სულფიტ-ცელულოზის ექსტრაქტზე) ემულსიის შედარებითი ფიტოტოქსიკურობის გამოსარკვევად ჩატარებული ცდების შედეგები.

ამ ცდებში ბიონიდიგატორად გამოყენებული იყო თიხის ქოთნებში დათე-სილი, ორსამდგილფოლოთლიანი პომიდორის ერთგვაროვანი აღმონაცენები. გამოხშირვის შემდეგ თითოეულ ქოთანში რჩებოდა 20-20 მცენარე. ვარიანტები იღებოდა 5-5 განმეორებით, იმ მიზნით, რომ თითოეულ ვარიანტში ყოფილიყო 100 მცენარე და ამით გაადგილებულიყო სტატისტიკური გამოინგარიშებები. შესხურება ტარტებოდა ლაბორატორიული შესასხურებელი აპარატით; ნორმა 500-ლ/ჸა, წევა მუდმივი (1 კგ/სმ<sup>2</sup>). დამუშავების შემდეგ ქოთნები თავსდებოდა განათებისა და ტემპერატურის ერთსა და იმავე პირობებში.

ემულსიების კონცენტრაციებს ვიღებდით ზეთის მიხედვით იმ ანგარიშით, რომ თანამიმდევრა კონცენტრაციათა შორის შეფარდება (d) ყოფილყო თანაბარი, სახელდობრ  $d = 1,5$  ტოლი. აქედან გამომდინარე დაწვაზე საორიენტაციო ცდების ჩატარების შემდეგ ექსპერიმენტულ კონცენტრაციები იყო 0,4; 0,6; 0,9; 1,33 და 2%. საბოლოო აღრიცხვა ტარდებოდა ფოთლების დაწვის აშკარა გამოვლინების შემდეგ — მენტო დდეს, როგორც ეს წინასწარ იქნა დადგენილი საორიენტაციო ცდების ჩატარებისა.

მაგალითისათვის განვიხილოთ საპონზე დამზადებული თითისტრის ზეთის ემულსის გამოცდის მონაცემები. ამ ზეთის 2% ემულსისაგან ერთ-ერთ განმეორებაში პირველი მცენარე დაიწვა 10 კლასით, მეორე მცენარე — 8 კლასით, ასევე დანარჩენები შესაბამისად: 7, 11, 10, 9, 7, 11, 8, 8, 10, 6, 9, 11, 8, 10, 7, 9, 10 და 8 კლასით. მათი საშუალო უდრის 8,8-ს. ანალოგიური გამოთვლით დანარჩენ განმეორებებში საშუალო უდრიდა: 9,4-ს, 9,5-ს, 10,6-ს და 10,8-ს; აქედან კველა, ე. ი. 5 განმეორების საშუალო, ანუ ამ ვარიანტის დაწვის საშუალო კლასი უდრის 9,82-ს. საშუალო კლასის დაწვის პროცენტად გადაყვანა ჩატარდა პირსფოლის წიგნში [1] მოთავსებულ საყალიბო მრუდზე (იგი მოხერხებულობისა და სიზუსტისათვის გადიდებულ იქნა 5-ჯერ) ინტერპოლირებით. აღმოჩნდა, რომ საშუალო კლასს 9,82-ს შეესაბამება 99,5%, რაც წარმოადგენს საპონზე დამზადებული თითისტრის ზეთის 2% ემულსისაგან მიღებული დაწვის საშუალო პროცენტს. იდენტური გამოანგარიშებით დანარჩენი ექსპერიმენტული კონცენტრაციებისათვის საშუალო დაწვა შესაბამისად უდრიდა 95%-ს, 76%-ს, 40%-სა და 14%-ს.



ნაჩ. 1

ამგვარად მიღებულ იქნა, რომ დაწვის საშუალო პროცენტი უდრის: 2%-იანი ემულსისათვის — 99,5-ს, 1,33%-იანი ემულსისათვის — 95-ს, 0,9%-იანი ემულსისათვის — 76-ს, 0,6%-იანი ემულსისათვის — 40-სა და 0,4%-იანი ემულსისათვის — 14%-ს.

შონაცემების შემდგომი დამუშავებისათვის, ე. ი. გრაფიკული გამოსახვისათვის, საჭიროა დაწვის პროცენტები გადაყვანილ იქნეს პრობიტებად, კონცენ-



ტრაციები კი ლოგარითმებად. პირველი ტარდება ბლისის შრომაში [2] შემთვეული ცხრილით. მეორე, ე. ი. ლოგარითმის ამონება კი მოხერხებულია კონცენტრაციის პროცენტების გრამ/ლიტრზე გადაყვანით.

აღნიშნული ცხრილის მიხედვით 99,5%-ის პრობიტა უდრის 7,3455-ს, 95%-ის — 6,6449-ს, 76%-ის — 5,7063-ს, 40%-ის — 4,7467-ს და 14%-ის — 2,9197-ს.

კონცენტრაციების ლოგარითმი გრამ/ლიტრზე გადაყვანის შემდეგ უდრის: 20გ/ლ [2%] — 1,30103-ს, 13,3 გ/ლ [1,33%] — 1,11394-ს 9 გ/ლ [0,9%] — 0,95424-ს, 6 გ/ლ [0,6%] — 0,77815 და 4 გ/ლ [0,4%] — 0,60206-ს.

ეს მონაცემები გრაფიკულად გამოისახა ჩვეულებრივ კოორდინატულ ბადეზე: ორდინატზე გადაიზომა დაწვის პრობიტები, აბსცისზე კი კონცენტრაციის ლოგარითმები. იგი წარმოდგენილია ნახ. 1-ზე, საიდანაც ჩანს, რომ ფიტოტოქსიკურობისა (დაწვის ინტენსივობის) და კონცენტრაციის დამოკიდებულება სწორხახობრივია. ასეთი დამოკიდებულება იძლევა უფლებას გრაფიკზე ინტერპოლირებულ იქნება დაწვის ინტენსივობის ნებისმიერი დონე; მაგრამ გარეშე ზემოქმედებისადმი (შეაძლის, ტემპერატურის, რადიაქტიური გამოსხივების და სხვა) ცოცხალი ორგანიზმების გამდლეობის სტატიური განაზილების კანონის თანახმად, მიზანშეწონილია 50% დონის, როგორც მგრძნობიარობის საზომის გამოყენება. ამიტომ ჩვენი მიზნისათვის საჭიროა გრაფიკზე განისაზღვროს ისეთი კონცენტრაცია, რომელიც იწვევს ფოთლების ფართობის 50% დაწვას.

იგი შემდეგნაირად განისაზღვრა: ბლისის ცხრილში ვნახულობთ, რომ 50%-ის პრობიტა უდრის 5,0-ს. ჩვენს გრაფიკზე კი ორდინატის მაჩვენებელ 5,0-ს შეესაბამება აბსცისის მაჩვენებელი 0,82. აბსცისზე გადაზომილია კონცენტრაციის ლოგარითმები, ე. ი. კონცენტრაციის გასაგებად საჭიროა 0,82-ს ანტილოგარითმის გაგება. იგი უდრის 6,607-ს. აქედან ფოთლების ფართობის 50% დაწვას იწვევს კონცენტრაცია 6,607 გ/ლ-ზე, ანუ დაახლოვებით 0,66, %.

თუ ტოქსიკოლოგიაში ხმარებულ აღნიშვნებს DL—50 და CL—50-ს (პირველი აღნიშვნას დოზას, რომელიც იწვევს მავნებლის 50% სიკვდილიანობას, მეორე — კონცენტრაციას, რომელიც იწვევს მავნებლის იმვე პროცენტით სიკვდილიანობას) შევადარებთ ჩვენ მიერ მიღებულ 50% დაწვას, მაშინ მიზანშეწონილ იქნება უკანასკნელი აღინიშნოს CC —50-ით, სადაც პირველი აღნიშვნას კონცენტრაციას (Concentration), მეორე — ღწვას (Combustum). აქედან, როგორც ეს ზემოთ იყო გამოანგარიშებული, CC —50 საპონზე დამზადებული თითისტრის ზეთის ემულსიისათვის უდრის 0,66%-ს.

ფიტოტოქსიკურობის მიღებული მაჩვენებელი, ე. ი. CC-50, არ შეიძლება იყოს ზუსტი, ვინაიდან იგი გამოანგარიშებულია ინტერპოლირებით. საჭიროა განისაზღვროს ის ზღვრები, რომელთა შორისაც მეტყველობს CC-50. ასეთი განსაზღვრა ხორციელდება უილკოქსონისა და მაკელანის მეთოდით [3], რომლის თანახმადაც გრაფიკულად ისაზღვრება დოზები (კონცენტრაციები, ნორმები), რომლებიც იწვევენ 16 და 84% სიკვდილიანობას, იღება მათი შეფარდება CC-50-თან, საშუალება და უპირისპირდება თანამიმდევარ კონცენტრაციათა შეფარდებას (d-ს).

ჩვენი დაშვების მიხედვით, წინა გამოთვლებში სიკვდილიანობის მაჩვენებლების მაგივრად იღებოდა დაწვის პროცენტები. იმავეთი უნდა ვიხელმძღვანელოთ უილკოქსონისა და მაკელანის მეთოდის გამოყენების დროსაც.

ასეთი წანაშედვრიდან გამომდინარე გაგებულ უნდა იქნეს 16% და 84% პრობიტები. ბლისის მიხედვით 16% პრობიტა უდრის 4,0055-ს, 84-ისა კი — 5,9945-ს. ჩვენს გრაფიკზე ისინი გამოხატულია ორდინატზე. მათ აბსცისაზე შე-

ესაბამება მაჩვენებლები: 4,0055-ს — 0,61 და 5,9945-ს — 1,026. აბსცისაზე გადაზიმობილი კონცენტრაციის ლოგარითმები, ე. ი. კონცენტრაციის გასაგებად საჭიროა ამ ციფრების ანტილოგარითმების გაგება. 0,61-ის ანტილოგარითმი — 4,074-ს, ხოლო 1,026-ის — ანტილოგარითმი — 10,62-ს. აქედან გამომდინარე: CC-14 უდრის 4,074 გ/ლ-ს, ანუ დაახლოებით 0,41%-ს, CC-84 კი — 10,62 გ/ლ-ს, ანუ დაახლოებით 1,06%-ს.

ეს მაჩვენებლები უნდა შეფუფარდოთ CC-50-ს. CC-84 : CC-50 = 1,66 : 0,66 = 1,60; CC-50 : CC-14 = 0,66 : 41 = 1,62. ამ ორი რიცხვის (1,60 და 1,62) საშუალო უდრის 1,61-ს. იგი აღინიშნება  $\lambda$ -თი, ე. ი.  $\lambda = 1,61$ .

ცდების დაყენებისას თანამიმდევარ კონცენტრაციათა შეფარდება (d) ჩვენ მიერ აღებული იყო 1,5-ის ტოლი. ამიტომ  $\lambda$  და d-ს საშუალო იქნება:  $(1,50 \times 1,61) : 2 = 1,55$ .

ჩვენი მიზნისათვის, ე. ი. CC-50 ცდომილების ზღვრების გასაგებად, λ და d საშუალოზე, ე. ი. 1,55-ზე, უნდა ჩატარდეს რიგი სტატისტიკური მანიპულაციები. მაგრამ გამოთვლების გაადვილებისათვის უილკოსონი და მაკელანი რძლევიან ცხრილს იმ შემთხვევისათვის, როცა საცდელად აღებული ობიექტების რიცხვი ვარიანტში უდრის 100-ს. ჩვენ კი ცდების დაყენებისას, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, თითოეულ ვარიანტში ავიდეთ 100 მცნარე. ამიტომ უფლება გვაქვს ვისარგებლოთ ამ ცხრილით. უკანასკნელში  $\lambda$  და d-ს საშუალო 1,55-ს შეესაბამება დაახლოებით 1,06.

CC-50 ქვედა ზღვრის მისაღებად ეს მაჩვენებელი (1,06) უნდა გაიყოს. ზედა ზღვრის მისაღებად კი გამრავლდეს თუით CC-50-ზე. ამიტომ ქვედა ზღვარი უდრის: CC-50 : 1,06 = 0,66 : 1,06 = 0,620; ზედა ზღვარი უდრის: CC-50 : 1,06 = 0,66 : 1,06 = 0,699. აქედან, უილკოსონისა და მაკელანის მიხედვით, ჩვენ მიერ საცდელად აღებულ საპონზე დამზადებულ თითისტრის ზეთის ემულსის CC-50,20 ერთსა და იმავე პირობებში დაყენებული ცდიდან 19-ჯერ მოთავსდება ამ ზღვარში, ე. ი. 0,620—0,699 % % შორის.

ალწერილი პროცედურით მიღებულ იქნა საპონზე დამზადებული თითისტრის ზეთის ემულსის CC-50 და მისი ცდომილების ზღვრები, მაგრამ ეს მონაცემები მხოლოდ სტატიკურ სურათს იძლევა. სხვა ფორმის ემულსიებთან შესადარებლად გაზრდა ამისა საჭიროა ფიტოტოქსიკურობის დინამიკის ცოდნაც. იგი განისაზღვრება პრობიტ-ლოგარითმულ ბალეზე მიღებული მრუდის დახრილობის გაზრდით. ჩვენს გრაფიზე კუთხე (α), რომელსაც მრუდა ქმნის აბსცისების ლერძთან, უდრის 27°-ს, მისი ტანგენის კი (tgα) ედრება 0,5095-ს. აქედან საპონზე დამზადებული თითისტრის ზეთის ემულსის ფიტოტოქსიკურობის გამომხატველი მრუდის დახრილობა = 0,5095-ს.

ამგვარად, საპონზე დამზადებული თითისტრის ზეთის ემულსისათვის მიღეთ ფიტოტოქსიკურობის შემდეგი მაჩვენებლები: CC-50 = 0,66 %, CC-50 ცდომილების ზღვრები = 0,620 — 0,699 % და მრუდის დახრილობა = 0,5095. ანალოგიური გამოთვლებით მიღებულ იქნა თიხა-ასკახელზე დამზადებული თითისტრის ზეთის ემულსისათვის CC-50 = 0,80 %, CC-50 ცდომილების ზღვრები = 0,74—0,86 % % და მრუდის დახრილობა = 0,4452; სულფიტ-ცელულოზის ექსტრაქტზე დამზადებული იმავე ემულსისათვის: CC-50 = 0,73 %, CC-50 ცდომილების ზღვრები = 0,71—0,78 % % და მრუდის დახრილობა = 0,4663.

სხვადასხვა ემულგატორზე დამზადებული თითისტრის ზეთის ემულსის ფიტოტოქსიკურობა, CC-50 სიღილის მიხედვით (ჩაუ უფრო მცირეა CC-50, მცირები იქნება ფიტოტოქსიკურობა), ლაგდება შემდეგ დალმავალ რიგზე: სა-



პონტე დამზადებული (0,66%) > სულფიტ-ცელულოზის ექსტრაქტზე (0,73%) > თიხა-ასკანგელზე (0,8%); მაგრამ ცდომილების ზღვრებს შეაქვს შესწორება: თიხა-ასკანგელისა და სულფიტ-ცელულოზის ექსტრაქტის ემულგატორად გამოყენებისას CC-50 ზღვრები ერთმანეთს ემთხვევა (პირველ შემთხვევაში — 0,74—0,86%, %, მეორე შემთხვევაში = 0,71—0,78%, %), არა არ გვაძლევს უფლებას სარწმუნოდ მივჩინიოთ მათ CC-50 შორის განსხვავება. ამიტომ CC-50 და მისი ცდომილების ზღვრების ურთიერთშედარებით შეგვიძლია მხოლოდ დაგასკვნათ, რომ საპონზე დამზადებულ ემულსის (მისი CC-50 ცდომილების ზღვრები განსხვავებულია დანარჩენებისაგან) უფრო დიდი ფიტოტოქ-სიკური თვისებები აქვს, ვიდრე თიხა-ასკანგელზე და სულფიტ-ცელულოზის ექსტრაქტზე დამზადებულს.

მეორე მხრივ, თუ შევადარებთ ერთმანეთს ფიტოტოქსიკურობის დინამიკას, ვდებულობთ, რომ მრუდის დახრილობის სიდიდე ყველაზე დიდი აქვს საპონზე დამზადებულ თითისტრის ზეთის ემულსის (0,5095), შემდეგ — სულფიტ-ცელულოზის ექსტრაქტზე (0,4663) და ყველაზე ნაკლები — თიხა-ასკანგელზე დამზადებულს (0,4452). ეს ნიშანას, რომ ამ ემულსიების კონცენტრაციების თანაბარი გაზრდისას ფიტოტოქსიკურობა არათანაბრად იზრდება: ყველაზე მეტად — საპონზე, ყველაზე ნაკლებად — თიხა-ასკანგელზე დამზადებული ემულსიების გამოყინებისას.

ამგარად მივიღეთ, რომ ფიტოტოქსიკურობის თვალსაზრისით თითისტრის ზეთის ემულსიების გამოცდილ ფორმებს შორის ყველაზე უკეთესია თიხა-ასკანგელზე, შემდეგ — სულფიტ-ცელულოზის ექსტრაქტზე, უარესი — საპონზე დამზადებული ემულსიები.

ასეთი დასკვნა პრაქტიკურშიც დასტურდება: დიდ ფართობებზე მრავალი წლის განმავლობაში წარმოებაში გამოყენებით დამტკიცებულია საპონ-ზეთის ემულსიების მეტი ფიტოტოქსიკურობა სულფიტ-ცელულოზის ექსტრაქტზე, დამზადებულიან შედარებით. ასევე ფართოდ ცნობილია თიხა-ასკანგელზე და საერთოდ თიხეპზე დამზადებული ემულსიების დაბალი ფიტოტოქსიკურობა.

ინსექტოფუნგიციდების ფიტოტოქსიკურობის განსაზღვრის აღწერილი მეთოდიკა ჩვენ მიერ აგრეთვე შემოწმებული იქნა თიოფონის (ნიუიფ-100) ემულსიასა და მის დასკველებად ფხვნილზე (დამზადებული იყო თიხა-ასკანგელზე საქართველოს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის ლაბორატორიაში). როგორც რეკომენდებული მეთოდიკა, ისე ბიონიციდებარი (ორნამდვილოთლიანი პომილორის აღმონაცენები) სავსებით ვარგისი აღმოჩნდა ამ პრეპარატების შედარებითი ფიტოტოქსიკურობის გამოსარკვევად. ამიტომ ყველა საფუძველია დაგასკვნათ რეკომენდებული მეთოდიკის სხვა ინსექტოფუნგიციდების ფიტოტოქსიკურობის განსაზღვრისათვის გამოყენების მიზანშეწონილობა. ეს, რასაკირველია, არ ნიშანას, რომ რეკომენდებული მეთოდიკა არ საჭიროებს შემდგომ დაზუსტებას, აგრეთვე კონკრეტული შემთხვევებისათვის უკეთესი ბიონიციდებარის შერჩევს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არ არის გამორიცხული აღწერილი მეთოდიკის (ზოგიერთი ცვლილებით) ჰერბისიდების, აგრეთვე მიეროორგანიზმების (მაგალითად, პარაზიტული სკოების) მიერ გამოყოფილი ტოქსინების შესწავლი-სათვის გამოყენების მიზანშეწონილობა.

რეკომენდებული მეთოდიკით ვიღებთ ინსექტოფუნგიციდების ფიტოტოქსიკურობის რაოდენობრივ მაჩვენებლებს. ამიტომ იგი შესაძლებლობას იძლევა გამოთვლილ იქნეს მათი ქემოთერაპიული ინდექსი. უკანასკნელი, როგორც

კონბილია, უდრის, მავნებლის სიკვდილისათვის საჭირო მინიმალური დოზის. (კონცენტრაციის, ნორმის) შეფარდებას მცენარისათვის უვნებელ მაქსიმალურ დოზასთან (კონცენტრაციასთან, ნორმასთან). აქედან, ქემოთერაპიული ინდიჭ-სეს გამოსათვლელად საჭიროა CL-100, ე. ი. მავნებლის 100% სიკვდილიანო-ბისათვის საჭირო მინიმალური კონცენტრაციის ან ნორმის და CC-0, ე. ი. მც-ნარის დაწვის თვალსაზრისით უვნებელი მაქსიმალური კონცენტრაციის ან ნორ-მის განსაზღვრა.

პირველი, ე. ი. CL-100, გამოითვლება პრობიტ-ლოგარითმულ ბადეზე, სადაც პრობიტებით გამოიხატება მავნებლის სიკვდილიანობა, ლოგარითმებით — შხამის კონცენტრაცია. მაგვე კორრდინატულ ბადეზე განისაზღვრება CC-0. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ორდინატების ღერძზე პრობიტებით გამოსახული იქნება მცენარის ფოთლების დაწვის ინტენსივობა. ამასთან ქემოორგაპიული ინდექსის განსაზღვრისათვის ფიტოტოქსიკურობის ბიონდივიატორად აღებული მცენარის სახეობა და მისი ფენოლოგიური ფაზა უნდა შეესაბამებოდეს. ტოქსიკურობის ბიონდივიატორად აღებული მავნებლის ან სოკოს კვებისა და ცხოვრების პირობებს.

გამოთვლები რთულდება იმით, რომ პრობიტ-ლოგარითმულ ბადეზე, აგრეთვე ორმაგლოგარითმულ ბადეზე არ არის მაჩვენებლები, რომლებიც შეესაბამებოდეს 0 და 100%-ს; მაგალითად, ბლისის ცხრილი იწყება 0,1%-ით და მთავრდება 99,99%-ით. გარდა ამისა, CL-100 და CC-0 გამოსათვლელად სპიროვა ექსტრაპოლაციით სარგებლობა, რაც ნაკლებ საიმედოა, ვიღრე შედეგთან ინტერპოლირება.

ମିଶ୍ରକ୍ଷେତ୍ରାବ୍ଦ ଥିଲା, କାମଦ୍ଵୀପରେ ଶ୍ରେଷ୍ଠାର୍ଥୀଙ୍କୁ କ୍ରେପାରାତ୍ମିଳ ଜ୍ଞାନତ୍ତ୍ଵକାଳି-  
ଶ୍ରୀ ନନ୍ଦାକ୍ଷେତ୍ରରେ ଉପରେ ପାଇଲା ଏହାରେ କାମଦ୍ଵୀପରେ କାମଦ୍ଵୀପରେ କାମଦ୍ଵୀପରେ  
କାମଦ୍ଵୀପରେ କାମଦ୍ଵୀପରେ କାମଦ୍ଵୀପରେ କାମଦ୍ଵୀପରେ କାମଦ୍ଵୀପରେ କାମଦ୍ଵୀପରେ

საქართველოს სსრ სოციალის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია  
მცნარეთა დაცვის ინსტიტუტი  
თბილისი

(ରୂପାଖ୍ୟତ ମନୁଷ୍ୟଙ୍କ ଜୀବିତଙ୍କ ଅଧିକାରୀ 25.10.1957)

## ରୂପାଳୀଙ୍କର ଲିପିକାଳିତାରେ

1. Д. Г. Хорсфолл. Фунгисиды и их действие. Госиздат Издательства. Москва, 1948.
  2. C. I. Bliss. The calculation of the dosage-mortality curve I. Ann. Appl. Biol. v. 22, № 1, 1935.
  3. F. Wilcoxon and S. E. A. McCallan. Theoretical principles underlying laboratory toxicity tests of fungicides I. Contr. Boyc. Thomp. Inst. v. 10, № 3, 1930.

ერთობოლობის

ლ. შავებაციზილი

**დღტ-ს სუსპენზიით ნესვის ბუზის ზინაალდეზ საჭაროო ცდების  
შედეგები**

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ლ. კალანდაძემ 17.3.1958)

ნესვის ბუზი მსოფლიოში საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული. იგი გვხვდება, ავლისტანში, ბელუგისტანში, ინდოეთში, ირანში, პალესტინაში, ერაყში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე და სხვაგან [5, 8, 9].

საბჭოთა კავშირში შისი გავრცელება აღნიშნულია ჩრდილოეთ კავკასიაში, აზერბაიჯანში, სომხეთში, კაბარდო-ბალყარეთში, როსტოვის ოლქში, კრასნოდარის მხარეში და საქართველოში [2].

საქართველოში ნესვის ბუზი გავრცელებულია მხოლოდ აღმოსავლეთ რაიონებში. კერძოთ: თბილისის, მარნეულის, გარდაბნის, სიღნაღის, გურჯაანის, ყვარლის, კაჭარის, ოლავის და ლაგოდეხის რაიონებში [1, 2]. მავნებლის და-სახლების სიმიზიდროვე აღნიშნულ რაიონებში ერთგაროვანი არაა. ასე, მაგალითად, მარნეულის, ბოლნისის, გარდაბნის, სიღნაღისა და გურჯაანის რაიონების ზოგიერთ ნაკვეთზე ეს ბუზი ნესვის მოსავლის თითქმის 100%-ს აზინებს.

ბ. უ ვა რ ვ ი ს [10], მ. შ ა კ ა რ ი ა ნ ი და კ. ა ვ ე ტ ი ს ი ი ა ნ ი [5] ნესვის ბუზს აღნიშნავნ როგორც ერთ-ერთ სერიოზულ მავნებელს.

1917 წელს მუღანის ველზე ამ მავნებლის მიერ ნესვის მოსავალი 80%-ით დაზიანდა, ხოლო ნაწილი ნესვის ნაოქსებისა მოსახლეობამ სრულიად აუღებელი დატოვა ნაყოფების ძლიერი დაზიანების გამო [6].

ვ. რ ე კ ა ჩ ი ს [8] გამოკვლევებით, აზერბაიჯანში ნესვის მოსავლის დაზიანება 91,5%-ს აღწევს; ზარალი კი 1927—1930 წლებში ყოველწლიურად ერთ მილიონ მანეთზე მეტი იყო.

ჩვენი გამოკვლევებით [2], ნესვის ბუზს არა ნაკლები ზარალი მოაქვს საქართველოში, მისი საზიანო მოქმედებით გამოწვეული ნესვის მოსავლის შემცირება საშუალად 20—80%-ის ფარგლებში მერყეობს, ხოლო ზოგიერთ მიკრორაიონშია და ნაკვეთზე 100%-მდე აღწევს (მარნეულის, გარდაბნის, გურჯაანის, ბოლნისისა და სიღნაღის რაიონებში).

ნესვის ბუზის ასეთი დაცი საზიანო სამეურნეო მნიშვნელობისა და მის წინააღმდეგ ეფექტურ ღონისძიებით უქონლობის გამო, ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა ამ მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებით. ასეთ ღონისძიებათა დასადგენად საჭიროდ ვცანით აგრეთვე დაგვეზუსტებია მავნებლის ზოგიერთი ბიოლოგიური საკითხი.

მავნებელი ზამთრობს ნიადაგში ცრუჭუპრის სახით, იმავე ნაკვეთზე, სადაც ზამთრობში გვხვდებოდა. ცრუჭუპრები ნიადაგში განლაგებულია სხვადასხვა (2—18 სმ) სიღრმეზე, რაც დამოკიდებულია ნიადაგის ტიპსა და ტენიანობაზე.

ნესვის ბუზი ზამთრობიდან გამოდის ივნისის პირველ ნახევარში, როდესაც ნიადაგის ზედაპირზე პარის საშუალო ტემპერატურა 21°-დან მყრდება. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა ნესვის ნასკვების გამოჩენაც. ახლად გამოიწეული ბუზები იწყებენ კვებასა და განაყოფიერებას. გამოფრენიდან მე-6 დღეს

ზემო უკვე კვერცხის დებას იწყებს. კვერცხიდან გამოჩეკილი მატლი შეეძლება ყოფში და იწყებს კვებას. ზრდასრული მატლები სტოვებენ ნაყოფს და გადაღიან ნიაღაგში ლასაჭუპრებლად.

აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში ნესვის ბუზი სამ თაობას იძლევა. პირველი თაობის ბუზების გამოფრენა იწყება ივნისის პირველ ნახევარში, მეორესი — ივლისის ბოლოს და მესამესი — აგვისტოს ბოლოს ან სექტემბრის დასაწყისში.

დღემდე არსებული ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, ნესვის ბუზის წინააღმდეგ ურჩევენ ნაყოფების ნერწყვით დასველებას და მიწაში ჩაფლას [3, 4, 7]. უკანასკნელი მონაცემებით [8], ურჩევენ ნესვის აღრეულ თესვას, ახლად გამონასკული ნაყოფების პერგამენტის ქალალდის პარკებში მოთავსებასა და გამძლე გიშების ურჩევენს.

ნესვის ბუზის წინააღმდეგ ჩვენ მიერ გამოცდილ იქნა დღტ-ს ზეთოვანი ემულსის სხვადასხვა კონცენტრაცია და დღტ-ს სუსპენში შესხურების მეთოდით, 5%-იან დღტ-ს და 12%-იანი ჰექსალორანის ფხვნილი შეფრქვევის მეთოდით. ცდების შედეგად დაგვენილ იქნა, რომ დღტ-ს ზეთოვანი ემულსის ყველა კონცენტრაციამ გამოწვევია ფოთლებისა და ნაყოფების დაწვა. დანარჩენი სამაც პრეპარატის ხმარებისას ურყოფითი ფიტოციდური მოქმედება არ შეგვიმჩნევია. მავნებლის მიმართ ყვალაზე ეფექტური (95,8—100%) აღმოჩნდა დღტ-ს სუსპენშია, რომელიც დაგამზადეთ სუსპენშირებული ფხვნილის სახით და საწყის შეამს (დღტ-ს) შეიცავს 30%-ის რაოდენობით. 5%-იან დღტ-ს ფხვნილის გამოყენებისას მოსავალი შენარჩუნებულ იქნა 79%-ით, ხოლო 12%.-იანი ჰექსალორანის დროს — 60,6%-ით.

დღტ-ს სუსპენშის ასეთი მაღალი ეფექტურობის გამოვლინებასთან დაკავშირებით ზემდგომი ორგანოების დავალებით ჩატარებულ იქნა ფართო საჭარბო ცდები ნესვის ბუზის წინააღმდეგ. ამავე დროს ეს პრეპარატი დაინერგა წარმოებაში.

1957 წელს განვიზრახეთ საჭარბო ცდები ძირითადად ჩაგვეტარებია აღმოსავლეთ საქართველოს იმ რაიონებში, სადაც ფართოდ მისდევენ ნესვის მოყვანას და ნესვის ბუზის თვალსაჩინო ზარალი მოაქვთ.

როგორც ცნობილია, გარდაბნის რაიონში ყველაზე ძლიერად არის მოდებული ნესვის ბუზი და მას დიდი ზიანი მოაქვს, ამის გამო უკანასკნელ ხანებში კოლმეურნეობებმა ხელი აიღეს ნესვის თესვაზე. გარდაბნის რაიონში შევარჩიეთ ორი ნაკვეთი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიწათმოქმედების ინსტიტუტისა და ორგანიზის სახ. კოლმეურნეობის ტერიტორიაზე. შერჩეულ ნაკვეთებზე ეთესა ნესვის სხვადასხვა ჯიშები და ჰიბრიდები (ორივე ადგილს შერჩეული ნაკვეთის ფართობი 4 ჰექტარს უდრიდა).

ნაკვეთები დამუშავდა აგროტექნიკის ყველა წესის დაცვით, რასაც კი ნესვის კულტურა მოითხოვს.

ვეგეტაციის პერიოდში მცენარეებზე თავი იჩინა ბალჩის ბუგრმა, რისთვისაც შეწამლულ იქნა ანაბაზინ-სულფატით ორგერ (28 მაისსა და 6 ივნისს), რის შედეგადაც მცენარეები გაწმენდილ იქნა ამ მაცნებლისაგან.

ნესვის ყვავილობა დაწყის 8 ივნისს, ხოლო ნასკვების გამოჩენა — 17 ივნისს. ამ უკანასკნელს კი უნდა შეფარდებოდა პირველი წამლობის დაწყება. წამლობის დაწყებამდე ნაკვეთი გულდასმით დავათვალიერეთ და აღვრიცხეთ ნესვის ბუზით დაზიანებული ნაყოფები. როგორც აღრიცხვამ დაგვანახა, 17 ივნისისათვის არცერთი ნაყოფი არ იყო დაზიანებული. ამასთან არც მავნებლის დერეცხისდება იყო შემჩნეული. აღრიცხვის პერიოდში კი აღინიშნა ნესვის ბუზის ფრენა ერთეულების სახით, რაც მაჩვენებელი იყო იმისა, რომ მავნებელი ზამთრობიდან გამოვიდა.

## დღტ-ს სუსპენზიით ნესვის ბუზის წინააღმდეგ საჭარმოო ცდების შედეგები

მიწათმოქმედების ინსტიტუტის ნაკვეთი მთლიანად იქნა დამუშავებული შხამით, ხოლო საკონტროლოდ გამოყოფილ იქნა საფარები; კოლმეურნეობის ნაკვეთებზე კი შხამით დაუმუშავებელი დავტოვეთ 0,2 ჰექტარი.

პირველი წამლობა ჩავატარეთ ნაკვების გამოჩენისთანავე (17 ივნისს). გამოყოფებული იქნა 1%-იანი სამუშაო ხსნარი (პრეპარატის მიხედვით). ასეთი ხსნარის მისაღებად ავილეთ 100 ლიტრ წყალზე 1 კგ დღტ-ს სუსპენზირებულა ფენილი. პირველად ვილებდით 20—25 ლიტრ წყალს და შეი კარგად ვხსნიდით 1 კგ დღტ-ს სუსპენზირებულ ფენილს. მას შემდეგ მას ვასხამდით კარში, სადაც გვერდა დარჩენილი 75—80 ლიტრი წყალი და კარგად ვურევდით. ნესვის ნათესების დამუშავების დროს ყურადღება ეჭცოდა ნაკვების (ნაყოფების) კარგად დასველებას. შესასურებელი აპარატის ავსების წინ სამუშაო ხსნარს კარგად ვურევდით, რათა შხამი არ დალექილიყო. პირველი წამლობის დროს 400—450 ლიტრი სამუშაო ხსნარი დაიხარჯა.

მეორე და მესამე წამლობა ასეთივე წესით ჩავატარეთ მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მესამე წამლობის დროს დაიხარჯა 500 ლიტრი სამუშაო ხსნარი. ეს იმიტომ, რომ ძველნარის ბარდი და ნაყოფიც გაიზარდა.

მეორე წამლობა ჩავატარეთ პირველი წამლობილა მე-12 დღეს, ე. ი. 29 ივნისს, მესამე კი — 10 ივლისს. მიღებული შედეგები მოყვანილია 1 ცხრილში.

## ცხრილი 1

ნესვის ბუზის წინააღმდეგ დღტ-ს სუსპენზიით 3-ჯერადი დამუშავებით მიღებული შედეგები (კახური მუხანესვი)

მდგრად და დანართული ფასი	ნაკვეთის დასახელება	საღი ნაყოფების რაოდენობა		დაზიანებული ნაყოფების რაოდენობა		დაზიანებული ნაყოფების რაოდენობა %/%-ით	
		ნ	ლ	ცალობით	კგ-ით	ცალობით	კგ-ით
		ლ	ლ				
25/VII	დამუშავებული საკონტროლო	1027	3555	22	88	2,2	2,4
	დამუშავებული საკონტროლო	11	37	41	140	80,0	79,1
29/VII	დამუშავებული საკონტროლო	1266	4750	33	183	2,2	3,9
	დამუშავებული საკონტროლო	5	10	59	230	92,2	95,8
I/VIII	დამუშავებული საკონტროლო	1005	1677	39	116	3,7	6,4
	დამუშავებული საკონტროლო	5	8	45	76	90,0	90,1
3/VIII	დამუშავებული საკონტროლო	1016	2000	44	138	4,2	6,4
	დამუშავებული საკონტროლო	10	20	40	80	80,0	80,1
7/VIII	დამუშავებული საკონტროლო	716	1611	39	194	5,1	7,6
	დამუშავებული საკონტროლო	4	10	32	70	88,8	87,5
10/VIII	დამუშავებული საკონტროლო	627	1261	55	222	8,1	84,3
	დამუშავებული საკონტროლო	3	7	28	56	90,3	88,8
საშ.	დამუშავებული საკონტროლო	—	—	—	—	4,2 8,5	6,8 86,9

თუ ანალიზს გავუხეთებთ 1 ცხრილს, დავინახავთ, რომ საჭიროა არ აღმუშავების შედეგად პირველი საში კრეფის დროს ნაზიანება არ აღმატება 2,2—3,7%-ს, ხოლო შემდეგი კრეფის დროს დაზიანება თანდათან იზრდება 4,2—8,1%-მდე. ეს უნდა აიხსნას შემის ტოქსიკურობის თანდათან ბითი დაცემით, მეორე და მესამე თაობის ბუზების რიცხობრივი ზრდითა და სხვა ნაკვეთებიდან მათი გადმოსვლით. ამავე ცხრილიდან ჩანს, რომ ჩატარე-



ბული ექვსი კრეფიდან მოსავალი შევინარჩუნეთ 93,2%, ხოლო საკონტრო—ლოზე 13,1%.

იმ ნაკვეთზე, სადაც მიმდინარეობდა წინასწარი გამოცდა ინსტიტუტის მიერ გამოყენაშილი ჯიშებისა და პიბრიდების, მოსავალი შევინარჩუნეთ 100%-ით. ამ ნაკვეთზედაც იმავე კადებში 6-ჯერ ჩატარდა კრეფი, ისე, როგორც პირველ ნაკვეთზე (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2  
ჰიბრიდისა და ჯიშების აღზრდის ნაკვეთზე ჩატარებული ცდების შედეგები

№/წილი	ჰიბრიდისა და ჯიშების დასახელება	მოკრეფილი ნაყოფების რაოდენობა		მოსავალი ჰექტარზე გადაყვანით (კგ-ით)	წილი	ჰიბრიდისა და ჯიშების დასახელება	მოკრეფილი ნაყოფების რაოდენობა		მოსავალი გადაყვანით (კგ-ით)
		მდგრადი	უნაკრი				მდგრადი	უნაკრი	
1	ნესვი ზოლიანი (საკონტროლო)	83	126,2	8,090	6	კოლხოსნიცა	409	405,1	16,320
2	ნესვი ზოლიანი, მყობლითი ჰიბრიდი	87	193,7	17,290	7	ზოლიანი მუნა-წევი	180	325,4	16,620
3	ადრეულა მუხანესვი	88	233,5	15,730	8	ჰიბრიდული შეცვინიერი ზამირის თეთრი	207	454,0	18,290
4	ადრეულა მუხა-ნესვი მყობლითი ჰიბრიდი	115	306,6	28,390	9	ლურჯა მუხა-ნესვი	231	326,7	16,780
5	ადრეულა მუხანესვი	178	449,9	22,040	10		150	364,9	23,380

მე-2 ცხრილიდან ჩანს, რომ როგორც ჰიბრიდები, ისე ჯიშები ნესვის ბუზით არ დაზიანდა. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ყველა ნესვის ჯიში და ჰიბრიდი ამ მავნებელს ერთსარიად იზიდავს. აქედან შევგიძლია დავასკვნათ, რომ შედარებითი გამძლე ჯიშების შერჩევას არავითარი აზრი არ აქვს. აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ მიწათმოქმედების ინსტიტუტის ნაკვეთზე მიღებულ ნაყოფებს უძვი ვერიდით ელიტური თესლის დასამზადებლად. ამის გამო ჩვენ გაგვიაღვილდა ნესვის ბუზით დაზიანებული ნაყოფის აღრიცხვა.

ორგონიკიძის სახ. კოლმეურნეობის ნაკვეთზე (2 ჰექტარი) ნესვის ბუზის წინააღმდეგ ბრძოლას გაწარმოებით იმავე შხამითა (დღტ-ს სუსახენით) და მეთოდებით, რაც ზემოთ აღვნიშნეთ. აღნიშნულ ნაკვეთზე აღრიცხვა უფრო გაძნელდა. ამიტომ მოგვყავს მონაცემები მოსავლისა, რომელიც კოლმეურნეობას აქვს აღებული შემოსავალში და გაიტანა ბაზარზე სარეალიზაციოდ (იხ. ცხრილი 3).

მე-3 ცხრილიდან ჩანს, რომ პირველი საში კრეფის დროს დაზიანება არ აღმატება 2,5—3,6%-ს, ხოლო შემდგომი კრეფის დროს დაზიანება გაიზარდა 5,0—5,3%-მდე. ხუთეულ მოკრეფის შედეგად დამუშავებულ ნაკვეთზე საშუალო მოსავალი შენარჩუნებულ იქნა 96,1%-ით, ხოლო საკონტროლოზე დაიღუპა მოსავლის 95,8%.

ზემოთ აღნიშნული ნაკვეთებზე მოსავლის ასეთი სიმცირე, იმით აიხსნება, რომ აგვისტოში თავი იჩინა სოკოვანმა ავადმყოფობამ (ნაცარმა, ფიტოპრორამ), რამაც მცენარეები სწრაფად და აღრეულად გამოიყვანა მწყობრიდან. გარდაბნის რაიონში ჩატარებული საწარმოო ცდების შედეგად შევგიძლია.

## ცხრილი 3

ორჯონიქიძის სახ. კოლმეურნეობის ნაკვეთშე ჩატარებული ცდების შედეგები

ცლიან შეს	დაკვეთის დასა- ხელება	გ. ტ. ნ. ნებ დუნ	გ. ტ. ნ. ნებ დუნ	დაზიანებული ნაყოფების რაოდენობა		გ. ტ. ნ. ნებ დუნ	გ. ტ. ნ. ნებ დუნ	დაზიანებული ნაყოფების რაოდენობა	
				კგ-ით	%			კგ-ით	%-ით
29/VII	დამუშავებული საკონტროლო	3,400 8,0	86 190	2,5 96,4	10/VIII	დამუშავებ. საკონტროლო	4,500 2,5	225 65	5,0 96,2
1/VIII	დამუშავებული საკონტროლო	5,500 2,0	154 80	2,8 27,5	17/VIII	დამუშავებ. საკონტროლო	4,000 1,0	214 55	5,3 98,2
6/VIII	დამუშავებული საკონტროლო	2,600 8,5	95 165	3,6 94,8					

წარმოებას ვურჩიოთ ნესვის ბუზების წინააღმდეგ დღტ-ს სუსპენზიის გამოყე-ნება. ნესვის მოყვანის დროს მაღალ აგროტექნიკურ ღონისძიებებთან ერთად, სამჯერადი წამლობა დღტ-ს სუსპენზიით, დადებით შედეგს იძლევა და მოსავლის შეარჩუნება შეიძლება საშუალოდ 96 %-ით.

პირველი წამლობა უნდა დაიწყოს ნასკვების გამოჩენისთანავე და შემდგომ წამლობა განმეორდეს ყოველ 10—12 დღეს. ვეგეტაციის პერიოდში ნესვის ბუზის წინააღმდეგ წამლობა უნდა ჩატარდეს სამჯერ.

დღტ-ს სუსპენზია არ იშვებს მცენარეთა ფოთლებისა და ნაყოფის დაწვას და არც მათი ხარისხის გაუარესებას.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი

თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 17.3.1958)

## დამოუმზადებული ლიტერატურა

1. ბ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე. ბოსტნისა და ბაღის კულტურების მავნებლები და მათთან ბრძოლა. თბილისი, 1952.
2. ლ. შავეგაცი შვილი. ნესვის ბუზის ბიოგოლოგიისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესწავლის მასაზები. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის შრომები, ტ. 7, 1950.
3. С. П. Зелинский. Садоводство в Кавказском крае, Тифлис, 1888.
4. Н. И. Кичуинов. Огурцы, дыни, арбузы и тыквы. СПБ, 1910.
5. М. Я. Макарян и А. С. Аветян. Обзор вредителей сельскохозяйственных и лесных растений ССР Армении, Ереван, 1931.
6. Я. И. Принц. К биологии Закавказской дынной мухи, Записки научно-прикладного отд., Тифл. бот. сада, 1919.
7. К. И. Пангала. Дыни. Ленинград, 1928.
8. В. И. Рекач. Материалы по биологии и по борьбе с дынной мухой. Баку, 1930.
9. В. П. Романов. Несколько наблюдений над дынной мухой на Сев. Кавказе, Известия Сев. Кавказа, Крайтазра № 3, Ростов на-Дону, 1927.
10. Б. П. Уваров. Обзор вредителей сельскохозяйственных культур Тифлисской и Ереванской губ. за 1916—17 гг. Тифлис. 1918.
45. „მოამბე“, ტ. XX, № 6, 1958

პირობები

აკადემიის ი. გერიტაშვილი და 6. ხარხულიძე

## ბრძანების სიგრცითი ორიენტაციის შესახებ

როგორც ცნობილია, უსინათლოები, თვით ნაადრევ ასაქში დაბრმავებულები და ბრმადშობილებიც კი, კარგად ახდენენ ორიენტაციას ნაცნობ აღილებში. მათ შეუძლიათ თავისუფლად იარონ თავიანთ ოთახებში, ეზოში და ქუჩაშიაც კი ისე, რომ არ დაეტაკონ საგნებს და გზაში შეცვედრილ ადამიანებს. მათ ასევე თავისუფლად შეუძლიათ კიბეზე ასელა და ჩამოსვლა ისე, რომ ხელი არ შეახონ კიბის მოაწირს და სხვა. თვით სრულიად ახალ გარემოშიაც კამათ შეუძლიათ მეტ-ნაკლებად ორიენტაციებული მოძრაობის წარმოება ის, რომ არ დაეტაკონ რამე საგნებს ამ მოძრაობისას და არ შეეხონ მათ. სწორედ ეს გარემოება, რომ ბრძები არ ეტაკებან წინააღმდეგობებს და მათ შეუძლიათ გვერდი აუარონ შეხების გარეშე, იქცა იმის საბაზად, რომ ბრძების სივრცეში ორიენტაცია სწორედ მანძილიდან ამ წინააღმდეგობებს აღქმის უნარი-ს მოეწერათ.

ჩვენ მიზნად დავისახეთ გამოგვეკვლია, თუ საერთოდ როგორ ახდენენ ბრძები სივრცეში ორიენტაციას, როგორი წარმოქმნისაა მათში ეს მანძილიდან წინააღმდეგობათა აღქმა და რა როლს თამაშობს იგი მათს სივრცით ორიენტაციში.

ბრძების სივრცეში ორიენტაციის საკითხის შესწავლის მიზნით ქ. თბილის უსინათლო ბავშვთა სკოლის მოსწავლებილან ჩვენ მიერ შერჩეული იყენენ 7—14 წლის ისეთი ბავშვები, რომლებიც დაბრმავდნ პირველი ორი წლის ასაქში ან თავიდანვე ბრძად იყენენ დაბადებულნი. აღნიშნულ ბავშვზე ჩავარუეთ ისეთივე ცდები, როგორიც ჩვენ მიერ ჩატარებული იყო ჭანმრთელ და ყრუ-მუნჯ ბავშვებზე ჩვენ წინა ნაშრომში.


ცდებით გამოიკვა, რომ ბრძა ბავშვი, თვალიავეული ნორმალური ბავშვის მსგავსად, ზუსტად აღიქვემდის სწორხაზობრივად განვლილ მანძილს და მას შეუძლია დიდი სიზუსტით გაიმეოროს ერთხელ განვლილი გზა ყოველგვარი მინვევ-მოხვევით მოცემული როახის ფარგლებში. მაგალითად: როცა ბრძა ბავშვი ერთხელ როახის ერთი ბოლოდან წავიყვანეთ როახის მეორე ბოლომდის, 120°-ით სავარელოთან და უკან დავაბრუნეთ იმავე გზით, მან თვითონ გაიმეორა ეს გზა არა მარტო იმ დღეს, არამედ ერთი კვირის შემდეგაც კი. მეორე ბრძა ბავშვი მხოლოდ სავარელოთან მიღიყვანეთ, უკან კი თვითონ დაბრუნდა დამოუკიდებლად. ამასთან იმისათვის, რომ ბრძა მიღიდეს მოცემულ ადგილზე ან განსაზღვრული ნახაზის მიხედვით გაიაროს, სრულიად არ არის საჭირო, რომ ამ გზიზე იყოს რამე საგანი როგორც ნიშანსვეტი, რომლის შეგრძნების საშუალებით მას ადვილად შეეძლება სივრცეში ორიენტაცია.

ჩვენ იატაზე დავხახეთ ნახევარწრე, სამკუთხედი, ოთხკუთხედი, ას გ, პ, Z-ის მსგავსი ნახაზები და ამ ნახაზების მიხედვით მარტო ერთხელ ფეხით გატარების შემდეგაც კი ბრძებს შეეძლოთ მისი დიდი სიზუსტით განმეორება. გარდა ამისა, ნას შემდეგ ჩაც ბრძა ერთხელ გავტარეთ განსაზღვრული ნახაზის მიხედვით, მას შეუძლია დაბრუნდეს სწყის წერტილში არა მარტო მეტ-ნაკლებად რთულად გავლილი გზით, არამედ მოკლე გზითაც, იმ გზით, რომლითაც იგი არ გაგვიტარებია. აქედან გამომდინარეობს, რომ ბრძა ბავშვა



ალიქვამს სივრცეში განვლილ მანძილსა და შემობრუნებებს. ამ აღწმის საფუძვლები მას ექვნება წარმოდგენა მთელი გზის შესახებ, რომელიც პროექტირდება მოცემულ ოთახში, რის გამოც მას შეუძლია წავიდეს მოკლე გზით საწყისი წერტილიდან ამ გზის ყველა წერტილში.

იმავე ასკის ნორმალურ ბავშვებთან შედარებისას დავტენიდთ, რომ უსინათლობები გაცილებით უკეთესად აღიქვამენ განვლილ მანძილს და წარმობულ შემობრუნებებს, უკეთესად ანდენენ სივრცეში მათ ლოკალურად და უფრო ზუსტად იმეორებენ ერთხელ განვლილ მანძილს, ვიდრე ნორმალური ბავშვები თვალისწინებულ მდგომარეობაში. ცხადია, ეს უნარი ბრძებში მხედველობის გამოთხვის გამო ძლიერად ვითარდება მათი ინდივიდუალური ცხოვრების პირობებში.



სურ. I. 10.12.1956. ბრმა ბავშვი (ლ. ჩ.) 14 წლისა. მთლიანი ხაზი ყველა სურათში გამოხატავს გზას, რომლითაც გადაგვავდა ბავშვი ფეხით ან სკამით, წყვეტილი კი—ბავშვის მიერგანვლილ გზას. 1 და 2—სწორ ხაზზე სკამით გადაყვანისას; 3—კუთხის მიხედვით გადაყვანისას; 4 და 5—ნახევარტრეზე გადაყვანისას; 6—Z-ის მიხედვით გადაყვანისას; 7—გადაყვანა 4 მეტრზე სწორხაზობრივად და შემდეგ სწორი კუთხით შემობრუნება (მთლიანი ხაზი); და ბრმის თავისუფალი დაბრუნება უკან მოკლე გზით (წყვეტილი ხაზი); 9—გადაყვანა სავარძელთან და თავისუფალი უკან სვლა; 10—გადაყვანა ცენტრიდან წრის მიხედვით და თავისუფალი სვლა იმავე ცენტრიდან


რომელი რეცეპტორული ორგანოებით ალიქვამს ბრმა ბავშვი ერთხელ განვლილ გზას? პირველ რიგში უნდა გვეფიქრა, რომ ეს ხდება კან-კუნთოვანი შეგრძნებების, კინესტეტიკური შეგრძნებების გამო. ჩვენ ბავშვს სკამზე ვსვამდით და მჯდომარე მდგომარეობაში გადაგვყავდა იგი ნახაზის მიხედვით. შემდეგ ვაყენებდით ამ ნახაზის საბოლოო ან საწყის წერტილში და ვთხოვდით თვითონ გაემეორებინა განვლილი გზა. იგი ამ შემთხვევაშიაც იმეორებდა განვლილ გზას, თითქმის ყოველგვარი გადახრის გარეშე ან მხოლოდ უმნიშვნელო გადახრებით. ჩვენ შევისწავლეთ სწვადასხვა ასაკის ბრმა ბავშვები (7—14 წლა-

მდე) და თითქმის ყველა მეტ-ნაკლები სიზუსტით იმეორებდა ერთხელ გატარებულ გზას ამა თუ იმ ნახაზის მიხედვით (სურ. I და II).

აქედან გასაგებია, რომ კნ-კუნთოვანი გალიზიანებანი, რომლებიც აღმო-ცენტებიან ქვემო კიდურებში გადანაცვლებისას, აჩებით როლს არ თამაშობენ ამ ორიენტირებულ მოძრაობაში ერთხელ გატარებული გზის მიხედვით.

შეიძლებოდა გვეფიქრა აგრეთვე, რომ ბრმა ბავშვი ორიენტაციას ახდენს იმ ექსპერიმენტატორის ნაბიჯების ხმით, რომელსაც იგი გადაჰყავს სკამით, ან სხვა ჩვეულებრივად საექსპერიმენტო ოთახში არსებული ხმაურის დახმარებით.

სურ. II. 1.12.1956. ბრმა ბავშვი (კ. ზ.) 7 წლისა. 1 და 2 — სწორაზომორივი გადაყვანისას; 3 — კუთხის მიხედვით; 4—ნახევარწრის; 5—ასა Z-ის მიხედვით გადაყვანისას; 6—თავისუფალი სკლა მოყლე გზით, კუთხის მიხედვით გადაყვანის შემდეგ; 7 და 8—სამ-კუთხედის მიხედვით გადაყვანისას




ჩვენ საშუალება გვქონდა დავრწმუნებულიყავით, რომ ბრძები განსაკუთრებით ზუსტად ახდენენ ბეგრის მიხედვით ორიენტაციას. თუ, მაგალითად, ბრმა ბავშვი დას მისთვის უცნობი ნახაზის საწყის წერტილში, მის წინ კი ექსპერიმენტატორი გაივლის ამ ნახაზის მიხედვით, ეს სრულად საკმარისია იმისათვის, რომ ბრმა ბავშვმაც ასევე ზუსტად გაიმეოროს აღნიშნული ნახაზი. ნაბიჯების ხმის ხასიათის მიხედვით იგი განსაზღვრავს განვლილ გზას (სურ. III-1).

მაგრამ თუ ყურებს დავუცობთ სკელი ბამბით და შემდეგ შიგადებთ ტელეფონის ყურმილს, რომელშიაც გაშვებულია განუწყვეტელი ხასიათის ბეგრა და ასეთ მდგომარეობაში გადავიყვანთ მას სკამით რაიმე ნახაზის მიხედვით, ბრმას მაშინაც შეუძლია დამოუკიდებლად გაიაროს ეს გზა როგორც ყურმილის გარეშე, ისე თვით ყურმილითაც (სურ. III-2). ასეთ პირობებში ბრმას არავითარი გარეშე ხმაური არ ესმის. ეს ნიშნავს, რომ სმენის ანალიზატორი არსებით როლს არ თამაშობს ბრძების მიერ განვლილი გზის აღმაში.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ გადაყვანის დროს ბრმა ითვლის გადამყვანელის ნაბიჯებს ან მის მიერ სიარულით გამოწვეულ ბიძგებს და ამ ბიძგების ხა-



სიათის მიხედვით იგებს მობრუნების მიმართულებას. ამიტომ, ხელმძღვანელობს რა ამ შეგნებული ქეტით, მას ადვილად შეუძლია განვლილი გზის განმეორება. მაგრამ ჩვენ დავრწმუნდით, რომ ბრმას შეუძლია წავიდეს მეტ-ნაკლები სირთულით განვლილი გზის საბოლოო ან საწყის წერტილამდის სრულიად სხვა და ამასთანავე მოკლე გზითაც. გარდა ამისა, ჩვენ ვიცით, რომ თუ ამავე გზის მიხედვით გადავიყვანთ ყრუ-მუნჯს, რომელსაც გამოთიშული აქვს ვესტი-ბულარული აპარატის ფუნქცია, იგი ვერასოდეს ვერ იმეორებს განვლილ გზას, თუმცა მას ასევე შეუძლია ამ ბიძგების დათვლა და წარმოებული ბრუნვის შემჩენევა.



სურ. III. 25.5.1957. ბრმა ბავშვი (ვ. ტ.) 13 წლისა. 1—ბრმა დგას ნახევარწრებს საწყის წერტილში, ექსპრიმენტორი გადის ნახევარწრეს (მთლიანი ხაზი); ამის შემდეგ თვითონ ბრმაც გადის ზუსტად ამავე ნახევარწრეს (წევეტილი ხაზი); 2—ყურები დაცობილი აქვს სეელი ბამბით და უკეთა ტელეფონის ყურმილი განუწყვეტელი ბგერით (სხვა არაფერი არ ესმის). იგი დგას ასო Z-ის საწყის წერტილში. ექსპრიმენტორი მიდის ამ ნახაზის მიხედვით. ბრმა ვერაფერს ვერ იგებს და არ იცის საით წავიდეს; 3—ბრმა ბავშვა ამავე მდგომარეობაში ზის სკამზე და გადაგვეას ნახევარწრეზე. ამის შემდეგ თვითონ მიდის ნახევარწრის მიხედვით; 4—ბრმა ყურებდაცობილი და მბგერავი ყურმილით გადაგვეას სკამით Z-ის მიხედვით. ამის შემდეგ თვითონ მიდის ამ ნახაზის მიხედვით

ყოველივე ამის გამო უნდა დავასკვნათ, რომ ბრმა ახდენს განვლილი მანქილისა და შემობრუნებების პროექციას გარემოში და აწარმოებს მის მიხედვით ორიენტირებულ მოძრაობას მხოლოდ და მხოლოდ ვესტიბულარული ანალიზატორის დახმარებით.


\* \* \*

როგორც ცნობილია, ბრმები შეიგრძნობენ საგნებს მიახლოებისას. საკინების სიდიდისა და იმ შესალის მიხედვით, რა მასალიდანაც არის გაკეთებული ეს-

საგანი, აგრეთვე სხვა გარემოებათა მიხედვით, ბრმას შეუძლია აღნიშნული საგნების აღქმა რამდენიმე სანტიმეტრიდან რამდენიმე მეტრამდე.

მანძილიდან საგნების აღქმის უნარი არ შეადგენს ადამიანის სპეციფიკურ თვისებას. ეს უნარი ცხოველებასაც აქვთ. ერთ-ერთი ჩვენთაგანის მიერ იგი დაწვრილებით იყო შესწავლილი კატებსა და ძალუებზე (ი. ბერიტაშვილი [1]).

ჩვენ სპეციალურად შევისწავლეთ ბრმების ეს უნარი. ვნახეთ, რომ ბრმა მახალოებისას იგებს მთლიან საგნებს, რამდენიმე ათეული სანტიმეტრის მანძილზე (სურ. IV). მას არ შეუძლია დაცხრილული საგნების ან მავთულის ბადის ამნაირი აღქმა — იგი ეჭახება მას. მთლიან საგნებს იგი შეიგრძნობს მხოლოდ მაშინ, თუ ისინი იმყოფებიან მისი თავის დონეზე. თუ საგნები დაბალია, მუხლისა და ტანის დონეზეა, ისინი პრაქტიკულად არ შეიგრძნობან. ამასთან ერთდა ასესებითი მნიშვნელობა არა აქვს თვითონ ბრმა მიღის საგანთან, თუ ის ზის ან დგას და ჩვენ ვუახლოებთ მას მთლიან საგანს.



სურ. IV. ა) 2.11.1957. ბრმა ბავშვი (ლ.) ზის სავარეძელში ექსპერიმენტული ოთაცის კართან (D). ოთაცი შუაში გატიბრულია 3 მ სიგრძის ორი ზის ფართი. ბრმამ არ იცის ამ ტიბრის არსებობა. უკანა კედელთან დგას ექსპერიმენტატორი და ეძახის ბრმას თავისთან. იგი მიღის 30—50 სანტიმეტრის დაცილებით, უვლის

ტიბრს და მიღის ექსპერიმენტატორთან.

ბ) 2.11.1957. ბრმა ბავშვი (ვ.) იმავე პირობებში მიღის ძახლის მიმართულებით და ჩერდება ტიბრის წინ 40 სანტიმეტრის დაცილებით და ამბობს, რომ მის წინ არის კედელი

როდესაც ვცადეთ სხვადასხვა საგნის მიახლოება და ვნახეთ, რომ თუ თავთან წიგნის სიდიდის საგნი მივუახლოეთ წინიდან ან გვერდიდან, ბრმა ნათლად გრძნობს შეს 15—20 სმ-ის მანძილიდან. თუ კი მას მივუახლოებთ ზემოდან თხემის ან უკანიდან კეფის ძვალთან, იგი თითქმის არ შეიგრძნობა. მაგრამ თუ მივუახლოებთ უკანიდან 1 კვ. მ. სიდიდის ზის ფარს, ბრმა შეიგრძნობს მას 10—20 სმ-ის მანძილიდან. თუ ამავე სიდიდის ფარს წინიდან მივუახლოებთ, ასეთი შეგრძნება აღმოცენდება გაცილებით დიდი მანძილიდან, 50—80 სმ-ის დაშორებით. დაბოლოს ცუდად შეიგრძნობა მაუდი და სრულიად არ შეიგრძნობა პატარა საგნები, მაგ. სახაზავი, თვით სახისა და შუბლის დონეზეც კი. ეს ადგილები კი ზოგიერთი სპეციალისტის მიერ მიჩნეულია ისეთ აღვილებად, რომლებიც თითქოს ყველაზე უკეთ აღიქვამენ წინააღმდეგობას.



ისმება საკითხი — რას წარმოადგენს ეს მანძილიდან წინააღმდეგობის აღ-  
ქმა?

ზოგიერთი ავტორი ამტკიცებს, რომ წინააღმდეგობა კანის საშუალებით  
აღიქმება, იგი შექებითი შეგრძნების ბუნებისაა, რაც აღმოცენდება ჰაერის მოძ-  
რაობის გამო, ან სითბური შეგრძნებანია, გამოწვეული გარემოში ტემპერატუ-  
რული ცვლილებების გამო [2, 3]. ჩვენ საეციალური ცდებით გამოვიკვლიერთ,  
რომ სახის შეგრძნებებს არა აქვთ არსებითი მნიშვნელობა, რადგან, ჭერ-ერთი,  
ბრძები გრძნობენ დიდ საგნებს უკან სიარულის დროსაც და სახის დაფარვა-  
სებული ქსოვილით ან ტყავის ქუდით არსებით გავლენას არ ახდენს მანძილიდან  
წინააღმდეგობათა აღქმაზე.

სხვა ავტორები წინააღმდეგობათა შეგრძნებას თვლიან ბეგრით შეგრძნე-  
ბად ([4, 5] და სხვ.). მათი აზრით ეს შეგრძნებანი აღმოცენდებიან საგნების მი-  
ერ 200 გც დაბალი სიხშირის ჰაერის ტალღებისა და ე. წ. ინფრაბეგრძნების არეკ-  
ვლის მეონებით. ფიქრობენ, რომ ჰაერი ყოველთვის მოძრაობს ადამიანების,  
ცხოველების, ეტლების, მანქანების და სხვათა მოძრაობის გამო. ეს ქმის ე. წ.  
საერთო ხმაურს, რასაც ადამიანი ჩვეულებრივად ვერ გრძნობს, მაგ-  
რამ ეს ჰაერის ტალღები, ეხეთქებიან რა საგნებს, აირეკლებიან და მათ შეუძ-  
ლიათ სმენის ორგანოს გაღიზიანება.

მართლაც, ბეგრით შეგრძნებას რომ არსებითი მნიშვნელობა აქვს, ეს ადვა-  
ლად მტკიცდება: ჩვენ ბრძას დავუცეთ ყურები სკელი ბამბით, ჩამოვაცვით  
მდეგრავი ტელეფონის ყურიმილი და ვოხვეთ წასულყო ისე, რომ არ დატავე-  
ბობა წინააღმდეგობას. იგი წავიდა, დაეგანა მას და მხოლოდ შეხების საშუ-  
ალებით შემოუარა. ცხადია, სმენის გამოითხვისას წინააღმდეგობათა მანძილა-  
დან აღქმას აღილით არა აქვს. მაგრამ ჩვენ მიერ გამოკვლეული ბავშვები არ მი-  
უთითებენ, რომ მათ რაიმა ესმია.

ჩვენ, ნორმალური ადამიანები, კარგად ვგრძნობთ მთლიან საგნებს, თუ ისი-  
ნი მიღუახლოვთ ყურს 4-5 სმ-ი. ჩვენ გვესმის შუილი როგორც შრიალი  
უშ... ან სსს... მსგავსად და იმდენად უფრო ძლიერად, რაც უფრო ახლოს არის  
საგანი ყურთან. ეს შუილი გრძელდება მანამ, ვიდრე საგანი გვიყირავს ყურთან  
მიახლოებული. საგნის წინიდან მიახლოებისას ჩვენ ვერაფერს ვერ ვგრძნობთ,  
აღბათ ამ საგნის ყურიდან დიდად დაშორების გამო. ჩვენ ვეგონა, რომ ბრძე-  
ბიც ამგვარადვე ისმენდნენ ანარეკლ ბეგრძნებს უფრო დაშორებულ მანძილზე.  
მაგრამ ყველანი უარყოფნენ ბეგრითი ხასიათის შეგრძნებებს. უფრო ხშირად  
ბრძები ლაპარაკობდნენ, რომ გრძნობენ რაღაც პირისახის დაჩრდილებას, მას  
დაფარვას. აგრეთვე აღნიშნავთ, რომ გრძნობენ პირისახეზე, მეტადრე შუბ-  
ლის ფარგლებში, მსუბუქ შეხებას, დაწოლას ან გაცივებას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღნიშნულ შემთხვევაში საქმე გვაქვს კანის რეცეპ-  
ტორების გაღიზიანებასთან კანის შერხევის გამო კანის კუნთების პირობით-  
რეფლექსურ შეკუმშვის შედეგად, იმ სუბსენზორული ან ქვეზღუბლოვანი  
ბეგრითი გალიზიანების საბასუსთად, რომლებიც იმყოფებიან ბეგრითი შეგრძნე-  
ბის ზღურბლს ქვემოთ და არ შეიგრძნობიან. ცნობილია, რომ ზღურბლოვან გა-  
ლიზიანაზე 8—12 დეციმალით დაბალი ბეგრითი გალიზიანებანი მტკიცნეულ  
გალიზიანებასთან რამდენჯერმე შეუღლებით შეიძლება გადაიქცნენ კანის გალ-  
განური რეფლექსის პირობით სიგნალებად [6, 7].

ჩვენ ვფიქრობთ, რომ არეკლილი ხმაურის ტალღებით გამოწვეული ეს  
ქვეზღუბლოვანი ბეგრითი გალიზიანებანი შეტბლის კანის კუნთების შეკუმშვის  
პირობით სიგნალებად გადაიქცნენ შემდეგნაირად:

ჩვეულებრივად ბრძის ყოველი დაფახებისას წინააღმდეგობასთან უპირვე-  
ლეს ყოველისა ხდება კანის მტკიცნეული გალიზიანება, განსაკუთრებით შეტ-  
ბლისა და ცხვირის მიღამოში. ამასთანავე აღგილი აქვს შეტბლის კუნთებისა და  
აგრეთვე კისრისა და მხრის კუნთების რეფლექსურ შეკუმშვას,

რის გამოც თავი სცილდება წინააღმდევობას. უკვე ერთი ან რამდენიმე დაჯიბების შემდეგ წინააღმდევობასთან ბერითი ორგანოს ის სუბსენზორული გალიზიანებანი, რომელთაც ადგილი აქვთ საგანთან მიახლოებისას, უნდა ამყარებდნენ დროებით კავშირებს სახის კანისა და კისრის კუნთების იმ რეფლექტორულ მოძრაობასთან, რასაც ადგილი აქვს ასეთი დაჯახებისას. მართლაც, ჩვენ ბრმა ბავშვებზედ დავრჩმუნდთ, რომ წინააღმდევობის აღმის მომენტში ადგილი აქვს ქუთუთოების დაუზრუნველყოფის, მხრის კუნთების საგრძნობ დაძაბვას, იმდენად, რამდენადაც ბრმები ამ დროს აღნიშვნელები რაღაცა შეგრძნებას სახის უანზე, უპირატესად კა შუბლის არეში, შეიძლება დავისკვნათ, რომ ეს შეგრძნებანი აღმოცენდებიან შუბლის კანის კუნთების პირობითი რეფლექსური შეკუმშვის გამო კანის რეცეპტორების ნაზი გალიზიანებისაგან.

ამრიგად, ბრმა წინააღმდევობათა შეგრძნებაზე მსჯელობს, ჩვენი აზრით, სახიდან იმ სუბიექტური შეგრძნებებით, რასაც ადგილი აქვს კანის რეცეპტორთა გალიზიანების შედეგად, კანის საფარველის პირობით-რეფლექსური გზით გადანაცვლების გამო. ეს პირობითი რეფლექსი კი აღმოცენდება სმენის ორგანოს იმ სუბსენზორული გალიზიანების საპასუხოდ, რაც გმოწვეულია საერთო ხმაურის ჰაერის ტალღების მთლიანი საგნის ზედაპირიდან არეკვლის მეონებით.

ეს შეგრძნებანი შეიძლება ემსახუროს აღქმული წინააღმდევობების დახასიათებას ყნოსვისა და სითბოს შეგრძნებების მსგავსად, მაგრამ ამ შეგრძნებებს არსებითი მნიშვნელობა არა აქვთ სივრცით ორიენტაციაში, რადგან ისინი არ პროცესირდებიან გარემოში, ორგანიზმისაგან მეტნაცლებად დაშორებულ მანძილზე. გარდა ამისა, ეს შეგრძნებანი აღმოცენდებიან არა ყველა საგნიდან, რომელსაც კი ბრმა მანძილიდან შემცვლილია.

აქედან გამომდინარეობს, რომ ბრმები არსებითად ორიენტირდებიან სივრცეში არა გარემოში არსებული საგნების მანძილიდან აღქმის საფუძველზე, არამედ სივრცეში მათი ლოკალიზაციის საფუძველზე, რომელსაც ისინი ახდენენ ლაბირინთული შეგრძნებებით, ე. ი. ვესტიბულარული ანალიზატორის მოქმედების საშუალებით.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ფიზიოლოგიის ინსტიტუტი  
თბილისი

(რედაქტირას მოუვიდა 22.11.1957)

### დამოუმგებული ლიტერატურა

1. И. С. Беритов. Об ощущении предметов на расстоянии у высших позвонечных животных. Известия АН СССР, Серия биолог. 1958.
2. М. Кипп. Internation. Archiv für Schulhygiene, Bd. IV, N. 1, 2, 3, 1907; Zeitschr. f. exper. Pädagogik, Bd. VII, N. 1 и 2.
3. А. А. Крогиус. Из душевного мира слепых. Петербург, 1909.
4. Б. И. Коваленко. Возвращение ослепших к трудовой жизни, Учпедгиз, 1946.
5. Л. Трушель. Журнал «Слепец». 1907, стр. 109.
6. В. С. Свердлов. Ощущение препятствия и его роль в ориентировке слепых, Учпедгиз, 1909.
7. Г. В. Гершунин и И. И. Короткин. ДАН СССР, т. 37, 1947.
8. Г. В. Гершунин. Труды физиол. инст-та им. Павлова, т. 4, № 19, 1949.



## 6. მაისურამ

პირის ღრუს რეცეპტორების მარილშაგათი გაღიზიანების გავლენა  
კუჭის სეპარაციულ მოქმედებაზე

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. ბაკურაძემ 28.1.1958)

საჭმლის მონელებელ ჯირკვალთა ურთიერთობის საკითხის შესაწავლისას ინტერესს იწვევს ზოგიერთი საგემოვნო ნივთიერების სანერტყველი და კუჭის ჯირკვლებზე გავლენის სადგენა.

ლიტერატურული მონაცემების თანახმად პირის ორუში მოქვედრილი სხვადასხვა სახის საგემოვნო ნივთიერები არაერთნაირ რეაქციას იწვევენ კუჭის ჯირკვლების მხრივ. ზოგი მკვლევარი [3, 10] იღნიშნავს პირის ორუში შეცვანილ საგემოვნო ნივთიერებათა გავლენით კუჭის სეკრეციის გაძლიერებას; ავტორთა მეორე რიგი [5, 11] კი სეკრეციული მოქმედების დაქვეითებას მიუთითებს.

კუჭის ჯირკვლებზე მარილმჟავას მოქმედება შეისწავლებოდა ჯერ კიდევ ი. პავლოვის მიერ [9]. მის მიერ დადგენილ იქნა, რომ პირის ორუში მოქვედრილი არა ყოველი ქიმიური ნივთიერება იწვევს კუჭის წვენის სეკრეციას; კერძოდ—პირის ორუში მარილმჟავას შეყვანა არ იწვევს კუჭის ჯირკვლების ამოქმედებას, ნერტყვი კი უხვად გამოყოფა. პავლოვის მიხედვით პირის ორუში კუჭის ჯირკვალთა ამოქმედებას იწვევს საკვები უმთავრესად თავისი სპეციალური ქიმიური თვისებებით.

6. კეტტე ერთ [5] აღნიშნავს, რომ ძმრის მეავათი და ეთერით პირის ორუში გაღილიანება არ იწვევს კუჭის წვენის გამოყოფას, რაც, მისი აზრით, შემდეგ ასენას ემყარება: წმინდა საგემოვნო გამოიზიანებლები ფსიქიური აგზების გარეშე კერძოდ იწვევენ რეფლექსს კუჭის წვენის გამოყოფაზე.

ი. ჭეფტელის დაკვირვებით ძმრისა და ლიმბის მეავას მაღალი კონცენტრაციის სსნარები, მიმატებული ალკოჰოლის საუზმებზე, იწვევენ მარილმჟავასა და პეფსინის გამოყოფის შეკვებას და კუჭიდან ლორწოს გამოყოფას როგორც დაკვეთებული, ისე მომატებული მეავანობის შემთხვევაში. ამ მეავათა დაბალი კონცენტრაციის სსნარები არ აძლენენ გავლენას კუჭის სეკრეციაზე მომატებული მეავანობის შემთხვევაში, ხოლო დაქვეითებული მეავიანობის პირობებში ზოგჯერ ავადმყოფებს აღნიშნებოდათ მარილმჟავას გამოყოფას გაძლიერება.

ო. ნებულვას [8] ცდებში ისეთი უკუსაგდები ნივთიერებები, როგორიცაა 0, 25% მარილმჟავა და 10% სუფრის მარილის სსნარი, შეყვანილი პირის ორუში გასტროეზოფაგოტომირებულ ძალებში, ნერტყვის ძლიერი სეკრეციის მოუხედავად არ აღძრავდა კუჭის მეავე სეკრეციას.

კუჭის წვენის გამოყოფის გაძლიერებას კვირდებიან დ. კროლიფ-ში ციციდა ნ. ტიმოთე ევგი [6] იმ შემთხვევაში, თუ მარილმჟავას სსნარი მიმატებული ჰქონდა საკვებს, მაგრამ მარილმჟავას სუფთა სსნარით პირის ორუში მოსხურების შემთხვევაში სეკრეციის გაძლიერებას აღვილი არ ჰქონდა.

რაც შეეხება უშუალოდ კუჭისა და ნაწლავებში მეავათა შეყვანის გავლენას კუჭის სეკრეციულ მოქმედებაზე, აიგის მონაცემებით, გამოიჩვა, რომ 0,2—0,4%-იანი მარილმჟავა იწვევს სეკრეციის დათრგუნვას, თუმცა არა ურთისარია. მაგ. თუ სეკრეციის აღმძერელად გამოიყენება სსვა ძლიერი გამოიზიანებლები, მაშინ მეავები სეკრეციაზე ნაკლებ შემაკვებელ გავლენას ახდენენ. ამასთან იგი მიუთითებს, რომ სეკრეციის ნერტყული ფაზა მეავათი არ კვდება არც კუჭიდან და არც თორმეტგოჭა ნაწლავიდან მოქმედებისას.



ლიტერატურაში არსებული პზრთა სხვადასხვაობის გამო საკითხი დღეში გაუჩვეველი რჩება; ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ ამ საკითხის ექსპერიმენტული შესწავლა და საგემოვნო ნივთიერებებიდან ჩვენი შესწავლის ობიექტია ავირჩიეთ სუფთა მარილმჟავას ხსნარი, რომელიც სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენება როგორც სამადო საშუალება. ჩვენს მიზანს შეადგენდა შეგვესწავლა მარილმჟავას გავლენა კუჭის ჯირკვლების სეკრეციულ ფუნქციაზე მარილმჟავას უშუალოდ პირის ღრუს რეცეპტორებზე მოქმედებისას.

### მ ე თ თ დ ი კ ა

ცდებს გატარებდით პავლოვის წესით იზოლირებული პატარა კუჭის და ბასოვის ფისტულის მქონე ძალებზე, რომელთაც დაძარებით გაეთვალი ჰქონდათ ყბაყურა ჯირკვლის სანერწყვე სადინარის ქრონიკული ფისტული. ვიკლევლებით კუჭის სეკრეციის ფარულ პერიოდს, კუჭის წვენის რაოდენობას საათობრივ, შეავეობას (თავისუფალს და სურთოს) ტიტაციული წესით, მომნელებელ ძალას მეტის წესით და მშრალ ნაშთს წონითი მეთოდით. ამასთანავე ვაკვირდებოდით ნერწყვის სეკრეციას.

ცდები ტარდებოდა უშმოლ, დილის საათებში. საკვებ გამაღიზიანებლებზე (ბური, ხორცი ან მათი ნარევი) სეკრეციული ფონის დაგენის შემდეგ შეიისწავლებოდა პირის ღრუში შეყვანილი 0,25% მარილმჟავას გავლენა აღნიშნული საკვები გამაღიზიანებლებით აღძრულ კუჭის სეკრეციულ მოქმედებაზე. მარილმჟავა შევვყვავდა პირის ღრუში ლოყაზე მენდელევის წებოთი დაწებებული სქეციალური კაუჭიანი მილის საშუალებით, ანდა ბალონის საშუალებით პირის ღრუს ვასხურებდით კუჭის სეკრეციის აღძრიდან ყოველ საათში ერთხელ.

### მ ი ღ ე ბ უ ლ ი შ ე დ ე გ ე ბ ი

კუჭის ჯირკვლოვანი პარატის შედარებითი მოსვენების პირობებში (ნეიტრალური რეაქციის არსებობისას) პირის ღრუს რეცეპტორთა გაღიზიანება მარილმჟავათი არ იწევეს კუჭის მეავე სეკრეციის აღძრის, ამავე დროს კი უხვალ გამოიყოფა ნერწყვი. ერთდროულად ცხოველი ამჟღვნებს თავდაცვით რეაქციას მარილმჟავზე, როგორც უკუსაგდებ ნივთიერებაზე. თუ პირის ღრუს რეცეპტორთა მარილმჟავათი გაღიზიანება წარმოებს მაშინ, როდესაც კუჭის სეკრეციული მოქმედება აღძრულია საკვებით, ადგილი აქვს კუჭის სეკრეციული მოქმედების თვალსაჩინ შეკავებას.

1 და მე-2 ცხრილში მოგვყავს ერთ-ერთი ძალზე ჩატარებული ცდების შედეგები.

ცხრილი 1

ძალი ბობიკა, საკონტროლო ცდა 200 გ ხორცები

ფურული პერიოდი	დრო საათო-ბით	წევნის რაოდნობა მლ-ით	თავისუფალი HCl		საერთო მეავ.	მომნელ. ძალა	
			გრ.	% %		მმ-ით	ფერმ. ერთ.
8'	I	8,0	94	0,34	139		
	II	6,9	130	0,49	173		
	III	5,3	90	0,33	129		
	IV	3,7	97	0,35	143		
ს უ ლ		23,9	121	0,44	155	8,75	1829,7

მაღლი ბობიკა, ცდა 200 გ ხორცხე, როდესაც პირის ლრუს მოსხურება 0,25%-იანი მარილ-მჟავას სხნარით წარმოებს ყოველ საათში ერთხელ.

ცხრილი 2

ფარული პერიოდი	დრო საათო-ბით	წევნის რაო-დენობა მლ-ით	თავისუფალი HCl		საერთო მუნაკ. მმ-ით	მომნელ. ძალა ფერმ. ერთ.	
			გრ.	%/%		მმ-ით	ფერმ. ერთ.
8'	I	3,7	65	0,24	42		
	II	4,7	92	0,33	137		
	III	3,0	84	0,31	129		
	IV	1,6	54	0,20	100		
ს უ ლ		13,0	84	0,31	125	8	832

როგორც ამ ორი ცხრილის შედარებიდან ირკვევა, პირის ლრუს რეცეპტორთა მარილმჟავათი გაღიზიანებას თან სდევს საკვებ გამაღიზიანებლებზე; გამოყოფილი კუჭის წვენის რაოდენობის აშკარა შეკავება. დაკვირვების 4 საათის განმავლობაში გამოყოფილი კუჭის წვენის საერთო რაოდენობა გახდა 13,0 მლ ნაცვლად 23,9 მლ-ისა. ამასთან ადგილი აქვს როგორც მუავიანობის, ისე მომნელებელი ძალის დაქვეითებასაც.

საყურადღებოა, რომ პირის ლრუს რეცეპტორთა მარილმჟავათი გაღიზიანების საპასუხოდ კუჭის წვენის გამოყოფის შეკავებას ადგილი აქვს კლემენსე-ვიჩ-ჰაიდენსანის წესით იზოლირებული პატარა კუჭის მქონე ცხოველებზე-დაც. როგორც ცნობილი, ასეთი წესით იზოლირებული კუჭი დევაგირებულ კუჭად ითვლება. მე-3 და მე-4 ცხრილში მოგვყავს სათანადო ცდები. ამ მოყვანილ შემთხვევაში პირის ლრუს რეცეპტორთა მარილმჟავათი გაღიზიანება წინ უსწრებდა საკვების მიცემას. მიუხედავად ამისა, კუჭის წვენის გამოყოფის შეკავება აშკარად გამოვლინდა.

ცხრილი 3

ძალი მურა, საკონტროლო ცდა 200 გრამ ხორცე

ფარული პერიოდი	დრო საათო-ბით	წევნის რაოდ. მლ-ით	თავისუფალ. HCl		საერთო მუნაკ. მმ-ით	მომნელ. ძალა ფერმ. ერთ.	
			გრ-ით	%/%		მმ-ით	ფერმ. ერთ.
15'	I	5,3	65	0,24	110		
	II	2,3	74	0,27	117		
	III	2,4	41	0,15	85		
ს უ ლ		10,0	65	0,24	114	4	160

მე-3 და მე-4 ცხრილების მონაცემების შედარებიდან ჩანს, რომ პირის ლრუს რეცეპტორთა მარილმჟავათი გაღიზიანება იწვევს კუჭის სეკრეციის შეკავებას ფარული ცხრილის გაზრდით 15 წუთიდან 23 წუთამდე წვენის საერთო რაოდენობის შემცირებით 10,0 მლ-დან 5,7 მლ-დან და მუავების დაქვეითებით.

ამ ფაქტის დადგენის შემდეგ, რომელიც ცდათა დიდ უმრავლეს შემთხვევაში გამოვლინდა, ჩავატარეთ საკონტროლო ცდები გამოხდილი წყლით. პირის ლრუში მარილმჟავას სხნარის ნაცვლად გამოხდილი წყლის შეყვანისას აღნიშნავთ საითვე ხასიათის ცვლილებები, როგორსაც ჰქონდა ადგილი პირის ლრუს რეცეპტორთა მარილმჟავათი გაღიზიანებისას, ე. ი. კუჭის სეკრეციული მოქმედების შეკავება.



## ცხრილი 4

ჭალლი მურა, 0,25%-იანი მარილუმავას სნარით პირის ღრუს წინასწარი 3-ჯერადი მოსხურება 5-წუთიანი ინტერვალით. მომდევნოდ ეძღვევა საკვები—200 გ ხორცი

ფარული პერიოდი	დრო სათო- ბით	წვენის რაოდ. მლ-ით	თავისუფალ. HCl		საერთ. მუავ.	მომნელ. ძალა	
			გრ-ით	%/%		მმ-ით	ფერმ. ერთეული
23'	I	1,7	10	0,036	58		
	II	1,1	15	0,05	60		
	III	2,9	50	0,18	110		
ს უ ლ		5,7	43	0,16	105	4	91,2

მე-5, მე-6, მე-7 ცხრილებში მოყვანილია კუჭის წვენის სეკრეციული მრუ-  
ლი საკვებზე პირის ღრუს რეცეპტორთა მარილმჟავათი გალიზინების პირ-  
დებში და მომდევნო დლეებში პირის ღრუში გამოხდილი წყლის შეყვანით.

## ცხრილი 5

კუჭის სეკრეცია 400 გ პურისა და 200 გ ხორცის ჭამისას (საშუალო მონაცემები)  
ძალლი მგელა

ფარ. პერიოდი	დრო სათო- ბით	წვენის რაოდ. დენ. მლ-ით	თავისუფ. HCl		საერთო მუავ.	მომნელ. ძალა	
			გრ.	%/%		მმ-ით	ფერმ. ერთ.
10'	I—	19,6	103	0,37	154		
	II	17,8	114	0,42	173		
	III	14,0	105	0,38	159		
ს უ ლ		50,6	108	0,39	156	11	6122,6

კუჭის სეკრეცია 400 გ პურისა და 200 გ ხორცის ჭამისას, როდესაც ყოველ 20 წუთში წარ-  
მოებს პირის ღრუს მოსხურება მარილმჟავათი  
ძალლი მგელა

ფარ. პერიოდი	დრო სათო- ბით	წვენის რაოდ. დენ. მლ-ით	თავისუფალ. HCl		საერთო მუავ.	მომნელ. ძალა	
			გრ.	% %		მმ-ით	ფერმ. ერთ.
9'	I	10,6	86	0,31	125		
	II	8,8	102	0,37	140		
	III	4,7	89	0,32	129		
ს უ ლ		24,1	89	0,32	128	10	2410

როგორც ჩანს, საკონტროლო ცდაში გამოხდილი წყლით პირის ღრუს მოს-  
ხურებისას აღინიშნა, კუჭის წვენის გამოყოფის შეკავება, თუმცა არა ისე, რო-  
გორც ამას ადგილი ჰქონდა პირის ღრუს რეცეპტორთა მარილმჟავათი გალიზია-  
ნებისას. ნაცვლად 24,1 მლ კუჭის წვენისა, რომელიც გამოიყოფოდა მევათი  
გალიზიანების პირობებში და შეადგენდა 52,3%-ით ნაკლებს საკვებზე გამ-  
ყოფილი 50,6 მლ-ით კუჭის წვენისას, გამოხდილი წყლის მომდევნო დლეებში

კუჭის სეკრეცია 400 გ პურისა და 200 გ ხორცის ჭამისას, როდესაც ყოველ 20 წუთში წარმოებს პირის ლრუს მოსხურება გამოხდილი წყლით  
ძალიან შევლა

ფარ. პერიოდი	დრო ბით	სათო- დენ. მილ-ით	თავისუფალ. HCl		საერთო მეგ.	მომზელ. ძალა	
			გრ	%/%		მმ-ით	ფერმ. ერთ.
II'	I	17,6	97	0,35	136		
	II	14,8	106	0,39	149		
	III	11,6	101	0,37	141		
ს უ ლ		44,0	100	0,365	138	10,3	4664

პირის ლრუში შეკვანისას გამოიყოფოდა 44,0 მლ-ი (შეკვება მოხდა მხოლოდ 13,04%-ით). ჩვენს წინაშე დაისვა საყითხი იმის შესახებ, თუ რით არის განპირობებული გამოხდილი წყლით პირის ლრუს მოსხურებისას კუჭის სეკრეციული მოქმედების შეკვება. ამის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო რომ: ან თვით წყალი ამჟღავნებს ამგვარ მოქმედებას ან ეს არის პირობითი რეფლექსური ბუნების. ვინაიდან გამოხდილი წყლის შეკვანას წინ უსწრებდა ცდები მარილმეუას სსნარის შეკვანით, შესაძლებელია ცხოველში გამომუშავებული ყოფილიყო შემაკვებელი რეფლექსი საერთოდ ცდის მოწყობალობაზე.

ამიტომ ცდები პირის ლრუში გამოხდილი წყლის შეკვანით ჩვენ დავაყენეთ ისეთ ძალაზე, რომელთა პირის ლრუში წინაშარ არასოდეს მარილმეუა არ შეგვიყვანია და აღმოჩნდა, რომ ასეთ ძალებში გამოხდილი წყლით პირის ლრუს მოსხურება არ ახდენდა გავლენას კუჭის სეკრეციულ მოქმედებაზე. მაგრამ საკმარისი იყო რამდენიმეგრე შეგვეყვანა მის პირის ლრუში მარილმეუა, რომელიც კუჭის სეკრეციაზე დამაკინებლად მოქმედებდა, რომ შემდგომ ამ ძალის პირის ლრუში გამოხდილი წყლის შეკვანას გამოეწვია კუჭის სეკრეციული მოქმედების შეკვება. მაშასადამე, გამოხდილი წყლის პირის ლრუში შეკვანისას კუჭის სეკრეციული მოქმედების შეკვება ზემოთ გადმოცემულ ცდებში წარმოადგენდა პირობით რეფლექსს საერთოდ სითხის შეკვანაზე. ჩვენს ცდებში პირის ლრუში მარილმეუას შეკვანისას სსნარი იღვრებოდა გარეთ, მაგრამ მაინც არ იყო გამორიცხული ცხოველის მიერ სსნარის მცირენაშილის გადაყლაპვის შესაძლებლობა და, მაშასადამე, მიღებული ეფექტი ნაწილობრივ მაინც შეიძლება დამოკიდებული ყოფილიყო მევას მოქმედებით კუჭის ლორწოვნიზე. ამიტომ ამ საკითხის გასარკვევად ცდები ჩატარდა მარილმეუას უშუალოდ კუჭის შეკვანით ზონდით ანდა კუჭის ფისტულის გზით. არც ზონდით კუჭის მარილმეუას შეკვანამ და არც უშუალოდ კუჭის ფისტულის გზით შეკვანამ არ გაძოინებია ცდილებები კუჭის სეკრეციულ მოქმედებაში. მიღებული მონაცემები საშუალებას გვაძლევს ვალიართა, რომ კუჭის სეკრეციული მოქმედების შეკვება უშუალოდ პირის ლრუს რეცეპტორთა გაღიზიანების შედეგია, რაც რეფლექსური გზით იწვევს ცვლილებებს საკვებით აღძრულ კუჭის სეკრეციულ მოქმედებაში.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ პირის ლრუს რეცეპტორთა მარილმეუათი გაღიზიანებისას კუჭის სეკრეციული მოქმედების შეკვებას ადგილი აქვს არა მხოლოდ პაკლოვის წესით იზოლირებულ პატარა კუჭის მქონე ცხოველებში, არამედ კლემბენსევიჩ-ჰაიდნენინის წესით იზოლირებულ კუჭის მქონე ცხოველებზედაც, ე. ი. კუჭის დევაგირების პირობებში. ეს გვაფიქრებინებს, რომ კუჭის სეკრეციის შეკვებაში მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს სიმპატიკულის კუჭის ჭირდებულთან მიტანილ იმპულსებს, რადგანაც ჩვენი ლაბორატორიის გამოკ-



ვლევებით [2, 4, 7], სიმპათიკუსში (სპლანჯნიკუსში) გაიღლიან როგორც სეკრეტორული აგზნებელი ისე შემკავებელი ბოჭკოები და რაკი შემკავებელი ბოჭკოები უნდა ეკუთვნონ გაზოკონსტრიქტორულ ბოჭკოთა რიგს, ამიტომ ჩვენს მიერ ნახული შეკავება უნდა ხორციელდებოდეს ვაზომოტორული მექანიზმით. გარდა ამისა, ცომილ და სიმპათიკურ ნერვების ცენტრებს შორის რეციპროკული ურთიერთდამოყიდებულების გამო, შეიძლება ვიფიქროთ, რომ პირის ორუს. რეცეპტორთა მარილმჟავათი გალიზიანება იწვევს რა ცხოველის მხრივ თავდაცვით რეაქციას, ერთდროულად აგზნებს სიმპათიკუსს და აკავებს ვაგუსის. ლენტრს, რაც თავის მხრივ იწვევს კუჭის წვენის გამოყოფის შეკავებას. ვინაიდან გასტრინის ტიპის აქტიურ ნივთიერებათა წარმოქმნა და სისხლში გადასვლა ხორციელდება ვაგალურ ბოჭკოთა უშუალო მონაწილეობით [1]. ალბათ ამით აიხსნება ის, რომ კუჭის სეკრეცია ჩვენს ცდებში კავდება არა მხოლოდ ე. წ. რთულრეფლექსურ ფაზაში, არამედ ე. წ. ნერვულ-ქიმიურ ფაზაშიც.

ვაშასადამე, ჩვენ მიერ ჭრის ინტენსიულ ექსარიმენტებში წარმოებული დაკვირვებები მიგვითოებს, რომ პირის ლრუს მოსხურება 0,25% მარილმჟავას. სსნარით გარკვეულ შემკავებელ გავლენას ახდენს საკვებით ალბრულ კუჭის. სეკრეციაზე. თვით მარილმჟავა კუჭის სეკრეციის არ აღძრავს.

დასკვნები

1. კუჭის გირკვალთა შედარებით მოსვენების პირობებში პირის ლრუში ან კუჭში შეყვანილი მარილმჟავა არ იწვევს კუჭის წვენის გამოყოფას.

2. საკვები გამალიზიანებლით ალბრული კუჭის სეკრეციის ფონზე პირის ლრუს რეცეპტორთა მარილმჟავათი გალიზიანება იწვევს კუჭის წვენის რეფლექსურ შეკავებას და მუვაინობის დაქვეითებას. კუჭში შეყვანილ მარილმჟავა კი შესამჩნევ გავლენას არ ახდენს ამ სეკრეციაზე.

3. გამოხდილი წყლით პირის ლრუს მოსხურება იძლევა ისეთსავე ცვლალებებს კუჭის სეკრეციაში, როგორსაც მარილმჟავა იმ შემთხვევაში, თუ გამოხდილი წყლის შეყვანას წინ უსწრებს ცდები მარილმჟავას პირის ლრუში შეყვანით.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო  
ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვიდა 3.2.1958)

#### დამოუმაგული ლიტერატურა

1. ა. ბაკურაძე და დ. დემეტრა გ. კუჭის სეკრეციის მეორე ფაზის ნერვული მექანიზმის. საქონელისათვის, 1951.
2. ბებურაშვილი კუჭის სეკრეციის სარგებლაციო მექანიზმებისათვის, 1948.
3. П. Я. Борисов. О значении горьких средств для пищеварения. Русский врач, № 32, 1903.
4. М. Г. Датешиձ. О роли симпатической нервной системы в секреторной деятельности желудка. Автореферат, 1955.
5. Н. Я. Кетчер. Рефлекс с полости рта на желудочное отделение, СПБ, 1890.
6. Д. Е. Кроль-Лифшиц и Н. В. Тимофеев. Влияние вкусовых раздражений на рефлекторную fazу желудочного сокоотделения у эзофаготомированной собаки. Физиологический журнал СССР, т. 18, в. 4, 1935.
7. Н. З. Майсурадзе. Некоторые вопросы нервной регуляции секреторной деятельности желудка. Автореферат, 1953.
8. О. Л. Немцова. Роль рецепторов аппарата полости рта в системе образования безусловных рефлексов, изучаемых на секреции слюнных и желудочных желез. Физиологический журнал СССР, т. 30, в. 4, 1941.
9. И. П. Павлов. Полное собрание сочинений, т. 2, Издание АМН, 1951.
10. Н. Д. Стражеско. О влиянии горьких средств на отделительную работу желудочных желез. Русский врач, № 12, 1905.
11. М. А. Усевич. Роль коры головного мозга в деятельности внутренних систем организма. Актовая речь 11 октября 1951.

ტ. გადამაცველი

**დიგიცილენის ზოგიერთი ფარმაკოლოგიური თვისების  
შესწავლის საკითხისათვის**

(ჭარმალადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ჭ. ჩიქოვანმა 5.6.1957)

შრომაში ჭესწავლილია თბილისის სამეცნიერო-კლევითი ქიმიურ-ფარმაცევტული ინსტიტუტის მიერ წამწამოვანი სათითურადან (*Digitalis ciliata* Trautv.) მიღებული ახალი გალენური ტიპის პრეპარატის — დიგიცილენის [1, 2] გავლენა გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე (სისხლის წნევა, სისხლის ძარღვები, გული) მწვავე ცდის პირობებში, ამასთანავე განსაზღვრულია მისი კუმულაციური მოქმედება.


გ ა ვ ლ ე ნ ა ს ი ს ხ ლ ი ს წ ნ ე ვ ა ზ ე

ექსპერიმენტები ტარდებოდა ჰექსონალის ნარკოზის ქვეშ მყოფ კატეპზე. არტერიული წნევა იზომებოდა საერთო სამილე არტერიაში სისხლიანი მეთოდით სინდიკის მანომეტრის საშუალებით.

დიგიცილენის სხვადასხვა დოზები, განზავებული ქლორიანი ნატრიუმის იზოტონურ ხსნაზე შეგვავდა ბარძაყის ვენაში; ერთდღოულად წარმოებდა ტრაქეალური სუნთქვის ჩაწერა მარების კაპსულის დამარებით.

გამოვიყენეთ პრეპარატის შემდეგი დოზები: 0,1; 0,2; 0,25; 0,3 მლ ცხოველის 1 კგ წონაზე.

დიგიცილენის 0,1 მლ კგ/წ. იწვევს სისხლის წნევის მხოლოდ უმნიშვნელოდა ხანმოკლე მომატებას; 0,2 მლ კგ/წ. უმატებს სისხლის წნევას 25—30 მმ-ით 18—20 წუთის განვალობაში. დოზის შემდგომი გადიდება იწვევს უფრო გამხატულ და ხანგრძლივ პრესორულ ეფექტს (სურ. 1).



სურ. 1. ზემოდან ქვემოთ: а) სისხლის წნევის დონე სინდიკის სვეტის მმ-ით, б) სუნთქვა, გ) წამლის შეფანის დრო, დ) დროის ალმინიშვნელი 2<sup>o</sup> (დიგიც. 0,2 მლ კატის 1 კგ წონაზე)

ჩვენ მიერ შესწავლილი დოზები პრეპარატისა, არტერიული სისხლის წნევის მომატებასთან ერთდღოულად, იწვევენ რითმის გაიშვიათებასა და პულსური ტალის გაზრდას.

სუნთქვაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ იგი დიგიცილენის გავლენით მნიშვნელოვან ცვლილებებს არ განიცდის. ამრიგად, დიგიცილენისათვის დამახასიათებლად ითვლება სისხლის წნევის მომატება.



იმისათვის, რომ გამოგვერკვია, ხომ არა პრესორული ეფექტი ცოტნილ ნერგზე დიგიცილენის გავლენაზე დამოკიდებული, ჩვენ ჩატარეთ მთელი რიგი ცდები ნარკოტიზირებულ კატებზე. აღმოჩნდა, რომ ცოტნილი ნერვის ცენტრი და დაბოლოება პრესორულ ეფექტში მონაწილეობას არ იღებს, რადგან იგი უმატებს წნევას როგორც ცოტნილი ნერვების გადაკვეთის, ისე ცხოველთა ატრონინიზაციის შემდეგ.

ვაზომოტორული ცენტრის როლის გამოკვლევის მიზნით ჩატარებულ იქნა ცდები კატებზე, რომელთაც დიგიცილენი უკეთდებოდათ როგორც ზურგის ტვინის გადაკვეთისას მოგრძო ტვინის ქვემოთ, ისე მთელი ცენტრალური ნერვული სისტემის დარღვევის შემდეგ.

ამ ექსპერიმენტებმა გვიჩვენა, რომ დიგიცილენის პრესორულ ეფექტში მონაწილეობენ აგრეთვე პერიფერიული მექანიზმები, ვინაიდან წნევის მომატებას აღვილი აქვს ცენტრალური ნერვული სისტემის მთლიანი დარღვევის შემდეგაც.

### გ ა ვ ლ ე ნ ა ს ი ს ხ ლ ი ს ძ ა რ ლ ვ ე ბ ზ ე

ქრავკოვ-პისემსკის [3, 4] წესით კურდღლის იზოლირებულ ყურზე ჩატარებული 35 ცდით დადგენილ იქნა სისხლ-ძარღვთა რეჟუმია დიგიცილენზე.

#### კურდღლის იზოლირებული ყური

ოქმი № 15. 8/IV—1957 წ.

ოქმი № 12. 10/IV—1957 წ.

გამოსაკვლევი ნივთიერება და მისი კონ- ცენტრაცია	მოქმედების დრო		წვეთების რაოდენობა	გამოსაკვლევი ნივთიერება და მისი კონ- ცენტრაცია	მოქმედების დრო	
	საათი	წუთი			საათი	წუთი
რინგერ-ლო- კის სითხე	10	15	50	რინგერ-ლო- კის სითხე	12	20
	10	16	48		12	21
	10	17	48		12	22
	10	18	50		12	23
	10	19	50		12	24
	10	20	50		12	25
დიგიცილენი 1:5000	10	21	50	დიგიცილენი 1:500	12	26
	10	22	48		12	27
	10	23	50		12	28
	10	24	48		12	29
	10	25	46		12	30
	10	26	45		12	31
	10	27	45		12	32
	10	28	42		12	33
	10	29	42		12	34
	10	30	42		12	35
	10	31	42		12	36
	10	32	43		12	37
რინგერ-ლო- კის სითხე	10	33	42	რინგერ-ლო- კის სითხე	12	38
	10	34	44		12	39
	10	35	45		12	40
	10	36	47		12	41
	10	37	48		12	42
	10	38	49		12	43
	10	39	50		12	44
	10	40	50		12	45
					12	46
					12	47
					12	48
					12	49

პრეპარატის შედარებით სუსტ კონცენტრაციებზე (1:100,000; 1:50,000; 1:20,000) ყურის სისხლის ძარღვები სრულად არ რეაგირებდნ. განზავება 1:5,000 წვევდა გამოსული წვეობის რაოდენობის რამდენადმე შემცირებას. კონცენტრიონებული ხსნარები (1:1000; 1:500) კი 15—20%-ით ავიწროვებენ სისხლის ძარღვებს.

სისხლის ძარღვების საწყისი მდგომარეობის აღდგენა ხდებოდა გამორეცხვის დაწყებიდან 10—12 წუთის შემდეგ (იხ. კვის ოქმები № 15 და 12).

დიგრაფილენი აკრტრობს აგრეთვე ინტერაციაშენაზორენბული ყურის სისხლის ძარღვებს. ექსპერიმენტის აღნიშნულ პირობებში შემაგიჭროებელი მოქმედება მცდავნლებოდა ორა მარტო დიგრაფილენის გატარებით უშუალოდ სისხლის ძარღვებში. ორამედ აგრეთვე ვრნაში მისი შეყვანის შემდეგაც (0,1, 0,2, 0,3 მლ კგ/ტ). მხოლოდ უკანასკნელ შემთხვევაში ეფექტი სუსტად იყო გამომულავნებული. საილუსტრაციოდ მოგვიახს ცდის ოქმები № 6 და № 11.

კურდღლის ინტერვერვალის გამოყენებული ყური  
ოქმი № 11. 5/IV—1957 წ. იქმი № 6. 28/IV—1957 წ.

გამოსაკვლევი- რი მისი კონ- ცენტრული	მოქმედების დრო		შევთების რაოდენობა	გამოსაკვლევი- რი მისი კონცენტრა- ცია	მოქმედების დრო		შევთების რაოდენობა
	საათი	წთვითი			საათი	წთვითი	
რინგერ-ლო- კის სითხე	II	30	45	რინგერ-ლო- კის სითხე	IO	15	55
	II	31	48		IO	16	56
	II	32	47		IO	17	56
	II	33	48		IO	18	55
	II	34	48		IO	19	56
	II	35	48		IO	20	56
	II	36	48		IO	21	55
	II	37	47		IO	22	56
	II	38	48		IO	23	53
	II	39	46		IO	24	51
	II	40	46		IO	25	50
	II	41	45		IO	26	49
	II	42	44		IO	27	47
	II	43	44		IO	28	47
	II	44	44		IO	29	47
	II	45	44		IO	29	47
დიგიპილენი 0,2 მლ გბ ვენაში	II	46	45	დიგიპილენი 1:1000	IO	30	47
	II	47	46		IO	31	47
	II	48	47		IO	32	47
	II	49	48		IO	33	48
	II	50	48		IO	34	50
	II	51	47		IO	35	51
	II	52	48		IO	36	53
	II	53	48		IO	37	54
					IO	38	55
					IO	39	56
					IO	40	56
რინგერ-ლო- კის სითხე							


მე-11 და მე-6 ოქმები მოწმობენ, რომ სისხლის ძარღვების შევიწროვება ორგანიზმში დიგიცილენის შეყვანის დროს მეტწილად დაძოკილებულია. მის გაღლენაზე სისხლის წინვის რეგულაციის პერიფერიულ შექანიშემებულებები; მაშიალებელი, პრესორული ეფექტიც განვირობებულია სისხლის ძარღვებზე მისი უშუალო მოქმედებით.

## ମନ୍ଦିର ପାଇଁ କାହାର ଜାଗାରେ

ცდები წარმოებდა ვინეცის ნის და ლეიბლონის [5] მეთოდით ბაყაფის ზო-  
ლირებულ გულზე. ისაზღვრებოდა გულის შეკუმშვათა ძალა და რითმი, აგრეთ-  
ვე მისი სისტოლური და წუთობრივი მოცულობა.

გამოყენებულ იქნა გამოსაკვლევი ნივთიერების შემდეგი კონცენტრაცია-  
ბი: 1:10,000; 1:5000; 1:1000 და 1:500.


განზავება 1:10.000-ზე, 20—30 წამის შემდეგ იწვევს გულის შეძლებვის. გაძლიერებას და მისი რითმის რამდენადმე შენელებას. სსნარების სიმჯგრის მომატებასთან ერთად იზრდება სისტოლური მოქმედების ეფექტიც. ნათლად გა-



მოხატული გადიღება სისტოლისა, აგრეთვე რითმის შენელება, ჩვენ მივიღეთ დიგიცილენის 1:1000 — განზავებული სნარის მოქმედებით. ეს განზავება სისტოლის გაძლიერებასთან ერთდროულად იწვევდა სისტოლური და წუთობრივი შოცულობის გადიღებას. პრეპარატის უფრო სუსტი სსხარების (1:10.000; 1:5000) ეფექტი ნაკლებად იყო გამოხატული. საილუსტრაციოდ მოგვყავს სურ. 2 და ცდის ოქმი 5.

መ/ሰ/ ፭ ፻/X-1956 ዓ.

გამოსაკვლევი მისი კონცენტრ.	მოქმედების დრო		გულის შეკუმშევე- ბის სიხ- შირე	ამპლიტუ- და მმ-ით	წუთობ- რივი. მო- ცულობა მდლ-ით	სისტო- ლური მოცულო- ბა მდლ-ით
	საათი	წუთი				
რინგერ-ლოკის სითხე	10	15	42	9	10	0,23
	10	16	40	10	10	0,25
	10	17	40	10	10	0,25
	10	18	40	10	10	0,25
დიგიცილენი 1:1000	10	19	35	22	16	0,45
	10	20	32	22	23	0,71
	10	21	34	20	22	0,65
რინგერ-ლოკის სითხე	10	22	37	19	20	0,54
	10	23	35	14	18	0,51
	10	24	38	15	16	0,51
	10	25	40	1*	12	0,3



სტრ. 3. I—ინდუსტრიული დენორთ გალიზიანების ნორმალური ხლუბლი, II—იგივე დიკიცილენის მოქმედების ფაზაშე, III—რინგერ-ლოკის სპარსის გატარების შემსრულებელი

შემდგომ ექსპერიმენტებში ჩვენ შევუდექით დიგიცილენის გავლენის შესწავლას გულის კუნთის აგზებადობაზე.

გულის კუნთის აგზებადობა ისაზღვრებოდა პარკუჭის გალიზიანებით ელექტრული დენის მეშვეობით (დიუბუა-რამინდის აპარატი). გაღიზიანება წარმოებდა 3" განმავლობაში 3 წუთის ინტერვალებით.

გამოირკვა, რომ დიგიცილენი (1:10.000; 1:5000; 1:1000) გულის შეკუმშვების გაძლიერებასა და რითმის გაიშვიათებასთან ერთდროულად იწვევს გულის კუნთის აგზებადობის მცირედ მომატებას (სურ. 3).

### კულ აციური მოქმედება

დიგიცილენის კუმულაციური მოქმედების განსაზღვრას ვაწარმოებდით პ. ონიცევის [6, 7] მიერ აღწერილი მეთოდით.

ვინაიდან ზემოხსენებული მეთოდი საჭიროებს კატის მოქმედების ერთეულის (KED) ცოდნას, ხოლო დიგიცილენისათვის იგი არ იყო ცნობილი, ჩვენ საჭიროდ ვცანით დაგვედგინა მისი ბიოლოგიური იქტივობა კატებზე სახელმწიფო თაომაკოპეის მხედვით [8].

ამ მიზნით სულ გამოყენებულ იქნა 5 კატა, აღმოჩნდა, რომ გულის სისტოლური გაჩერებისათვის საჭიროა დიგიცილენის 0,9 მლ ცხოველის 1 გგ წონაზე, ე. ი. დიგიცილენის აღნიშნული რაოდენობა შეიცავს კატის მოქმედების ერთ ერთეულს.

დიგიცილენის კუმულაციური მოქმედება შესწავლილ იქნა 20 კატაზე, რომელთა წონა მერყეობდა 2,3 კგ-დან 2,8 კგ-მდე. ცდის ქვეშ მყოფი კატები დავყვავით 5 ჯგუფად (სერიად) თითოეულში 4 ცხოველის რაოდენობით. ყველა ცხოველს 7 დღის განმავლობაში კანქვეშ ვუშავუნებდით დიგიცილენის კატის

ცხრილი 1

ცდის სტრინგი	რაოდენობა კატებში	ყოველდღიური დოზა		პრეპარატის შეყვანის ხანგრძლივობა	მე-8 გულის დღიური ცხოველი	მოცულობითი რაოდენობა მლ-ით	სხვაობა 1 KED-ს და მე-8 დღეს განსაზღვრულ KED-ს შორის (დიგიცილენის ნარჩენი)
		მლ გული	გული დღე/კვარტ				
I	4	0,68	75 %	4—5 დღეზე დაიხოცა კატა კატა	—	—	—
II	4	0,45	50 %	5—6 დღეზე დაიღუპა 2 კატა	0,25	0,65	71 %
III	4	0,22	25 %	7 დღე	0,5	0,4	45 %
IV	4	0,09	10	7 დღე	0,75	0,15	16 %
V	4	0,045	5	7 დღე	0,9	—	—

მოქმედების ერთეულის — 75, 50, 25, 10 და 5 პროცენტს. მე-8 დღეზე ისაზღვრებოდა პრეპარატის ბიოლოგიური აქტივობა ამ ცხოველთათვის.

კატის მოქმედების ერთეულსა (0,9 მლ) და მე-8 დღეს დაღვენილ ვალორს შორის სხვაობა წარმოადგენს დიგიცილენის ნარჩენს (კუმულაცია) ორგანიზმში.

დიგიცილენის კუმულაციურ მოქმედებაზე ჩატარებული დაკვირვების შედეგები წარმოდგენილია 1 ცხრილში ცხოველის 1 კგ წონაზე გადაანგარიშებით.



როგორც 1 ცხრილიდან ჩანს, კანქვეშ შეყვანილი დიგიცილენი КЕД-ის 75%-ის რაოდენობით წარმოადგენს აბსოლუტურ სასიკვდილო რაოდენობას. I. ოთხივე კატა დაიღუპა მე-4—მე-5 ინექციაზე ძლიერი ინტრიქსიკაციის მოვლენებით (ნერწყვის დრენა, ძლიერი ლებინება; წონაში დაკლება და სხვა). II სერიის ცხოველებიდან, სადაც პრეპარატი შეგვყავდა КЕД-ის 50%-ის რაოდენობით, მე-5—მე-6 ინექციაზე დაიღუპა ორი კატა, დარჩენილ ორს კი მკვეთრად გამოხატულ ინტრიქსიკაციურ მოვლენებთან ერთად დაუდგინდათ დიგიცილენის კუმულაციური ნარჩენი 71%-ის რაოდენობით.

დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ აბსოლუტურ გადასატან დოზად შეიძლება ჩაითვალოს კატის ზოქმედების ერთეულის 25% (III სერია), სადაც გადარჩა ოთხივე კატა, ხოლო კუმულაციური ნარჩენი არ აღმატებოდა 45%-ს.

დიგიცილენი შეყვანილი КЕД-ის 5%-ის რაოდენობით 7 დღის განმავლობაში, კატებში (V სერია) არ იშვევს არავითარ ინტრიქსიკაციურ მოვლენებს, ამასთანავე მე-8 დღეს განსაზღვრული, კატის მოქმედების ერთეული შეადგენს 0,9 მლ-ს, რაც გვიჩვენებს, რომ პრეპარატი КЕД-ის 5%-ის რაოდენობით ორგანიზმში შეყვანილი, სრულიად არ აკუმულირებს.

### დასკვნები

1. დიგიცილენი (0,1, 0,2, 0,25, 0,3 მლ კგ/შ) ვენაში შეყვანისას იშვევს სისხლის წინევის მომატებას, რომლის მექანიზმიც ძირითადად პერიფერიული ხასიათისაა;

2. დიგიცილენი (1:100.000; 1:50.000; 1:25.000) უმნიშვნელოდ ავიჭროვებს კურდლის როგორც იზოლირებული, ისე ინერვაციაშენარჩუნებული ყურის სისხლის ძარღვებს;

3. დიგიცილენი აძლიერებს გულის მუშაობას, ამცირებს გულის შეკუმშვათა სიხშირეს, ერთდროულად უმნიშვნელოდ მაღლა სწევს კუნთის აგზებადობას. მისი გავლენით იზრდება გულის სისტოლური და წუთობრივი მოცულობა;

4. დიგიცილენი არ ხასიათდება მკვეთრად გამოხატული კუმულაციური თვისებებით.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

მ. წინამდებრაშვილის სახელობის კლინიკური

და ექსპრიმენტული კარდიოლოგის

ინსტიტუტი

(რედაქციას მოვადა 5.6.1957)

### დამოუკავშირი ლიტერატურა

1. И. Г. Кутателадзе. Сердечные средства из растительного сырья Грузинской ССР, Медицинская промышленность СССР, № 6, 1957, стр. 28—32.
2. Э. П. Кемертелидзе. Ресниччатая наперстянка =Digitalis ciliata Trautv как новое лекарственное сырье, Тбилисский научно-исследовательский химико-фармацевтический институт. Сборник трудов, № 7, 1955, стр. 11—18.
3. С. А. Писсемский. К методике изучения сосудосуживающих и сосудорасширяющих веществ. Русский врач, № 8, 1912, стр. 264—266.
4. С. А. Писсемский. К вопросу о методике исследования сосудодвигательных веществ на изолированных органах. Русский врач, № 11, 1913, стр. 355—356.
5. А. Г. Гицинский, Л. Г. Лейбсон, Н. М. Малицкая и И. С. Александров. Руководство к практическим занятиям по физиологии. 1948.
6. П. И. Оницев. О кумуляции сердечных гликозидов. Сборник трудов Харьковского Ветеринарного института, т. XXI, 1952, стр. 172—176.
7. П. И. Оницев и Э. И. Гендешени. Исследование фармакодинамики гитоксина. Фармакология и токсикология, т. XVIII, № 2, 1955, стр. 41—45.
8. Государственная Фармаколея СССР. 8-ое издание, 1952, стр. 736—737.



## მშპერისათვის მიზანის

## გ. სამსონიძე

პისტოგენეტური პროცესები თირკმლის რეზისირაციის დროს

(წარმოადგინა აკადემიკოსმა ა. ზურაბაშვილმა 4.7.1957)

თირკმლის ნაწილის რეზექციის შემდეგ ცვლილებები ხდება როგორც დე-  
ჟეტის ადგილას, ისე ორგანოს დანარჩენ პარენქიმაში. უკანასკნელი ცვლი-  
ლებები ჩვენ დაწვრილებით განვიხილეთ ცალკე შრომაში.

აღდგენით პროცესების საკითხი დაზიანების ადგილას სადაოა და მეტის-  
შეტანა გაურკვეველი. ავტორთა უმრავლესობა ამ პროცესებს იხილავს როგორც  
ეპითელიუმის მიღებულებით რეგენერაციას [1, 4]. ხოლო ზოგიერთ იგტორს  
შილაჟინგითა რეგენერაციასთან ერთად შესაძლებლად მიაჩნია თირკმლის  
სტრუქტურების მიღავგარეშე რეგენერაციაც [2, 3].

ამ შრომაში ჩვენ აღწერთ ცვლილებებს, რომლებიც შემჩნეული იყო  
ჩვენ მიერ ცდებში მარჯვენა თირკმლის 1/5—1/3 ნაწილის რეზექციის დროს  
ერთდროულად მარცხენა თირკმლის მოცილების პირობებში. ჩვენ ვფიქრობთ,  
რომ რეგენერაციული პროცესები, თირკმლის დაზიანების ხასიათისა და სხვა  
არგანოების მდგომარეობის მიხედვით, არაერთნაირად მიმდინარეობენ.

ოპერაციიდან 12 საათის შემდეგ დაზიანებული თირკმლის მიკროსკოპული  
გამოკვლევისას ჩანს 3 გკვეთრად გამოსაზღვრული ნაწილი.

პირველი ნაწილი შედგება ჰემატომისაგან, რომელიც თირკმლის მთელ  
დაზიანების აცესებს.

დეფექტთან მომიჯნავე მეორე ნაწილი ხასიათდება ძლიერი სისხლის ჩაქ-  
ცვით და თირკმლის სტრუქტურული ელემენტების დარღვევით. იგი მოიცავს  
როგორც ტვინვან, ისე ქერქოვან ნივთიერებას. დესტრუქციული პროცესები  
გამოიხატება მიღავების გამომფენი ეპითელიუმის დაშლით, მათი მკაფიო საზ-  
ღვრების წაშლით. მიღავების უჯრედების ბირთვები ხშირად პიკნიზურია, მა-  
თი შეღებილობა შეცვლილია, კლავნილი და შემჭრები მიღავები შეიცავენ ჰო-  
მოგენურ მასებს. თირკმლის სხეულაკები გადიდებულია, კაბილარები მათში  
გაფართოებულია, სხეულაკებში ლურჯები არ აღინიშნება. შემკრებ და კლავნილ  
მიღავებს შორის სიცრცეებში თირკმლის ზოგიერთ ნაწილში აღინიშნება ერთ-  
ორციტების დაგროვება, რომელთა რაოდენობა მით უფრო მეტია, რაც უფრო  
ძლიერ ჰემატომასთან. ძლიერ შეცვლილ ელემენტებთან ერთად, თირკმლის მე-  
ორე ნაწილში მოიპოვება კარგად შენახული მიღავები და სხეულაკები.

მესამე ნაწილში, ე. ი. თირკმლის დანარჩენ დაცულ მიდამოში, სტრუქ-  
ტურული ელემენტები ნორმას უახლოვდება.

თირკმლის სამ ნაწილად დაყოფა შესამჩნევია ოპერაციიდან პირველი 5  
დღე-დღის განმავლობაში. ჰემატომის ადგილზე თანდათანობით ვითარდება შე-  
მაერთებელი ქსოვილი, რომელიც თირკმლის სისქეში საკმაო სიღრმეზე ვრცელ-  
დება.

მეორე ნაწილში სისხლის ჩაქცევა თანდათანობით კარგავს მთლიან ხასიათს.  
იგი ვრცელდება ნაპრალვან სიცრცეებში და შეიძლება მოინახოს დაზიანებუ-  
ლი ეპითელიუმით ამოფენილ მიღავებშიც.



ოპერაციის შემდგომ პირველ დღეებში დესტრუქციული პროცესები შეორენილი ნაწილში ძლიერდება. ჰემატომასთან მოსაზღვრე ადგილებში მიღავების დიდი ნაწილი იძყოფება დაშლის სხვადასხვა სტანდაში. სისხლძარღვები მკვეთრად გაგანიერებულია. მათი სანათური ამოვსებულია ერთობის ტერიტორიაზე. ნაწილობრივ დეგენერაციას განიცდიან აგრეთვე ჰემატომასთან მოსაზღვრე ან სისხლჩანასთან ადგილებში მყოფი თირკმლის სხეულაკები. დაშლის პროცესები მაგისიმალურად გამოხატულია პერაციიდან მე-5 დღეს. მილაკებში, უკვე ოპერაციის მე-2 დღიდან დაწყებული, მიტოზების საკმაოდ დიდი რაოდენობაა. ამ პერიოდში მესამე, ნაკლებად შეცვლილ ნაწილში, მაინც შეიძლება მოინახოს რიგი დარღვევები. მილაკებს აქვთ რამდენადმე გაგანიერებული სანათურები, რომელგანაც მცირე რაოდენობით გვხვდებიან მარცვლოვანი მასები. თირკმლის სხეულაკების ლრუები შეიცვენ ერთობის ტერიტორიაზე და ზოგჯერ მარცვლოვან მასებისაც.

ოპერაციიდან მე-11 დღეს დეფექტის ადგილიდან ჩამოზრდილ ფაშარ შემეტობელი ქსოვილის მარყუებში დიდი რაოდენობითაა ეპითელიური უჯრედების გროვები. ჰემატოტებელქსოვილოვან კაფსულასთან მიმდებარე ტვინოვან და ქერქოვან შერებში ნორმალური სიღილის მილაკებთან ერთად გახვდება შესამჩნევასათურიანი მომცრო მილაკებიც. დესტრუქციულ მოვლენები საგმაოდ სუსტადაა გამოხატული. მიტოზების რაოდენობა აქ მეტია, ვიდრე დაკვირვების წინა ვადაში. იპერაციიდან 17—23 დღის შემდეგ შემატებულები ქსოვილი დეფექტის ადგილას ვრცელდება კაფსულიდან თირკმლის სიღილეში 1,5—2,5 მმ. მის ბოჭკოვებს შორის გვხვდება ეპითელიური უჯრედების მრავალრიცხვოვანი გროვები და აგრეთვე ცალკეული კლავნილი და შემკრები მილაკები. ამ პერიოდში გვხვდება მხოლოდ წერტილოვანი სისხლჩანასთან მარცვლოვანი მასები მილაკების სანათურებსა და თირკმლის სხეულაკებში ძლიერ იშვიათად გვხვდება. მე-17 დღეს ალინიშნება აგრეთვე დიდი რაოდენობა მიტოზებისა და დაკვირვების შემდეგ ვადებში მათი რაოდენობა კვლავ დიდი ჩრება.

ოპერაციიდან 35 დღის შემდეგ შემატებელი ქსოვილი კაფსულიდან თირკმლის სისქეში ვრცელდება 2,12 მმ. ნაპრალოვან და ბოჭკოვებს შორის სიერცეში ჩანს ეპითელიური უჯრედების მრავალრიცხვოვანი გროვები. გარდა ამისა, მიიპოვება შემკრები და კლავნილი მილაკები, რომლებიც თავიათი მცირეზომით გაძოირებიან. გვხვდება აგრეთვე თირკმლის სხეულაკები, რომლებიც თავიათი აგებულების ატიპიურობით ხსიათდებიან. მილაკების ნაწილი ამჟღავნებს დაშლის ნიშნებს.

დაკვირვების შემდგომ ვადებში შეიძლება აონინშნოს ივივე სურათი, რომელიც ხასიათდება შემატებელი ქსოვილის გაზრდის ადგილზე მცირე ზომის მილაკების განვითარებით და აგრეთვე ეპითელიური უჯრედების დაგროვებით. ქაფსულის კიდესთან გვხვდება დიდი რაოდენობით სხვადასხვა ზომის თირკმლის სხეულაკები. ისინი ხშირად ლაგდებიან უშუალოდ კაფსულასთან ჯგუფურად 3—5 და მეტი რაოდენობით.

ოპერაციიდან 89 დღის შემდეგ შემატებელქსოვილოვანი კაფსულა თირკმლის მოცილებული ნაწილის ადგილზე უმრავლეს შემთხვევაში უფრო ფართო, ვიდრე კაფსულის დანარჩენ ნაწილში. კაფსულაში ჩანან კაპილარული ტიპის სისხლძარღვები, ეპითელიური უჯრედები და მათი ცალკეული გროვები, დიფერენციირებული მცირე კლავნილი და შემკრებ მილაკებად, რომლებსაც უმრავლეს ნაწილიდან გერკინები სანათური არა აქვთ. კაფსულის შიგნითა ზედაპირს, ცცირე უბაზე გაკრინ მცირე ზომის შემკრები მილაკები, რომლებიც ქმნიან რამდენიმე არასწორ რიგს. ამ უბინიდან მარცხნივ და მარჯვნივ კაფსულს ეკვრიან აგრეთვე ცირე ზომის კლავნილი მილაკები, შემკრები მილაკები და თირკმლის სხეულაკები, ამასთანვე უკინასკნელი ხშირად განლაგებული არან უშუალოდ კაფსულასთან ჯგუფურად 3—5 და მეტი რაოდენობით. ამ უბნებში

კაფსულიდან თირკმლის სილრმისაკენ გავრცელებული შემაერთებელი ქსოვილი უფრო მეტადაა გამოხატული, ვიღრე ნორმაში. შემაერთებელქსოვილოვან ბოჭკოებს შორის ჩანან ეპითელიური უჯრედების მრავალრიცხოვანი გროვები, რომლებიც უმრავლეს ნაწილად დიფერენცირებული არიან სხვადასხვა ფორმისა და სიდიდის კლავნილ და შემკრებ მილაკებად. ქვე გვხვდება მცირე საძირის ლრუები, გაფსებული აგურისფრად შეღებდილი პომოვენური მასით, სხვადასხვა ყალიბის მრავალრიცხოვანი სისხლძარღვები, კაპილარული ტიბიდან დაწყებული 2-3 შრისაგან შემდგარი კედლის მქონე სისხლძარღვებამდე და ნორმალური სიდიდისა და ფორმის კლავნილი და შემკრები მილაკები.

თირკმლის დანარჩენი ნაწილის ქერქოვანი და ტვინვანი შრეები ნორმიდან გადახრას არ იძლევიან.

როგორც დაზიანებულ თირკმელში მომხდარ ცვლილებათა მოყვანილი აღწერიდან ჩანს, მასში ოპერაციის შემდგომ პირველ ნაწებში სხვადასხვა დესტრუქციული პროცესები ვითარდება. ამ დროს დეგნერიტირებული ნეფრონები შეიძლება მოინახოს საკმაოდ მნიშვნელოვან მანძილზე კრიოლობის ადგილიდან. დეგნერაციის მქვეთრად გამოხატული ნაშები შეიძლება აღმოჩენილ იქნეს თვით 35 დღემდეც კი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ დეგნერიტირებულ ან სულ ერთიანად შეცვლილ სტრუქტურულ ელემენტებთან ერთად გვხვდება თითქმის სრულიად შეუცვლელებიც. მე-5 დღეს მიტოზების რაოდენობა ძლიერ იზრდება, შემდგომ მათი რაოდენობა აგრეთვე დიდია.

უკვე მე-11 დღეს შეიძლება მოიხახოს თირკმლის ახალი სტრუქტურული ელემენტების წარმოქმნა. ეპითელიური უჯრედების პირველი მნიშვნელოვანი გროვები ჩანს მე-5 დღეს. ახალი მილაკების განვითარება მეღავნდება მე-1 დღეს, თირკმლის სხეულაკებისა კი 35–47 დღეს. დაკვირვების მე-11 დღიდან დაწყებული სულ უფრო ხშირად გვხვდება ცალკეული მცირე ზომის მილაკები, ან ეპითელიური უჯრედების გროვები სუსტად გამოხატული სანათურით ან უიმისოდ.

47-ე დღეს შეიძლება გავარჩიოთ, მაღალი ეპითელიური უჯრედებით ამოფენილი და მომრგვალო ფორმის ოდნავ შესმნევი სანათურით ან ძლიერ ვიწრო ნაბრალის სახით, ახალი პატარა მილაკების დიდი რაოდენობა. შემჩნეულია საგრძნობი რაოდენობა კლავნილი და შემკრები მილაკებისა, რომლებიც მხოლოდ თავიანთი მცირე სიდიდით განიჩევიან ნორმალურისაგან.

დაკვირვების მოგვიანებულ ვადებზე (დაწყებული 35 დღიდან) უშუალოდ კაფსულის კიდესთან ალინიშნება სხვადასხვა სიდიდის თირკმლის სხეულაკების დიდი რაოდენობა. მათი ანალოგიური გროვები შემდეგაც აღინიშნება (83, 89 და 217 დღე).

ამრიგად, რეგენერაციული პროცესების არსი დეფექტის არეში დეფექტთან მდებარე ზონაში დაშლილი მილაკების აღდგენასა და დეფექტის ამომცვებ შემაერთებელ ქსოვილში ახალი მილაკებისა და გორგლების განვითარებაში მდგომარეობს. უკანასკნელი პროცესი წარმოადგენს ყველაზე სადაც საკითხს თირკმლის რეგენერაციის გამოვლენებში. ჩვენი დაკვირვებანი მოწმობენ მის რეალურ არსებობას.

ამას ადასტურებს შემცირებული ზომების მილაკებისა და ატიპიური აგებულების სხეულაკების არსებობა. ეს ცვლილებანი არ შეიძლება განიმარტოს როგორც დეგნერაციული, რაღაც ისინი გვხვდებიან თირკმლის ისეთ ნაწილში, სადაც არც დანაწილებულება და არც თირკმლის ტიბობრივი აგებულების სხვადასხვა არ აღინიშნება.



ამგვარად, შეიძლება დავსკვნათ, რომ დეფექტის მიღამში თირკმელი და-  
ზიანებაზე უპასუხებს მილაკშინითა და ნაწილობრივ მილაკგარეთა რეგნე-  
რაციით, ხოლო ორგანოს დანარჩენ პარენქიმაში — სხვადასხვაგვარი აღდგენი-  
თი პროცესებით.

თბილისის საწელმშიც სამედიცინო

ନିର୍ମାଣ

(რედაქციას მოუწიდა 4.7.1957)

## ଭାରତୀୟ ପ୍ରକାଶନ ଏତିହାସିକ ପରିମାଣ

1. М. Захаревская. О разрастании эпителия почек при очаговых повреждениях, Арх. Биол. Пат., т. 51, в. 3, стр. 80, 1938.
  2. И. А. Кнорре. О влиянии функции на развитие и восстановительные процессы в почечной ткани некоторых позвоночных. М., 1953.
  3. С. А. Петрова. Исследование по регенерации почечной ткани белых крыс М., 1949.
  4. Т. Б. Яценко. Восстановительные процессы в почке белой мыши в условиях частичного удаления и хронического раздражения коры головного мозга, 1955.

## ექსპორტული მუზეუმი

მ. კომახიძი და ნ. ჯავახიშვილი

## გულის არტერიის და ლაპარატის საკითხებისათვის

(ჭარმოადგინა აკადემიკოსმა ა. ნათიშვილმა 3.1.1958)

გვირგვინოვანი არტერიების დაზიანებას გულის ჭრილობის დროს წინააღმდეგი ყურადღება უკეთებია. ფი ი შე რ მ ა 1866 წელს გულის ჭრილობის 401 შემთხვევიდან გვირგვინოვანი არტერიის დაზიანება მხოლოდ ერთ შემთხვევაში აღნიშნა. მას შემდეგ რაც კარდიორატია დადებითი შედეგით განხორციელდა და გავრცელდა, როგორც მეურნალობის რაციონალური შეთოლი, გულის ჭრილობის დროს გვირგვინოვანი არტერიების დაზიანებას მეტი ყურადღება მიექცა [17].

ჰო დ რ ე ზ ი ფიქრობდა, რომ გვირგვინოვანი არტერიების დაზიანება გულის ჭრილობის დროს ყოველთვის სასიკვდილოა, უშუალოდ დაზიანების მიღებისთანავე. ეს შეხედულება ძან ექსპერიმენტებითაც დაადასტურა და მისი მიზეზიც გამოიკვლია. ჰო დ რ ე ზ მ ა დაარტყიცა, ომის სიკვდილის უშუალო მიზეზი ძლიერი სისხლის დენა კი არ არის, არამედ გულის კუნთის არასაკმარისი კვებაა. გვირგვინოვანი არტერიის ან მისი მსხვილი ტოტის დაზიანების შედეგად გულის კუნთი საკმად დიდ არეზე აღარ ლებულობს საკვებს და კარგას მუშაობის უნარს, რას გამოც გული ჩერდება უფრო ადრე, ვიდრე შესაძლებელი გახდება გულის ჭრილობის ქირურგიული მეურნალობა [16]. ლეო (1904) პირიქით აღნიშნავს, რომ, უტუმა ბულის ჭრილობის დროს გვირგვინოვანი არტერიის დაზიანება ამძიმებს დაჭრილის ჭრილობას, მაინც შესაძლებელია დაზიანებულ ტოტის გადაკვანძის შემდეგ ავადმყოფის განკურნება [20]. ასეთივე აზრის არიან გიბალი (1905) და ესტე (1907) [16].

ფერერს (1910) საეჭვოდ მიაჩნია ავადყოფის მეურნალობა. გულის ჭრილობის დროს, თუ გვირგვინოვანი არტერიაც დაზიანებულია, კორდი ი (1915) აღნიშნავს, რომ გულის ჭრილობის დროს გვირგვინოვანი არტერიის დაზიანება ყოველთვის სიკვდილით მოავრცება. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, კლინიკურ დაკვირვება მოწმობს, რომ გულის ჭრილობის გარდა, თუ ადგილი პერიდ გვირგვინოვანი არტერიის დაზიანებასაც და ნაწარმოებია მისი გადაკვანძება, ზოგჯერ შედეგი დადებითია. დო მ ი ნ ი ჩ ი ა 1912 აღნიცხა სპეციალურ ლიტერატურაში გამოქვეყნებული 18 შემთხვევა გულის გვირგვინოვანი არტერიის დაზიანებისა და გაკერვისა აღმიანზე [15]. კონსტანტინ მ ა (1919) ეს რიცხვი უკვე 23-მდე იყვანა [11].

გვირგვინოვანი არტერიებისა და მათი ცალკეული ტოტების გადაკვანძების საკითხის გარკვევისათვის საჭიროა ანატომიური დეტალების უფრო ღრმა ანალიზი თანამდებოւე თვალთხედვით როგორც ნორმალურ, ისე ექსპერიმენტულ პირობებში და ამ მონაცემების შეფარდება კლინიკათან.

ცნობილია, რომ გული იკვებება მარჯვენა და მარცხენა გვირგვინოვანი არტერიებით, რომლებიც უშუალოდ აორტის დასაწყისიდან გამოდიან. გვირგვინოვანი არტერიების ყალიბზე და მათ შედარებით მნიშვნელობაზე გულის კვებისათვის სხვადასხვა მკვლევარები განსხვავებულ მონაცემებს იძლევიან.



ჰენლე თვლის, რომ მარჯვენა და მარცხენა გვირგვინოვანი არტერიული ერთნაირი სიღილისაა. ზოგიერთი ავტორის დავვირგვებით მარჯვენა გვირგვინოვანი არტერია უფრო მსხვილია, ვიდრე მარცხენა [14]. კრაინიჩინუ და მუშა ს მონაცემებით [13], მარცხენა გვირგვინოვანი არტერია უფრო დიდია მარჯვენაზე. აზრთა ასეთი სხვადასხვაობა მარცხენა და მარჯვენა გვირგვინოვანი არტერიების ყალიბის შესახებ დამოკიდებულია გვირგვინოვანი არტერიების დატოტიანების თავისებურებაზე. იმისდა მშენდვით, თუ რომელი არტერია უფრო განვითარებულია თითოეულ ცალკე შემთხვევაში, მისი ყალიბიც მეტია ან ნაკლებია. მცირერიცხოვანი დავვირგვებები და დატოტიანების ფორმების გაუთვალისწინებლობა შეიძლება გახდეს მცდარი მსჯელობის მშენები.

ჩვენი დაკვირვებით, გვლის გვირგვინოვანი არტერიების გავრცელება შეიძლება იყოს სახი სახის [1, 5].

1. სიმეტრიული, როცა გვირგვინოვანი არტერიების ტოტები თანაბრად ნაწილდება პარკუშების დაიფრაგმალურ ზედაპირზე. ამსა ადგილი აქვს დაახლოებით 50%-ში. ამ დროს შეიძლება იყოს ორი პარალელური უკანა გასწვრივი ტოტი მარჯვენა და მარცხენა გვირგვინოვანი არტერიიდან;

2. მარჯვენამხრივი, როცა ორივე პარკუშის დიაფრაგმულ ზედაპირებს კვებას მარჯვენა გვირგვინოვანი არტერია, მარცხენა გვირგვინოვანი არტერიის ტოტები ან სულ არ გადაის დიაფრაგმულ ზედაპირზე, ანდა აღინიშნება მათი უმნიშვნელო რაოდენობა. ასეთი ფორმა გვირგვინოვანი არტერიების გავრცელებისა გვხვდება 40%-ში;

3. მარცხენამხრივი, როცა კარგად არის განვითარებული მარცხენა გვირგვინოვანი არტერია; იგი კვებას ძირითადში პარკუშების დიაფრაგმულ ზედაპირს. მისი ტოტი — უკანა გასწვრივი არტერია — თავისი ტოტებით ვრცელდება მარჯვენა პარკუშის დიაფრაგმულ ზედაპირზეც. დატოტიანების ამ ფორმას ადგილი აქვს შემთხვევათ 10%-ში.

აღნიშნული გამოკვლევების საფუძველზე უნდა ვითიქროთ, რომ გვირგვინოვანი არტერიების განაწილების სხვადასხვა ფორმები არის მიზეზი ავტორთა აზრთა სხვადასხვაობისა მარცხენა და მარჯვენა გვირგვინოვანი არტერიების ყალიბისა და მიზეზელობის შესახებ. ამასთან აღსანიშნავია, რომ პირველადი ტოტები გვირგვინოვანი არტერიებისა, ვრცელდება არამარტო სუბპერიადიალურად, როგორც ეს მიღებულია მრავალი ავტორის გამოკვლევების მიხედვით, არამედ საკმარისად ჩშირია არსებობა მყინთავი სისხლის ძარღვებისა, რომლებიც იქრებიან მიკარდიომის სილრმეში და კვლავ გამოლიას სუბპერიადიალურად.

ჩვენი გამოკვლევების მიხედვით, მაკროსკოპული ანასტომოზების ზერელ გავრცელება გვირგვინოვან არტერიებს შორის იშვიათია. იგი უფრო ხშირად გვხვდება წინა გულების მიღამოში. ანასტომოზები უწევრილეს ტოტებს შორის უზეად არის განვითარებული.

რაც შეეხება გვირგვინოვანი არტერიებს შორის არსებულ ანასტომოზებს, ამის შესახებ, ძირითადად ორი აზრი არსებობს: პირველი — გვირგვინოვან არტერიებს შორის არსებობა არის კავშირები, მეორე — გვირგვინოვან არტერიებს არავთ ანასტომოზები.

ჰალერი (1757) აღწერს ანასტომოზის არსებობას გვირგვინოვან არტერიებს შორის უბრალო ზრდაპირების საშუალებით [9]; ჰირტლის (1867) მიერ კი ასეთი ანასტომოზები არ არის ნახული. კონკრეტული (1887) კატეგორიულად უარყო ანასტომოზების არსებობა და გვიორგვინოვანი არტერიებისა ბაზობო ტიპის სისხლის ძარღვებს მიაუკონა. კრუველი (1851) ანასტომოზებს აღნიშნავს მარჯვენა და მარცხენა გვირგვინოვან არტერიებს შორის. ასევე ანასტომოზები ნახა საპე იმ (1899). დრაგნევი და ტერის (1905) გვირგვინოვან არტერიებს შორის ანასტომოზებს ძლიერ იშვიათად ნა-

ხულობდნენ. უამენი და მერქელი (1907) [19] რენტგენოლოგიური გამოკვების საფუძველზე აღნიშნავენ ფრიად ცვალებადი ხასიათის ანასტომოზებს გვირგვინოვან არტერიებს შორის. შვატელ კოლცი (1907) გარკვევით აღნიშნავს, რომ გვირგვინოვანი არტერიები არ არის საბოლოო ტიპისა, როგორც ამას კონცემი ამტკიცებდა. ამავე აზრის არიან ამენთ მია ა. ტანდ ერი (1913), ფოტო (1920), კრაინი ჩინია ანუ და მუშა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ გვირგვინოვან არტერიებს შორის ანასტომოზების ასესტონბა ანატომიურად დამტკიცებულია, მაგრამ ისმის საკითხი, რა ლირებულება აქვს აღნიშნულ ანასტომოზებს ფუნქციონალურად. ამ მხრივ საინტერესოა კ. ონცემის (1881) ექსპერიმენტები ძალუბზე. გვირგვინოვანი არტერიის ერთ-ერთი მსხვილი ტოტის გადაკვანძვა 105 წამში იწვევდა გულის გახერებას. მაგრამ სხვა ავტორთა შემდგომმა ექსპერიმენტებმა არ დაადასტურა აღნიშნული დებულება.

კელსტერი (1892) აწარმოვა მარცხნა გვირგვინოვანი არტერიის არამარტონ შემომწვევი ტოტის გადაკვანძვა დადებითი შედეგით, არამედ აგრეთვე დასწრებივი ტოტისაც. კორტერი (1894) აღნიშნავს, რომ გვირგვინოვანი არტერიების სხვადასხვა ტოტების გადაკვანძვა ერთნაირ შედეგს არ იძლევა. დამტკიცებულია, რომ როგორადაც არ უნდა იყოს განვითარებული ანასტომოზები, ძირითადი ლეროს გადაკვანძვა იძლევა გულის მოკლე დროში გახერებას. გვირგვინოვანი არტერიების სხვილი ან წვრილი ტოტების გადაკვანძა იძლევა. არ თავი იმ დღენობის ინფარქტს, რასაც მოვაება გულის ჭუნთის ნეკროზი.

კარელისა და ტუფიეს (1914) გამოკვლევებით მტკიცდება, რომ გვირგვინოვანი არტერიის მთავარი ლეროს გადაკვანძვა ყოველთვის სასიკვდილოა, გული ჩერდება დიასტოლის მდგომარეობაში. ასატანია მხოლოდ ტოტების გადაკვანძვა. ვეირგვინოვანი სინუსის გადაკვანძვა მის ყველა მონაკვეთში არ არის. სასიკვდილო.

ჩვენ შეიტარებული ექსპერიმენტული გამოკვლევები მტკიცებს, რომ გვირგვინოვანი არტერიების ტოტების გადაკვანძვა ძალუბზე იწვევს გულის ჭუნთში ინფარქტის ტიპიური სურათის განვითარებას, რაც მტკიცდება როგორც ელექტროკარდიოგრაფიულად (3 თვის განმავლობაში), ისე მორფოლოგიურად. გვირგვინოვანი არტერიების ტოტების გადაკვანძვის შემდეგ ვითარდება უალერესად საინტერესო ცვლილებები კაპილარულ სისტემაში, განსაკუთრებით გულის კუნთის შუა შრეში. იშემიური კერის ლევასკულარიზაცია ხდება პერიფერიულად ცვლილ ცვლილების სისხლის ძალვების ჩაზრდით.

ფრიად საკულასხმოდ მივაჩნია, რომ გვირგვინოვანი არტერიის ტოტის გადაკვანძვის შემდეგ უახლოეს დღეებში სანამ ახალი სისხლის ძალვები ჩაზრდებოდეს, იშემიურ კერაში და მთლიანად გულის კუნთში ძლიერ გაფართოებულია ვენური სინუსოდები და კაპილარულ ქსელის ვენური მონაკვეთი, რაც გვაფირებინებს რეტროგრაფიულ სისხლის ნაკადზე.

გარდა ანატომიური და ექსპერიმენტული გამოკვლევებისა, ფრიად საინტერესოა კლინიკური მონაცემები გვირგვინოვანი არტერიების დაზიანებისა და გადაკვანძვის შესახებ.

ი. ჯანელიძის მიერ შეგროვილ კარდიორატის 535 შემთხვევიდან (1896—1921 წლამდე) გულის სისხლის ძალვების დაზიანება აღინიშნებოდა 43 შემთხვევაში; აქედან 41 შემთხვევაში დაზიანებული იყო გვირგვინოვანი არტერიების ტოტები, 2 შემთხვევაში კი — ვენები. დასახელებული მასალიდან 10 შემთხვევაში არ მოიპოვება სრული მონაცემები გვირგვინოვანი არტერიების დაზიანების გამოსკლის შესახებ. ცნობილია, მხოლოდ, რომ 4 ავადმყოფი განიკურნა, 6 გარდაიცვალა. 7-ჯერ დაზიანებული იყო მარცხენა გვირგვინოვანი არტერია და მისი ტოტები; 3-ჯერ კი მარჯვენა არტერია თავისი ტოტებით. დანარჩენი 31 ავადმყოფის შესახებ შედარებით უფრო ზუსტი ცნობები.

მოიპოვება, ალნიშნულია გვირგვინოვანი არტერიის დაზიანების ხასიათი და ლოკალიზაცია. ამ ვადმყოფებიდან 17 დაიღუპა და 14 განკურნა. სიკვდილის მიზეზი უმეტეს შემთხვევაში პერიფერული მიოკარდიუმის, მიოკარდიუმისა და პლევრის ინლევის იყო, ზოგჯერ კი ტეინის ემბოლია. ნაშილი ავადმყოფებისა, დაიღუპა გულის კუნთის ნეკარის გამო, გვირგვინოვანი არტერიის ტოტების გადავანძევა თავისთვად ალრავებს ინფექციის მნიშვნელობას. ამ 41 შემთხვევიდან უშიშრესად აღნიშნებოდა მარცხენა გვირგვინოვანი არტერიის დასწრებივი ტოტის დაზიანება, რომელთაგან 18 ვადმყოფი განკურნა (44,0%), 23 კი გარდაცვალა (56,0%).

გვირგვინოვანი არტერიის ტოტების დაზიანების შემდეგ, განკურნების 44,0% ამტკიცებს, რომ ამ შემთხვევაში საქამარისად ყოფილა განვითარებული ანასტრომოზები მარჯვენა და მარცხენა გვირგვინოვანი არტერიებს შორის. ამასთან ერთად არ შეიძლება არ ალინიშნოს, რომ, მიუხედავად კოლატერალების არსებობისა, არტერიების დაზიანების შემთხვევაში ყოველთვის აქვთ ადგილი გულის კუნთისათვის დამასასიათებელ ინფარქტის სურათს, თუმცა ექსპერიმენტული და კლინიკური დაკვირვება (აგრეთვე ჩვენი გამოყიდვებაც) ამტკიცებს, რომ გვირგვინოვანი არტერიები ანატომიურად არ შეიძლება მიყჟაოვნოს საბოლოო ტაბის არტერიებს, როგორც ამას კონცენტრი და სხვები ფიქრობდნენ. მაგრამ აშავე დროს უნდა გვასსოვდეს, რომ გვირგვინოვანი არტერიების მთავარი ლეროს გადაკვირვების დროს ვითარდება გულის კუნთის მშვავე იშემია მისი მუშაობის შეჩერებით. ტოტების გადაკვირვება იძლევა ამა თუ იმ ოდენობის კეროვან ნეკროზს, რასაც ახასიათებს ინფარქტის კლინიკური სურათი. ინფარქტის მიღამოში მოგვიანებით ვითარდება შემაერთებელ ქსოვილოვანი ნაწილური. ამის გამო გვირგვინოვანი არტერიის ტოტების დაზოგვას კარდიორატის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს. ამის საილუსტრაციოდ მოგვავს ერთი შემთხვევა თბილისის სას. სამეცნიერო ინსტიტუტის ჰოსპიტალური ქირურგიული კლინიკის მასალიდან. 21 წლის ახალგაზრდა დასჭრებს გულშეკრდის მიღამოში სტერნალურ და მამილარულ ხაზებს შორის. დაჭრილი თავისი ფეხით მოვიდა პოლიკლინიკაში, მაგრამ მისელისთანავე დაეცა და დაკრება გონება. რამდენადაც ეჭვი იყო იყო მიტანილი გულის ჭრილობაშე, იგი სასწრაფო გაღაიყვანეს კლინიკაში. ავადმყოფი მშიდვე პენეტრისა და შოკის მდგომარეობაში იყო. მასთან კონტაქტში შესვლა არ შეიძლებოდა. შფოთავდა, ქონდა ქოშინი და ციანზიზი. მიუთოთებდა ტკივილზე გულის პერანგი ამოვსებული იყო სისხლით და ამიტომ ძლიერ დაგრიმული. გულის მუშაობა თითქმის შეუშმინველია. პერიკარდიუმის გაცვეთის შემდეგ მაღალი წნევით გადმოინთხა სისხლის დიდი რაოდენობა. გამოიჩინდა მარჯვენა პარკუტის წინ კედლელზე არსებული ჭრილობა 1 სმ სიგრძისა, რომელიც გაიკერა საში კვაბძოვანი ნაკერით. პირველ ნაკერში მოყვა გვირგვინოვანი არტერიის ტოტი. მესამე ნაკერის დაღების შემდეგ ჭრილობიდან სისხლის დენა შეჩერდა. ჭრილობა გაიკერა შერების მიხედვით, შეყვანილ იქნა პენტილინი, პლევრის ლრუში ჩაიდო დრენაჟი. ავადმყოფს ოპერაციის მსვლელობაში გადაესხა 750 გრამი სისხლი და გაცემდა ვაკონიმბათობური ბლოკადა. ოპერაციის შემდეგ ავადმყოფის მდგრადობა საკრძნობლად გამოსწორდა, მაგალით — აჩქარებული (120—130), მაგრამ რითმული, საშუალო ავებების. აიჭვა სისხლის წნევაც — 110/70. ოპერაციის შემდგომ პერიოდში ავადმყოფს უკეთდებოდა ანტიბიოტიკები (სტერეტომიცინი და პენიცილინი), სულფამიდები, ქაფური, პანტაპონი, პლევრის ლრუს პუნქციები სისხლის ამოსალებად. სისხლის სურათი რაიმე გადახრას ნორმიდან არ აშკა-

რავებდა. ელექტროკარდიოგრაფიულად პირველ ხანებში აღინიშნებოდა კონკრეტული სისხლის მიმოქცევის მოშლის აშკარა სიმპტომები, კბილი R<sub>1</sub>-2 და გბილული იყო T<sub>1</sub>-2 შემცირებული, უარყოფითი (კორონარული). გულის ელექტრო-ლერძი ნორმალურ მდგომარეობაში. გულის გამტარებლობის და შეკუმშვა დაღობის ფუნქციები შესუსტებული. ჩითმი თანაბარი, მაგრამ აჩვარებული. ოპერაციის ერთი თვის შემდეგ გულის მუშაობის ჩითმი ნორმას დაუბრუნდა. ელექტროკარდიოგრაფიულად ძალიან მცირე ცვლილებები აღინიშნებოდა, თუმცა კბილი T<sub>1</sub>-2 ისევ უარყოფითია (კორონარული); გულის ელექტრო-ლერძი კი ნორმალურ მდგომარეობაში.

ამგვარად, ლიტერატურის მონაცემების, აგრეთვე საკუთარი მორფოლოგიური, ექსპერიმენტული და კლინიკური გამოცდილების საფუძველზე სრულიად სარწმუნოდ მიგვაჩნია გვირგვინოვან არტერიებს შორის ანასტომოზების არსებობა, რომლებიც განაპირობებენ კოლატერალურ სისხლის მიმოქცევას გვირგვინოვანი არტერიის შეორადი და უფრო მცირე ტოტების გადაკვირდების შემთხვევაში, ხოლო გვირგვინოვანი არტერიების მთავარი ლეროსა და მისი პირველადი ტოტების დაზიანება და გადაკვანდვა შეუბრუნებელ დარღვევის იდენტი.

საქ ართველს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტი  
თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 3.1.1958)

#### დამოუბნული ლიტერატურა

1. Н. А. Джавахишвили, М. Э. Комахидзе. Микроваскуляризация миокарда в норме и при эксперименте. Тезисы II украинской конференции морфологов. Харьков, 1956.
2. Ю. Ю. Дженелидзе. Отдаленные результаты хирургического лечения ран сердца, Вест. хир. и погр. обл. т. IV, кн. X—XI, 1924
3. Ю. Ю. Дженелидзе. Повреждение венечных сосудов при ранениях сердца, Вест. хир. и погр. обл. т. V, кн. XIV, 1925.
4. Ю. Ю. Дженелидзе. Собрание сочинений, хирургия сердца и крупных сосудов, том II, Москва, 1953.
5. М. Э. Комахидзе. Н. А., Джавахишвили. Артерии и капилляры сердца. Тез. V конференции хирургов закавказских республик. Тбилиси, 1957.
6. А. Подрез. О хирургии сердца, Врач, № 26, 1898.
7. А. Фохт. Патология сердца. Москва, 1920.
8. R. A menom i y. Über die Beziehungen zwischen Koronararterien und Papillarmuskeln im Herzen. Virchows Archiv, 1910, Bd. 199.
9. Carrel et Tuffier. Chirurgie des orifices du coeur. La Presse Médicale. Mai, № 34, 1914.
10. J. Cohnheim. Vorlesungen über allgemeine Pathologie. Bd. I, 1877.
11. H. Constantini. De la chirurgie des plaies récentes du cœur par projectiles et instrument trachants, Thèse de Paris. 1919.
12. S. Cordoni. Un caso di ferita del cuore e del cuore e del polmone. Gazetta degli Ospedali e delle Cliniche. № 14, 1915.
13. A. Crainicianu. Anatomische Studien über die Coronararterien und experimentelle Untersuchungen über ihre Durchgängigkeit. Virchows Archiv, 1922, Bd. —238.



14. J. Cruvelhier. Traité d'anatomie descriptive. Paris, m. II, 1851.
15. Dominici. Sulla chirurgia del cuore coll'insufflatione alla Melzer. La liga-tura dei vasi coronari. XXIV Congresso della Soc. ital. di Chirurgie, Roma, 1912, XI, 7—10, II, Morgagni, 1912, 1150.
16. D' Este. La chirurgie del pericardo e del cuore. Pavia, 1907.
17. G. Fischer. Die wunden des Herzens. Archiv f. klin. Chirurg. 1868, Bd. 9.
18. Guibal. La chirurgie du coeur. Revue de Chirurgie, 1905, Vol. 31 - 32.
19. F. Jamin, H. Merk el. Die Koronararterien des menschlichen Herzens unter normalen und pathologischen Verälthissen, Dargestellt in stereoskopischen Röntgenbildern. Jena, 1907.
20. C. Leo. Contribution à l'étude du traitement chirurgical des plaies du coeur. These de Paris, 1904.

გ. ძუგათელაძი

მაპროპათომოფოლოგიური ცვლილებები ჭყლულოვანი  
ხასიათის სტენოზების დროს

(წარმოადგინა აკადემიკოსმა გ. ერისთავმა 15.2.1958)

ჭყლულოვანი დაავადების დროს ჭყლულის დანაწიბურება გარევეული თავისებურებებით ხასიათდება. დანაწიბურების ეს პროცესი სრულიად განსხვავდება ექსპერიმენტში მიღებული ჭყლულის დანაწიბურებისაგან. ეს გარემოება უკვე ცნობილი იყო XIX საუკუნის დასაწყისში. კლაინი აღნიშნავს, რომ ცხოველებში ხელოვნურად გამოწვეული ჭყლულის დანაწიბურებისას ადგილი აქვს ლორწოვანი გარსის აღდგენას, მაშინ როდესაც ჭყლულოვანი დაავადების შემთხვევაში ჭყლულის დანაწიბურება იძლევა სქელი ფენის მქონე ნაწიბურს. ეს გარემოება იმითა ახსნილი, რომ ჭყლულოვანი დაავადების შემთხვევაში ჭყლულის შეხორცებასთან ერთად ხდება ფიბროზული შემართი ქსოვილის ჭარბად განვითარება ნაწიბურის შემდგომი შესმუხვინით, რაც პილორუსის ან თორმეტგოჭა ნაწლავის სანათურის შევიწროებას იძლევა.

უნდა ვითქმიოთ, რომ ეს მოვლენა მეორადი აზოვიადი პროცესის უკუგანვითარებით ახსნება.

უ. ლაზოვკისა და გ. ქრიაზვას აზრით, ჭყლულის მიღამოში ნაწიბურის ცნობისიური განვითარება მუკოლიფრი სუბსტანციის კოლაგენური ბოჭკოვების ზრდაზე სტიმულაციური გავლენის შედეგია.

ჭყლულოვანი დაავადების გამო კუჭის გასავლელის შევიწროება ზოგადად ცნობილია პილორუსის სტენოზის სახელწოდებით, მიუხედავად იმისა, რომ პროცესი, რომელიც შევიწროებას იწვევს, უხშირესად თორმეტგოჭა ნაწლავის დასაწყისშია და გამოწვეულია ამ ლოკალიზაციის ჭყლულების დანაწიბურებით ან სხვა სახის პათოლოგიით.

ზოგი ავტორი ამას იმ გარემოებით ხსნის, რომ პილორისტენზი ბევრად უფრო ადრე იყო ცნობილი, ვიდრე შევიწროება თორმეტგოჭა ნაწლავის სანალურისა და უკანასკნელი პათოლოგიით გამოწვეული ყველა კლინიკური ნიშანი შეცდომით კუჭს ეწერებოდა.

ავტორთა მეორე წევება მიუთითებს, რომ კლინიკურად შეუძლებელია პილორუსისა და თორმეტგოჭა ნაწლავის შევიწროების გარჩევა, მით უმეტეს, რომ უკანასკნელი, შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში, მის დასაწყის ნაწილში უშუალოდ პილორუსთან ვიწროვდება. ბერიოზოვადა და ვულანიცკიმ 106 უცადყოფზე ჭყლულოვანი სტენოზით 51 შემთხვევაში ოპერაციის გზით დადგინდს შევიწროება როგორც პილორუსში, ისე თორმეტგოჭა ნაწლავის დასაწყისში. შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში თორმეტგოჭა ნაწლავის სანათურის, შევიწროება განსირობებულია მასში არსებული ჭყლულის ნაწილობრივი დანაწიბურებით (ბერიოზოვი, პრედელსკი, ხაუზერი და სხვ.). რაც შევება ჭყლულის სრულ დანაწიბურებას, ეს უკანასკნელი სტენოზის პირობებში თითქმის არ გვხვდება.

ჭყლულის შეხორცებისას შევიწროება ძირითადად ჭყლულის ფსკერის ნაწიბურებან ქსოვილად გადაგვარების გამო ხდება. ამას ემატება შემართობელი ქსოვილის განვითარება და პილორუსის პიპერტროფია.

ბოჭკისა და კომბულის აზრით, პილორო-დუოდენური მიღამოს შევიწროება განპირობებულია არა ორგანული ცვლილებებით, არამედ სპაზმითა და ლორწოვანი გარსის შეშუბებით.

სპარატური წარმოშობის დაბრკოლება კუჭის გასავალში ცნობილია ცალკეუნის დამლევიღან. მასზე ლაპარაკობდნენ იმ შემთხვევებში, როდესაც კუჭის მოტორიკის დაბრკოლების კლინიკური სურათის მქონე ავაღმყოფებს ოპერაციის დროს პილორუსისა და თორმეტგოჭა ნაწლავის მხრივ რაიმე ორგანული ცვლილებები არ აღმოაჩნდებოდა.

ბოასმა 1925 წელს გამოთქვა აზრი, რომ რეფლექსური პილოროსპაზმა შეიძლება იყო მექანიკური დაბრკოლების მიზეზი, მაგრამ ასეთი შემთხვევები ძლიერ იშვიათია. მისი აზრით, უფრო ხშირად ადგილი აქვს პილოროსპაზმის პარალელურად არსებულ ლორწოვანი გარსის ანტებად ინფილტრაციას. მას უფრო სწორად მიაჩნია ვილაპარაკორ წყლულოვანი ხასიათის პილორიტზე, ვიდრე სუფთა რეფლექსურ პილოსპაზმზე. ასეთივე აზრისა არიან კუტნერი, ბურჩინსკი და პერედელსკი.

ბოკუსის მიერ მოყვანილია მასალა, სადაც ის მიუთითებს, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე კუჭის წყლულს ეხება, პილორუსის სტენოზს ადგილი აქვს 5,8%-ში; უნდა ვითქიჩოთ, რომ ასეთ შემთხვევაში სტენოზი შეიძლება გამოწვეული იყოს წყლულის კუჭის მცირე სიმრუდეზე ლოკალიზაციის პირობებით, რაც თავის მხრივ იწვევს კუჭის ისეთ დეფორმაციას, რომელიც ცნობილია „ლოკოკინასებური“ დეფა რიაციის სახელშოდებით.

ჩვენს მასალებში არის შემთხვევა, როდესაც მცირე სიმრუდის არეში არსებული წყლულოვანი პათოლოგიით გამოწვეულმა დეფორმაციამ აიძულა ოპერატორი კიბისებური რეზეცია ეწარმოებინა.

შორს წასულ შემთხვევაში „ლოკოკინასებური“ დეფორმაცია იძლევა კუჭის მოტორიკის ისეთ მოშლას, რომ მისი დიფერენცირება დეკომპენსიური სტენოზისაგან თითქმის შეუძლებელი ხდება არა მარტო კლინიკურად, არამედ რენტგენოლოგიურადაც, ისიც საკმაოდ გამოცდილი რენტგენოლოგის ხელში.

პათოლოგიური პროცესს მიმდინარეობისა და სტენოზის ინტენსივობის მიხედვით ამ გართულების მაკრომორფოლოგიური სურათი სხვადასხვანაირია.

დეგრენერაციული ცვლილებების ასებობა კუჭის კუნთოვან პარატში ჯერ კიდევ გასულ საუკუნის დამლევს იყო ცნობილი.

დღესასაცავის დაცვენილია, რომ კუჭის მფარავი სეროზული გარსი, იმ ადგილის გარდა, სადაც წყლული ლოკალიზდება, შესამჩნევ ცვლილებებს არ განიცდის. სტენოზის კრიმპენისტებულ და სუპკომპენისტებულ ჯაზაში კუჭის ჯველა შრე გასქელებულია, ლორწოვანი გარსის ნაოჭები კი შესამჩნევ ჰიპერტონიის განიცდის. კუჭი გაღიღებულია, განსაკუთრებით სტენოზის დეკომპენსაციის სტადიაში. სტენოზის ამ ხაზში კუჭის კედელი უმეტეს შემთხვევაში ატროფიისტებულია, ლორწოვანი გარსის ნაოჭები დაბალია და ლიდალი ლორწოთი არის დაფარული.

როდესაც დაავადება არ არის გართულებული მეზობელ ორგანოებში წყლულის შელწევით და ადგილი აქვს მხოლოდ სტენოზს, მაკრომორფოლოგიური სურათი შემდეგნაირია: სეროზული გარსი წყლულის პროექციაზე შესამჩნევად გასქელებულია, მასზე თითქმის ყოველთვის არის ვარსკვლავისებრი ან ჯვარედინი ხაწიბური.

შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში წყლული მრგვალი ან ოვალური ფორმისაა, მისი კიდევები საკმაოდ მკვრივია ნაწიბუროვან ქსოვილად გადაგვარების გამო. წყლულის სიდიდე საკმაოდ დიდ ფარგლებში მერყეობს ( $0,1\text{--}2 \text{ სმ}^2\text{-მდე}$ ). წყლულის სიღრმე, როგორც წესი, 0,5—1 სმ არ აღემატება. წყლულის ირგვლივ ლორწოვანი გარსი სადაც და ფიქსისტებული. წყლულის მიღამოებში პილორუსის ან თორმეტგოჭა ნაწლავის სანათური მეტ-ნაკლებადაა შევიწროებული. ზოგიერთ შემთხვევაში შევიწროების ხარისხი იმდენად დიდია, რომ სანათური ან ძნელად ტარდება ფოლაქიანი ზონდის წვერი. პილორუსისა და თორმეტგოჭა ნაწლავის კედლები ძლიერ გასქელებულია.

თუ სტენოზის გარდა ადგილი აქვს წყლულის მეზობელ ორგანოში შეღწევას, მაშინ სურათი საგრძნობლად იცვლება. წყლულის შეღწევის მიღამოში ადგილი აქვს ნაწიბუროვანი ქსოვილის ჭარბ განვითარებას. პილორო-ლუოდენური ძირამი დეფორმირებულია და ჩამალულია შეხორცებებში. მცირე ბადექონი გასქელებულია და შეკმუხენული. აღნიშნული მიღამო საჭამალ მჭიდროდაა და კავშირებული იმ ორგანოსთან, რომელშიც წყლულია შეღწეული. შეღწევის ადგილის გამოყოფის შემდეგ წყლულოვანი დეფექტი წარმოდგენილია წყლულის გამკრივებული კალოზური კიდეებით. წყლულის უჟე წარმოდგენილია ის ორგანოს ნაწილით, რომელშიც წყლული იყო შეღწეული. შეღწევის ადგანი იმარტინი ჩაღრმავებულია კონცესისებურად, მწვერვალით შეგნით, მისი სიღრმე შეიძლება მერყეობდეს 1—2 სმ-მდე. ამ კრატერის კიდეები გასქელებული და გამკრივებულია.

არის შემთხვევები, როდესაც შევიწროება გამოწვეულია ე. წ. *Uleus tumor*-ით. ეს ისეთი წყლულია, რომელსაც ანთებადი სიმსივნის ხასიათი აქვს და ზოგი ავტორის აზრით სიმსივნურად გადაგვარების პროცესის დასაწყისს წარმოადგენს. შეუიარაღებელი თვალით აღნიშნული წარმონაქმნის გარჩევა ჰეშმარიტი სიმსივნისაგან მეტად ძნელია. განაკვეთზე წყლულოვანი სიმსივნე მეტწილად მონაცრისფროა, მის ცენტრში სხვადასხვა ზომის შეკრივი კიდების მქონე დეფექტებია.

წყლოლებანი ხსიათის სტენზების ღრმას არსებული მიქრომორფოლოგიური ცვლილებები დაწვრილებით შესწავლილია კ. ვირსალაძისა და ა. ოკლიას მიერ. მათი მონაცემების საფუძველზე კუჭის კედლის მზრივ აღნინშენება პირებრტოფიული, ატროფიული უფრო ხშირად ვი ერთდროულად ორივე სახეს კვლილებები.

ჰიპერტონიული და ჰიპერტროფიულ-ატროფიული მოვლენები უხშარესად სტენზის კომპენსიურ და სუბკომპენსიურ სტადიგბში გვხვდება, ატროფიული ხასათის ცვლილებები კი სტენზების დეკომპენსაციის სტადიას ახასიათებს. ზოგჯერ კლინიკურად შეიძლება აღვილი ჰერნიეს კუჭის მხრივ დეკომპენსაციის მოვლენებს კუნთოვანი შრის ატროფიული ცვლილებების გარეშე, ზოგჯერ კი უკანასკნელის ჰიპერტროფიის დროს. ეს გარემოება უფლებას გვაძლევს ვიგარაულოთ, რომ კუჭის ევაკუაციური ფუნქციის დაქვეითება ყოველთვის არ მიგვითითებს კუნთოვანი შრის მხრივ ატროფიული ხასიათის ცვლილებებზე.

მიუხედავად იმისა, რომ წყლულოვანი ხასიათის სტენოზების კლინიკური და პათომორფოლოგიური კლასიფიკაციის შესახებ შრომები საქმაო რაოდენობრივად გამოქვეყნებული, ცვლილებები, რომელებიც შემჩენებულია პროფ. მ. ჩახავას მიერ 12-გოჯა ნაწლავის დასაწყისის მხრივ, ჯერჯერობით აღწერილი არ ყოფილია, ამიტომაც უფლებას ვაძლევთ ჩვენს თავს მოკლედ შეგჩერდეთ ამ საჭითზე. ჩვენს მასალაზე 12-გოჯა ნაწლავის მასტენზიზრებელ წყლულს აღვილა ჟერნიდა 300 შემთხვევაში, ხოლო წყლული, რომელიც პილორუსის მიღმიშვი ან კუჭის მცირე სიმრტედზე იყო ლოკალიზებული და იწვევდა კუჭის გასავლის შევიწროებას, 97 შემთხვევას შეადგინდა.

ამ მასალაზე საშუალება გვქვნდა 12-გოგა ნაწლავში წყლულოვანი პროცესის ღროს განვითარებული ცვლილებები შეგვესწავლა და გარკვეული ქანონზომიერება დაგვიდინა.

ამ შესწავლის საფუძველზე გამოიჩინა, რომ წყლოლოვანი სტენზის დროს ნაწილუროვან შევიწროებას ძირითადად დიდი ლოკალური გარეცელება არა ძევს. ის დაახლოებით 0,5—1 სმ-ზე ვრცელდება და შემდეგ თორმეტგოზა ნაწლავის პედლის ორნაკობა ცოტად თუ ბევრად ნორმას უახლოვდება. ამრიგად, პლოტოულ ზონაში ან თორმეტგოზა ნაწლავის დასაწყისში ნაწილუროვანი შევიწროება მაქსიმალურადა გამოხატული, რასაც ჩვენ სტენზის კვერტს კუნთო-

ოფებთ. მასალაზე დაკვირვებამ დაგდანახა, რომ მეორადი ცვლილებები, 12-გოგა ნაწლავის ამ მიღამში აქვს ადგილი, შეიძლება ორ ტიპად გაიყოს:

1. შევიწროების ცენტრი პილოტუსში ან 12-გოგა ნაწლავის დასაწყისშია და აქედან მხოლოდ 1—2 სმ-ის მანძილზე ვრცელდება, ხოლო შემდეგ 12-გოგა ნაწლავი ნორმალურ სახეს იღებს როგორც სანათურის სიფართის, ისე სერო-ზული საფარველის მხრივ.

2. შევიწროების ცენტრის ქვევითაც 12-გოგა ნაწლავი ატროფირებულია, წვრილი ზონაზე სახით არის წარმოდგენილი და ასეთ სახეს ინარჩუნებს მთელ ზედა პორიზონტალურ ნაწილში. სტენოზის ცენტრიდან დაცილებით მისი სანათურის სიფართე თანდათანობით, ძლიერ უმნიშვნელოდ, გაიირდება.

პირველი სახის დეფორმაციის დროს 12-გოგა ნაწლავი შეიძლება თავშე-კრულ ტოპრაკს მივამსგავსოთ, მეორე სახის დეფორმაცია კი გრძელელრძიან-კონუსს უფრო წაგავს.

წყლულვანი წარმოშობის სტენოზების პირველი ტიპის დროს კუჭის რე-ზექციას ჩვენ პირდაპირი შერთულის დადებით ვაკეთებთ.

ამ პერაციის შესრულებისას პათოლოგიური პროცესის თავისებურების მიხედვით ფაქტობრივ სამ სხვადასხვა ვარიანტთან გვაქვს საქმე:

ა) 12-გოგა ნაწლავის დასაწყისის მობილუსაცია ნერჩედება საკმაო მასშტა-ბით და შესრულებული მისი გადაკვეთი შევიწროებული ნაწილის ქვევით, სა-დაც იწყება ნორმალური სანათურის მქონე 12-გოგა ნაწლავი. ასეთ შემთხვევა-თა რაოდენობა ჩვენს მასალაში 207-ს უდრის;

ბ) 12-გოგა ნაწლავის მობილუსაცია შესაძლო ხდება ოლნავ ნაკლებ მანძი-ლზე და სტენოზის ცენტრის ოლნავ ქვევით მისი გადაკვეთის შემდეგ ირკვევა, რომ 12-გოგა ნაწლავის სანათური საკმაოდ ვიწროა, მაგრამ შევიწროება მცი-რე მანძილზე ვრცელდება (0,5—1 სმ), რის შემდეგ სანათური ნორმალურ სი-ფართეს დებულობს. ასეთ შემთხვევაში საკმარისია ორი პინცეტის ტარით შე-ვიდეთ 12-გოგა ნაწლავის სანათურში და ის ფრთხილად, მექანიკურად გავჭი-მოთ, რომ ამით სუსპერიზულად და სუბმეტოზურად განვითარებული შევიწ-როებული ნაზი ნაწილურები დაირღვეს. ასეთი მანძილურაციის შემდეგ 12-გო-გა ნაწლავის სანათური ნორმალური სიფართის ხდება. ჩვენს მასალაზე ასეთი სახის ოპერაცია კარგი შედეგით არის ჩატარებული 13-ჯერ;

გ) 12-გოგა ნაწლავის შევიწროების ცენტრის ქვევით გადაკვეთის შემდეგ ირკვევა, რომ ნაწლავის ტაკვის სანათური ვიწროა. შევიწროება ვრცელდება დაახლოებით 2 სმ-ის მანძილზე, რის შემდეგ სანათური კვლავ ნორმალურია. ასეთ შემთხვევაში 12-გოგა ნაწლავის წინა კედელზე ტარდება გასწვრივი განა-კვეთი, სიგრძით 2,5-3-4 სმ, შესწორდება კუთხველი ნაპირები და ამით შე-იქმნება სრულიად ნორმალური სიფართის სანათური. 12-გოგა ნაწლავის სანა-თურის გაფართოების ეს გზა ჩვენ კარგი შედეგით გამოვცადეთ (38-ჯერ).

წინასწარი დასკვნები

1. წყლულოვანი სტენოზი თორმეტგოგა ნაწლავის დეფორმაციისა და ატ-როფიული ხასიათის ცვლილებების მიხედვით ორ ჯგუფად უნდა გაიყოს: ა) რო-დესაც სტენოზის ცენტრიდან 1—2 სმ შემდეგ ნორმალური სიფართის თორმეტ-გოგა ნაწლავი იწყება (წაკრული ტოპრაკის მსგავსი); ბ) როდესაც სტენოზის ცენტრის შემდეგ მდებარეობს განლეული, დიდ მანძილზე მკვეთრად შევიწრო-ებული თორმეტგოგა ნაწლავი.

2. სტენოზის პირველი სახე იძლევა პირდაპირი შერთულის გამოყენების საშუალებას, ხოლო სტენოზის მეორე სახის დროს კუჭის რეზექცია B II წე-ლით ან მისი რომელიმე მოდიფიკაციით უნდა გაკეთდეს.

ობილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

(რედაციას მოუვიდა 15.2.1958)



## ერთობლივი გადაცემა

### 3. მიჩიტავილი

საღვთი ქუთავის მროვაშია კბილების მთლიანად დაკარგიდის დროს და მისი ცვლილება პროცესის გაცვლით

(წარმოადგინა აკადემიის ქვერ-კორესპონდენტმა დ. მ. გვევანიშვილმა 7.4.1958)

ორთოპედიულ სტომატოლოგიაში, სალეჭი და მიმიკური კუნთების ფუნქციური მდგომარეობა სალეჭი აპარატის სხვადასხვა დაავადებისას არასაკმარისადა შესწავლილი. გნატოლინამომეტრი [1, 2, 3, 4] და ანალოგური მეთოდები მთლიან წარმოლენას არ გვაძლევენ სალეჭი კუნთების ფუნქციური მდგომარეობისას და მათ საინერგაციო შექანიშების შესახებ. ფუნქციური სალეჭი სანჯის [1, 5], მასტიგაცონგრაფიის მეთოდები [6] აგრეთვე პირდაპირ ჩვენებებს არ გვაძლევენ სალეჭი კუნთების ფუნქციური მდგომარეობისას და მათი აგზებადობის შესახებ. იგივე შეიძლება ითვებას კუნთების რელეფისა და ფორმის ცვლილებების, მათი დაკიმულობის ან მოდუნების შესახებ, რასაც ადგილი აქვთ კბილების მთლიანად ან მნიშვნელოვანი რაოდენობით უქონლობისას, ყბა-კბილთა ანომალიებისა და ზოგიერთი სხვა დაავადებებისას.

კბილების უქონლობისას, განსაკუთრებით მათი მთლიანად დაკარგის დროს, ირლევა ყბების ურთიერთდამოკიდებულება. სალეჭი აპარატის ამ დეფექტის პროთეზირებით გამოსწორებისას, იგი იძულებულია შეეგუს ახალ პირობებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ პირის ლრულან მომზინარე გაღიზიანებები იწვევენ როგორც სისტემურს (საკმლის მომნელებელ სისტემაში), ისე ამ სისტემის გარეშე რეფლექსებს, პროთეზები (განსაკუთრებით ფირფიტოვანი), რომელიც ფარავენ პირის ლრუს ამ რეფლექსური ზონის მნიშვნელოვან ნაწილს, გავლენას უნდა ახდენდენ ცენტრალური ნერვული სისტემის შესაბამისი განყოფილებების მდგომარეობაზე.

სალეჭი კუნთების ფუნქციური მდგომარეობის შესწავლას კბილების მთლიანად ან მათი მნიშვნელოვანი რაოდენობით უქონლობისას აქვს არამარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც — პროთეზირების ეფექტურობის შეფასების თვალსაზრისით.

როგორც ცნობილია, ქრონიკული მოპფინა მთელ რიგ გაურკვეველ საკითხებს მედიცინის სხვადასხვა დარგებში. ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ არამარტო კუნთების, არამედ გარკვეულ ფარგლებში, მათი ცენტრალური სინერგაციი მექანიზმების ფუნქციური მდგომარეობაც.

ლიტერატურული მოცულების სალეჭი და მიმიკური კუნთების ქრონიკული გამოკვლევების შესახებ ძლიერ შეირენა.

სალეჭი და საღვთქლის კუნთის ნორმალური ქრონიკული მერყეობს 0,48-დან 0,64 მილისეკუნდის ფარგლებში (გ. ბურგუნდი გინიონი [7]). დ. მარკო ვის [8] მიერ ამ კუნთებისათვის დაგენილი ნორმალური ქრონიკული სიდიდეები საგრძნობლად განსხვავდება ბურგინიონის მონაცემებისაგან და მერყეობს 0,10-დან 0,36 მილისეკუნდს შორის.

ძლიერ მცირეა შრომები აგრეთვე მიმიკური კუნთების ნორმალური და პათოლოგიური ქრონიკული შესახებ. გ. ბურგინიონის [7] და დ. მარკოვის [8] შრომებში მოყვანილია მონაცემი ზოგიერთი მიმიკური კუნთის ქრონიკული მკვეთრი გადიდების (10-ჯერ და მეტად) შესახებ სახის ნერვის დამბლის დროს. დ. მარკო ვის ალნიშვნებს აგრეთვე დამბლის გავლისა და მოძრაობის აღდგენასთან ერთად ამ კუნთების ქრონიკულის მკვეთრ დაცემას



სალეჭი კუნთების ქრონაქსია მნიშვნელოვნად დიდდება ყბების ძვლოვნების დაფარებისა და ქვედაყბის ცრუ სახსრების დროს [9].

ქრონაქსომეტრიას ვაწარმოებდით ბურგინიონის ტიპის ქრონაქსიმეტრით. ინდიფერენტულ ელექტროდს ვამაგრებდით მკერდზე.

შედარებისათვის ჩვენ განვსაზღვრეთ 20 ჯანმრთელი ადამიანის სალეჭი კუნთების ქრონაქსია (მოტორული წერტილის ფარგალში). ერთდროულად ყოველთვის ვიკვლევდით აგრეთვე მხრის ორთავა კუნთის ქრონაქსის (იგი უდრიდა 0,08—0,16 მილისეკუნდს), რაც მაჩვენებელი იყო ჩვენ მიერ მიღებული ქრონაქსიმეტრიული მოხაცემების სისწორისა.

საკუთარი სალეჭი კუნთის რეობაზა მერყეობდა სხვადასხვა ადამიანებში 20-დან 90 ვოლტამდე, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში (65%) იგი 40—80 ვოლტს უდრიდა. ქრონაქსია სხვადასხვა ადამიანებში მერყეობდა 0,1-დან 0,4 მილისეკუნდამდე (რაც ემთხვევა მარკვის მონაცემებს) და უმრავლესობას კი ჰქონდა 0,1-დან 0,3 მილისეკუნდამდე (80%). თითქმის ასეთივე იყო საფრთხლის კუნთის რეობაზა, რომელიც მერყეობდა 20-დან 80 ვოლტამდე და ქრონაქსია — 0,1-დან 0,4 მილისეკუნდის ფარგლებში, აქაც უმრავლეს შემთხვევაში ქრონაქსია 0,1—0,3 მილისეკუნდს უდრიდა.

ჩვენ გამოვიყელით აგრეთვე სახის (მიმიკური) ზოგიერთი კუნთი (პირის ირგვლივი, ყვრიმალის, სამკუთხა, ქვედა ტუჩის კვალრატული, ნიკაპისა და შუბლის კუნთი).

ჩვენი მონაცემებით მიმიკური კუნთების ქრონაქსია ირხევა 0,2—0,4 მილისეკუნდის ფარგლებში, ე. ი. არ განსხვავდება სალეჭი კუნთების ქრონაქსისაგან.

სალეჭი აპარატის დაავადებისას (კბილების მთლიანად ან უმრავლესობის ჟქონლობისას) ჩვენ ვიკვლევდით როგორც სალეჭი კუნთების, აგრეთვე ზოგიერთი მიმიკური კუნთის ქრონაქსისასაც, რალგან სალეჭი აპარატის დაავადებისას მოსალობნელი იყო არამარტო სალეჭი კუნთების ფუნქციური მდგომარეობის შეცვლას ჰქონდა ადგილი, არმედ აგრეთვე მიმიკური კუნთებისასაც. ცნობილია, რომ სახის გამოქმეტყველება, რომელიც განპირობებულია მიმიკური კუნთების მოქმედებით, მათი ტონუსით, თვალსაჩინოდ შეცვლება ხოლმე კბილების მთლიანად ან უმრავლესობის დაკარგვისას.

გამოკვლეულ იქნა 18 ავადყოფი. აქაც კონტროლის მიზნით ვიკვლევდით აგრეთვე მხრის ორთავა კუნთის რეობაზას და ქრონაქსისა. როგორც პირველი, ისე მეორე არ განსხვავდებოდა ჯანმრთელი ადამიანების რეობაზისა და ქრონაქსისისაგან. ორთავე კუნთის გამოკვლევას მით უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ უკბილონი, ჩვეულებრივ, ხანში შესული ადამიანები არაიან და ამრიგად, თუ სალეჭ კუნთებში აღმოვაჩენდით ქრონაქსის რაიმე ცვლილებებს, ის შეიძლება მიგვეწრია საერთოდ ჩინჩხის მუსკულტურის ქრონაქსის ცვლილებებისადმი ხანდაზმულობის გაძო. მაგრამ, ვინაიდან ორთავა კუნთის ქრონაქსია ნორმალური იყო, ამიტომ სალეჭი კუნთის ქრონაქსის ცვლილება, თუ კი ის აღმოჩნდებოდა, ჩვენ შეგვეძლო მიგვეწრია სწორად ამ კუნთების ფუნქციური ცვლილებებისათვის, რაც გამოწვეული იქნებოდა სალეჭი აპარატის დაავადებით (უკბილობით).

მიმიკურ კუნთებში არც რეობაზისა და არც ქრონაქსის მხრივ განსხვავება ნორმალურთან შედარებით ვერ ღიროვაჩინეთ. რაც შეეხება სალეჭ კუნთების (საკუთარი სალეჭი და საფრთხელის), მათი რეობაზა ისეთივე იყო, როგორც ჯანმრთელი ადამიანებისა, ე. ი. ირხეოდა 40-დან 80 ვოლტამდე. ქრონაქსიაც, შეიძლება ითქვას, ძირითადად ნორმის ფარგლებში იყო, ე. ი. მერყეობდა 0,1-დან 0,4 მილისეკუნდამდე, მაგრამ იმ დროს, როდესაც სალეჭი კუნთის ქრონაქსია ჯანმრთელებში ძირითადად 0,1—0,3 მილისეკუნდის ფარგლებში თავსდებოდა (80 % შემთხვევაში), ავადყოფებში ეს ქრონაქსია უფრო მაღალ რიცხვებს იძლება.

ლეოდა და თავსდებოდა 0,3—0,4 მილისეკუნდის ფარგლებში (66,7 % შემთხვევაში).

ის ფაქტი, რომ კბილების დაკარგვისას სალეპტი კუნთების ქრონაქსია ისწრაფის უფრო მაღალი რიცხვებისაკენ, უნდა მიუთითობდეს მათი ფუნქციური მდგრძლებელის გაუარესებაზე, აგზნებადობის დავეთებაზე. ეს გასაგებიცაა, ეინადან ნორმალური ფუნქციის შეუსრულებლობა კბილების უქონლობის გამო, სალეპტ კუნთებში უნდა იწვევდეს ფუნქციურ ცვლილებებს.

ეს ტენდენცია ქრონაქსიის გაგრძელებისადმი განსაკუთრებით ნათლად ჩანს იმ შემთხვევებში, სადაც უკბილობა დიდიხანია (5 წელზე ზევით) არის: ქრონაქსია, დიდება როგორ და უფრო მეტად.

ის გარემოება, რომ ჩვენ ვერ შევნიშნეთ ქრონაქსიის ცვლილება მიმიკურ კუნთებში, კიდევ უფრო მტკიცებს აზრს, რომ ქრონაქსიის ცვლილებანი სალეპტი უნთებისა, რომელებიც ფუნქციურად უშუალოდ სალეპტ აპარატთან არიან დაკავშირებულნი, ნამდვილად არის გამოწვეული ამ სალეპტი კუნთების მიერ ნორმალური ფუნქციის შეუსრულებლობით.

პროთეზირების შემდეგ უ ქრონაქსიას აქვს ერთგვარი ტენდენცია შემცირებისაკენ. თუ პროთეზირებამდე სალეპტი კუნთის ქრონაქსია იყო ნორმის უმაღლეს ფარგალში (0,3—0,4 მილისეკუნდი) 66,7 %-ში, პროთეზირების შემდეგ ასეთი მაჩვენებლები ჰქონდათ ავადმყოფთა 35,7 %-ს. ასეთივე ტენდენცია ქრონაქსიის შემცირებისადმი შეინიშნება საფეხჭლის კუნთის შემთხვევაში. ასე მაგალითად, ნორმის უმაღლესი რიცხვები (0,3—0,4 მილისეკუნდი) პროთეზირებამდე ჰქონდა ავადმყოფთა 52,5 %-ს. პროთეზირების შემდეგ კი — 37,5 %-ს; დანარჩენი ავადმყოფების ქრონაქსია დაეცა 0,2-დან 0,3 მილისეკუნდამდე.

ჭრილები უფრო მეტი გავლენა პროთეზირებისა გამომჟღავნდა იმ ავადმყოფზე, რომელთ სალეპტი კუნთების ქრონაქსია დიდი ხნის მთლიანი უკბილობის გამო მნიშვნელოვნად გადიდებული იყო (ორგერ — 0,8 მილისეკუნდი); პროთეზირების შემდეგ ქრონაქსია 0,4 მილისეკუნდამდე დაეცა, ე. ი. ნორმის ფარგლებში მოთავსდა.

მიმიკური კუნთების ქრონაქსია პროთეზირების შემდეგ არ შეცვლილა.

როგორც ჩანს, ტენდენცია ქრონაქსიის შემცირებისაკენ, რასაც ადგილი აქვს პროთეზირების შემდეგ, პირდაპირ მიგვითოთებს სალეპტი კუნთების აგზნებადობის მომატებაზე; ძლიერ გახანგრძლივებული ქრონაქსიის შემთხვევაში კაცის ხელსაყრელი გავლენა პროთეზირებისა არავითარ ექვს არ იწვევს — ქრონაქსია მცირდება 2-ჯერ და უფრო მეტად.

ჩამდენადაც შევამჩნიეთ ერთგვარი ტენდენცია ქრონაქსიის გაგრძელების უკბილოებში, განვიზრახეთ გავვესაზღვრა ყბების ანომალიების მქონე ბავშვების სალეპტი კუნთების ქრონაქსია. მოსალოდნელი იყო, რომ აქაც სალეპტი აპარატის ფუნქციის მოშლის შედეგად კუნთების ქრონაქსია შეცვლილი აღმოჩნდებოდა.

გამოვიყვლიეთ 5 ბაგშვის სალეპტი კუნთების ქრონაქსია. ცვლილებები ქრონაქსიისა ვერ ვნახეთ, იგი ირჩეოდა ნორმის ფარგლებში. რაც შეენება რეობაზას, ისიც არ ვნახება განსხვავდებოდა ნორმისაგან.

ვიღებდით რა მხედველობაში, რომ ყბების ანომალიების დროს თვალსაჩინოთ შეცვლილია ხოლმე სახის გამომეტყველება, ჩვენ გამოვიყვლიეთ რიგი მიმიკური კუნთებიც (პირის ირგვლივი, ყვრიმალის, სამკუთხა და შებლის კუნთები), მაგრამ აქაც ვერ ვნახეთ ქრონაქსიის ან რეობაზის რამე თვალსაჩინო ცვლილება.

(<sup>1</sup> კოდენტობოდა პლასტმასის მთლიანი, ზოგ შემთხვევაში ნაწილობრივი (მოსახსნელი) პროთეზები. ქრონაქსიის ესაზღვრულებით პროთეზირებიდან დახლოვებით თრი თვის შემდგა.



ის ფაქტი, რომ სალეჭი კუნთების ქრონაქსია ყბების ანომალიებისას ას განსხვავდება ნორმალურისაგან, ამ უნდა იწვევდეს გაყვირვებას, ვინაიდან, ოუმცა ღევების ფუნქცია ამ დროს მოშლილია, სალეჭი კუნთებს მაინც უნდებათ ინტენსიური ფუნქციურება. ქედან გასაგებია, რომ მათი აგზნებადობა (ქრონაქ-სით გამოხატული) მნიშვნელოვან ცვლილებებს არ უნდა განიცდიდეს. სევე ითქმის მიმიკურ კუნთებზეც. თუმცა სახის გამომეტყველება ყბების ანომალიებისას შეცვლილია, მაგრამ მიმიკური კუნთების თამაში, განსაკუთრებით ზავ-შვებში, მაინც იძლევანადა გამოხატული, რომ ძნელი წარმოსაცვენია მათი ფუნქციის ისეთი მოშლა, რომელიც მათი აგზნებადობის ხარისხზე (ქრონაქსიაზე) გავლენას მოახდენდა.

### დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი

1. ქრონაქსიმეტრიული მეთოდის გამოყენებით შეიძლება სალეჭი კუნთების ფუნქციური შდგომარებობის გამოვლინება და მსჯელობა პროთეზირებისა და სხვა სამკურნალო საშუალებების გავლენის შესახებ ამ კუნთების ფუნქციურ შდგომარებაზე.

2. ჯანმრთელ ადამიანებში (ჯანმრთელი სალეჭი აპარატით) სალეჭი კუნთების ქრონაქსია მერყეობს 0,1-დან 0,4 მილისეკუნდამდე. მიმიკური კუნთების ქრონაქსია არ განსხვავდება სალეჭი კუნთების ქრონაქსისაგან.

3. კბილიანად (აგრეთვე უმრავლესობის) უქონლობისას სალეჭი კუნთების ქრონაქსია ნორმის უმაღლეს ფარგალშია (0,3—0,4 მილისეკუნდი), ტენდენცია ქრონაქსის გაგრძელებისადმი ნათლად ჩნდეს იმ შემთხვევაში, როცა მთლიანი უკბილობა დიდი ხნისაა (ქრონაქსია დიდება 2-ჯერ და ეტაპი). ამავე დროს ქრონაქსის ცვლილებანი უკბილობის მიმიკურ კუნთებში არ აღინიშება.

4. პროთეზირების შემდეგ (ფირფიტოვანი პროთეზი) ალინიშენება ტენდენცია ქრონაქსის შემცირებისა (იმ შემთხვევებში როცა ქრონაქსია არის ნორმის უმდღევეს ფარგალში). ძლიერ გახანგრძლივებული ქრონაქსის შემთხვევაში ქრონაქსია მცირდება 2-ჯერ და მეტად. მიმიკური კუნთების ქრონაქსია პროთეზირების შემდეგ ცვლილებას არ განიცდის.

5. ყბების ანომალიების შემცირების სალეჭი და მიმიკური კუნთების ქრონაქსია არ განსხვავდება ჯანმრთელების ამავე კუნთების ქრონაქსისაგან.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო  
ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვიდა 7.4.1958)  
დამომზადებლი ლიტერატურა

1. И. А. Астахов и др. Ортопедическая стоматология. М.—Л., Медгиз, 1940.
2. З. И. Штробиндер. Жевательное давление и функциональная ценность протезов. Сов. стомат., 8, 1931, стр. 44—51.
3. О. Д. Кумейская. Жевательное давление при частичной потере зубов. Проблемы стоматологии, кн. 2, 1940.
4. М. С. Тиссенбаум. Прибор для измерения жевательного давления. Госпит. дело, 12, 1944.
5. С. Е. Гельман. Функциональная жевательная проба. Сов. стоматология, 9, 1932, стр. 11—31.
6. И. С. Рубинов. Физиологические пробы при учете эффективности акта жевания. Стоматология, 1, 1951, стр. 51—59.
7. G. Bourguignon. La chronaxie chez l'homme. Paris, Masson et C° 12, 1923.
8. Д. А. Марков. Клиническая хронаксиметрия. Минск, 1935.
9. В. И. Соколова. Хронаксиметрия жевательных мышц, как метод, характеризующий нарушение их функций. В кн.: «10-й пленум Ученого совета травматол. института». Тезисы докладов, М., 1949, стр. 88.

ეთნოგრაფიაი. ნაცოგაშვილი

გვარის კულტურის საკითხისათვის ივრის ხეობაში

(ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით)<sup>1</sup>

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. ჩიტაამ 16.12.1957)

1955 წლის ივნისს ზედგა იყად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების სამგორის ექსპედიცია, რომელიც მიზნად ისახავდა სამგორის მოსახლეთა ახალი ყოფის შესწავლას; ძირითადად კი ორი საკითხის — სამეურნეო ყოფისა და საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების შესწავლას.

ჩვენი ყურადღება ვაზის კულტურამ მიიბყრო. ვაზის სამეურნეო მნიშვნელობა ჩვენში სხვა კულტურულ მცენარეებთან შედარებით დიდია. ამ კულტურას საქართველოში საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. „საქართველო, როგორც ჩანს, ძველი დროიდანვე ვაზის კულტურის კლასიკურ ქვეყნად ყოფილა მიჩნეული“ [1]. ამიტომა, რომ აღნიშნულ რაიონშიც ვაზის კულტურასთან დაკავშირებული მრავალი საყურადღებო სხვადასხვა სახის ძეგლი გვხვდება, იქაც კი, სადაც ვაზის მეურნეობის არსებობა ეჭვის იქვევდა.

ექსპედიციამ მუშაობა ივრის ხეობის მთის ზოლში დაიწყო, სადაც მევენახეობას ამჟამად არ მისდევენ.

ვაზის კულტურის შესხებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მთისა და ბარის გამასხვავებელ ნიშად, ვაზი იყო მიჩნეული: „იმ ადგილებს, სადაც ვაზი ვერ გვარობდა, მთა ეწოდებოდა, ხოლო სადაც ეს უკანასკნელი კარგად ხარობდა, ბარად იყო მიჩნეული“ [2].

მიჩნეველთა მუშაობის შედეგების გათვალისწინება ნებას გვაძლევს ვიკარაულოთ, რომ ვაზის ზოგიერთი გიში, ბუნებრივ პირობებთან შეგვების გზით „შეიძლება საქართველოს მთის ზოლის ზოგიერთ მიკრორაიონშიც გაშენდეს“ [3]. საყურადღებოა, რომ თიანეთის რაიონის ერთ-ერთი უბნის მცირე ნაკვეთზე გაშენებული აღრეული ჭიშის ვაზი მნიშვნელოვან მოსავალს იძლევა <sup>(2)</sup>.

საქართველოს სსრ მევენახეობა-მელინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ამ შეჩრივ საინტერესო მუშაობას ეწევა. აღნიშნული ინსტიტუტის თანამშრომელმა პროფ. დ. ტ. ა. ბ. ი. გ. მ დაასაბუთა, რომ საქართველოში საქართველო გვნახვა მთისაკენ შეიძლება გაშენდეს ზღვის დონიდან 1000—1100 მეტრის სიმაღლეზე.

ამგვარად, პრაქტიკულ მნიშვნელობას არ არის მოკლებული საკითხი ვაზის გაშენების შესახებ ერწო-თიანეთში, რომელიც ზღვის დონიდან 1060—1100 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს.

<sup>(1)</sup> მოხსენდა აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის IV სამეცნიერო სესიას 1956 წ. 18 მაისს (იხ. „მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თემისები“, თბილისი, 1956, გვ. 16, 17).

<sup>(2)</sup> აღნიშნული ცნობა მოგვაწოდა პროფ. გ. ბერიძემ.



ერწო-თიანეთში ჩეენი ყურადღება მიიქცია ერთမა გარემობამ. იქ, სადაც მევენახეობას არ მისდევდნენ, სპეციალური მარნები შეგვხდა ნაგებობის სახით. მაგრამ არ იქნებოდა სწორი, ამ მასალაზე დაყრდნობით გამოგვეტანა დასკვნა, რომ იქ, სადაც ქვევრ-მარანია, აუცილებლად ვაზის კულტურა იყო წარმოდგენილი. ამას ადასტურებს წალკის, რაჭის, მთიულეთისა [4] და ჩეენ მიერ ამჯერად თიანეთის რაონში მოპოვებული ეთნოგრაფიული მონაცემები.

მთიულეთის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „და ას, მოზღუდვილი მთითა, ამის გამო მაგარი და შეუვალი არს, უვენახო, უხილო, მცირემოსავლიანი. არამედ მოიღებენ ბარიდამ ტკბილსა, შთასხამენ აქა და ლომისას და დადგების ღვით, ოეთრი და ტკბილი“ [5].

საერთოდ საქართველოში მარნის დანიშნულება ერთია, თუმცა ხალხს სხვადასხვა კუთხეში მარნისათვის ადგილობრივი პირობებისა და შესაძლებლობის შესაბამისად განსხვავებული დანიშნულება მიუკუთვნებია.

ზოგი მარანი დამოუკიდებელი შენობაა, ზოგი კი სხვა შენობასთან კომპლექსში წარმოდგენილი. ფაქტები ადასტურებენ, რომ ჩვენს წინაპრებს მარნები გამოქვაბულებშიც ჰქონდათ. ასე, მაგალითად, ჭალაურის ერთ-ერთ გამოქვაბულში სამი ოვალური სათავსოდან კიდური სათავსოები მარნებს წარმოადგენდნენ [6]. ასეთი სხვა მაგალითიც შეიძლებოდა დაგვესახელებინა როგორც თავდაცვითი ნაგებობის, ისე საკულტო ნაგებობის კომპლექსში (უჯარმა, დავითგარეჯი, ვარძია, ატენი).

მარანი თიანეთის რაიონში გამოყენების თვალსაზრისით, წერილობითი წყაროებისა და ცოცხალი ეთნოგრაფიული სინამდვილის მიხედვით შემდეგი სხით წარმოვადგება: ერთ-ერთი სახეობა მარნისა მშაბზარეული ღვინის შესანახადა განკუთვნილი, მეორეში წარმოებდა მოტანილი ყურძნის დაწურვა და ღვინის შენახვა, ხოლო მესამე სახის მარანი იქაურ მცხოვრებთ ბარში ჰქონიათ მოწყობილი, ყურძენს აღვილზევე სწურავდნენ და ღვინოსაც იქვე ინახავდნენ.

მასთან დაკავშირებით ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ერთი სახის მარანზე: ერწოს სოფელ ღულელებიდან, დახსლობით 6 კილომეტრით დაცილებულია ე. წ. „სიონთ კოშკი“, რომელსაც „არჩილ მეფის საფლავსაც“ უწოდებს ხალხი. კოშკს გვერდზე მიშენებული აქვს თაღიანი შენობა და წინ, კიდევ ცალკე შენობა აქვს მიღმული, რომელშიაც ყურძნის წურვა უნდა წარმოებულიყო. ასეთი ორგანიზაციილებანი მარანი 1946 წელს სიღნალის რაიონის სოფ. ანაგაშიც ვნახეთ. ერთი განყოფილება მარნის მისასვლელთან არის მოწყობილი, ქვევრებისაგან ვამოყოფილი კედლით და იქ ყურძნის წურვა წარმოებდა, რაც ესოდენ ხელს უწყობდა ყურძნის მოხერხებულად მიტანასა და წურვის დროს პიგირნური პირობების დაცვას.

ვაზის კულტურის მიხედვით, საკვლევ რაიონში, მთისა და ბარის გარდამაცალ ზოლად შეიძლება მივიჩნიოთ სოფ. უგარმა, რომელიც მდებარეობს „ივრისა ზედა, ორთა მთათა შორის კახეთისა და კუხეთისასა“ [5], გვ. 136).


ვენახების შესწავლა გვარშემუნებს, რომ იქ ვაზის კულტურას საკმაო ისტორია აქვს, მაგრამ მისი სამეურნეო ხედირით წონა, სხვა დარგებთან შედარებით, ნაკლებია.

ველი ვენახები დაქცემაცებული იყო წვრილ-წვრილ ნაკვეთებად. ვენახებს აშენებონენ იმისდა მიხედვით, თუ ვის სად ჰქონდა საამისო ადგილი.

ს. უგარმაში, სოფლის დასაცლეთით, შარაგზის ნაპირზე ნიკოლოზ სამხარაქებს ერთი ნაკვეთი ძველი ვენახით დღემდე აქვს შემონახული (იხ. სურ 1). ვენახში საწნეველის ნანგრევებია დარჩენილი. საწნეველი ზომით პატარა ყოფილა, მიუხედავად მისა, მას ყურძნის საწურად მეზობელი მევენახებიც იყენებდნენ. ამგარი საწნეველი ალექსანდრე აკაკის ძე მათიაშვილის ვენაზიც აღმოჩდა.

ცნობილია, რომ საწნეველები კეთდებოდა: ხის, ქვის (ანდეზიტის) და ქვითკირისაგან. ამ რაიონში კი ქვითკირის საწნეველები შეგვხვდა.

უჯარმის სოფლის აღმოსავლეთი არის ერთი გვაროვნული მარანი (ნიკოლოზიშვილისა) (იხ. სურ. 2). იგი დაუხურავია. გადმოცემით ეს მარანი ერთა გვარის რამდენიმე ოჯახს ეკუთვნილა; ეს იმიტომ, რომ ვენახების სიმცირის გამო ისინი ცალკე მარნებს არ საჭიროებდნენ.




სურ. 1

იმავე სოფელში ვანო ივანეს ძე დოლონაძე დღემდე იყენებს ორდედაბორიან მარანს. როგორც ჩანს, ძველად ქართლში „მარნები უმთავრესად ბანიანი იცოდნენ, მაგრამ იცოდნენ მისი საბძლური გადასურვაც“. მარანს შუა ალაგას დედაბორი ჰქონდა, რომელზედაც გადებული იყო ბანდუში მოჭრელებული ხშირად ისე, როგორც დარბაზში“ ([4], გვ. 14).

უჯარმაში ერთი ისეთი მარანიც ენახეთ, რომელშიც რვა ქვევრია მიწაში ჩაფლული. მარანი ოთხი კედლითაა აშენებული, რომლებშიც დატანებულია ექვსი თარო. უკანა კედლზე მიშენებულია საწნეველი.

ზოგან ორგანყოფილებიანი საწნეველიც არის. გამყოფად კედლია ხოლმე აწენებული, აქ კი გამყოფის მაგიერ, საწნეველის აშენების დროს შუაზე დაბალი ტიხარია გაკეთებული და ერთსა და იმავე დროს, მათა დოლონაძის (75 წლის) თქმით „ყურძენს საწნეველის ერთ მხარეს ერთი ძმა; ხოლო მეორე მხარეს მეორე ძმა სწურავდა“.

განსაკუთრებული ნიშნებით წარმოგვიდგება ახალი საკოლმეურნეო კენტრონის ხები. უჯარმელებს „ლამოანში“ ათ ჰექტარ ფართობზე გაუშენებიათ ახალი ვენახი (რჩ. სურ. 3). ვაზი ხუთი-ექვისი წლისაა და თანამედროვე წესის მიხედვით ძრის გაშენებული.




სურ. 2

ძეველად ს. უჯარმის ვენახებში აშენებლნენ ვაზის ჯიშებს: საფერავს, მწვანეს, პარტალას, განახარულს, ბუღეშურს, შაბიას, ქალაქურს, ზომბერასა და შეავ ვაზს.

წლების განვალობაში ხანგრძლივი დაკვირვებითა და გამოცდილებით აღვილობრივ მევენახებს კარგად შეუსწავლიათ ვაზის აღნიშნული ჯიშები იმისდა მიხედვით, თუ იქაურ ადგილმდებარეობას, ჰავასა და ნიაღაგს რომელი უფრო უკეთ ეგუებოდა. ასეთად მათ მიუჩენებიათ რქაწითელი და საფერავი, ამიტომ მათ ახალ ვენახებშიც ეს ჯიშები გაუშენებიათ, თუმცა აქა-იქ მსხვილთვალა და შავი გვხვდება.


ახალ გენახებში შეიგნით და გარეთ გზები დაუტოვებიათ. ვაზები დარგულია მშერივად ერთმანეთისაგან მანძილის დატოვებით. სპეციალურადაა დატოვებული ცარიელი ადგილი მანქანებისა თუ ურმების მოსაბრუნებლად. ვენახოთხედია დანაწილებული მისი მექანიზებული წესით დამუშავების გათვალისწინებით.



სურ. 3

მიწის გადახვნა წარმოებს ტრაქტორზე მიბმული გუთნის საშუალებით, მაგრამ ბარი ზოგჯერ იხმარება ვაზებს შუა დარჩენილი ადგილის დასამუშავებლად. ახლა ვაზის ჩაყრაც გაადვილებულია. მევენახები გადმოგვცემენ: „ჯერ გავწმენდავთ სავენახე ნიაღას და გადავაძრუნებთ ტრაქტორით, მერე გავაფხვიერებთ ხარის გუთნით, ორმოებს გავაკეთებთ ბარით, მიწას ამოვილებთ და ყოველ ორმოში ვაზს ჩაყრით. წინათ სავენახე ნიაღას ბარით ვაბრუნებდით, ნიაღაგი ყამირი იურ და შრომა გვიძნელდებოდა. ვაზის ჩაყრის შემდეგ ნიაღას ალი გბარავდით, მხოლოდ ბალას ვთიბავდით. ვენახის შეწამვლას არ ვაწარმოებდით. სოთ, ხაშში ვენახის წამალი რომ შემოილეს, სასაცილოდ არ ყოფილდა დანარჩენ სოფლებებს. გვიგონა ლვინო გაფუჭდებოდა, მაგრამ ბოლოს დაგრძენდით, რომ ჩვენ ვცდებოდით. შეწამვლა მარტო ჩეასა და ყურძენს კი არა, ფოთოლსაც ასუქებს. კარგად ინახავს მას, და ვაზიც დიდხანს ძლებს.“

შრომის ნაყოფიერების ზრდა დიდად არის დამოკიდებული ტექნიკურ გა-  
უმჯობესებასა და შრომის ორგანიზაციაზე. კოლეურნები წინასწარ იცის შრო-  
მის ანაზღაურების ნორმები, იცის, რომ 1200 ცალი ვაზის დარგვა იძლევა  
ოთხნახევარ შრომადლეს, 400 კვ. მეტრი ნიადაგის გათოხნაც ერთნახევარი  
შრომადლე, 600 კვ. მეტრი ნიადაგის მეორედ გათოხნაც ასევე. კოლეურნები-  
ზაში გამოყოფილია მევენახეობის სპეციალური ბრიგადა, რომელშიც 40-მდე  
კოლეურნეა გაერთიანებული.



სურ. 4

საინტერესო სურათი გადაიშალა ჩვენს წინაშე ივრის ხეობის ბარის მევე-  
ნახეობაზე დაკვირვებით. ჩვენ სართიჭალაში ვნახეთ ერთი საყურადღებო მა-  
რანი სამნაშვილებისა. იგი ჩვეულებრივ მარანზე დიდია, აშენებულია ქვითკი-  
რით, კედლები მაღალი აქვთ. მომდევნო ხანებში ქედლებსშუა, პორიზონტალუ-  
რად ბოძები გაუწყვიათ და ზედ საცხოვრებელი ბინა აუშენებიათ. მარანი იმი-  
თაც საყურადღებოა, რომ მას წინა კედელთან შესავალი კარების ორივე მხარეს  
სათოფურები აქვს დატანებული.

მევენახეობას სართიჭალაში ძველადაც დიდი ადგილი ეჭირა. ამის დასა-  
დასტურებლად საკმარისია თვალი გადავავლოთ იმ სოფლის ძველ ვენახებს,

